ლარის კურსი და პოლიტიკოსები A2
საყოველთაო პრივატიზაცია და მისი მოსალოდნელი შედეგები A8
აქტუალური ისტორია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 10 სექტემბერი, 2004 წელი. №215 (764) — ფასი 50 თეთრი

უცხოეთი

ვებრძოლოთ ტერორიზმს, ოღონდ სამართლებრივი ნორმების დაცვით



ორიოდე დღის წინ რუსეთის მიერ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ტერორისტებზე პრევენტული დარტყმების განხორციელებისათვის მზადყოფნის შესახებ გაკეთებულ განცხადებას, როგორც ჩანს, საერთაშორისო საზოგადოება აღფრთოვანებით სულაც არ შეხვედრია.
გაერო-ს გენერალურ მდივანს, კოფი ანანს ღრმად სწამს, რომ ყველა, ვინც საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას აწარმოებს, აუცილებლად უნდა იცავდეს სამართლებრივ ნორმებს.

A5

საზოგადოება

65 წელი და თანამდებობის ბედი

დღეს კი შევეხებით კანონით გათვალისწინებულ ერთ პუნქტს, რომელიც, როგორც ჩანს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობას ყველაზე მეტად აწუხებს.

A6

სამართალი

ბესლანში ნანა ლეჟავა მოწამლეს

"ნანა ლეჟავა და ლევან თეთვაძე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ" – უახლოეს ხანში ასეთი სახელწოდების სარჩელი გაიგზავნება საქართველოდან ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში.

A7

ამინდი

	10/9	11/9
თბილისი	27	23
ქუთაისი	23	19
ბათუმი	19	13
სოხუმი	18	17
ფოთი	19	15
თელავი	26	21
ზუგდიდი	21	19
გორი	27	24
ახმეტა	29	28
ჭიათურა	29	24
გაგრა	24	17
სამტრედია	30	23

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7050
ევრო	2.0782
გირვანქა სტერლ.	3.0419
რუბლი	0.0584

როდის "დაწყნარდება" ლარი?

ხელისუფლება ლარის კურსის დასტაბილურების პირობას დებს, სავალუტო ბირჟაზე კი, ჯერჯერობით, პანიკაა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ ლარის კურსის საკითხი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში "გაირჩა". მთავრობა, როგორც მოსალოდნელი იყო, სხდომაზე ერთიანი პოზიციით წარდგა. მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, საბოლოო ჯამში, სხდომამ საკმაოდ "უმტკივნეულოდ" ჩაიარა. რამდენიმე საათიანი განხილვის შემდეგ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განხილვის შედეგები ასე შეაჯამა: "ლარის კურსის სტაბილურობა შენარჩუნებული იქნება და ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით გახსნილი იქნება საზოგადოების წინაშე".

თამარ ხორბალაძე

თავად სხდომა კი კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ გახსნა და შესავალ სიტყვაში აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ზედმეტად გამყარების წინააღმდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ძალისხმევა დადებითად შეაფასა.

მისი განცხადებით, ბოლო 8 თვის განმავლობაში სებ-მა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 150 მილიონამდე აშშ დოლარი შეისყიდა, რამაც ბაზარზე ჭარბი დოლარი შეამცირა და, შესაბამისად, ხელი შეუშალა ლარის ზედმეტად გამყარებას. მისი ინფორმაციით, ანალოგიურ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა შარშან მხოლოდ 50 მილიონამდე აშშ დოლარი შეისყიდა.

რომან გოცირიძე ბაზარზე ლარის დეფიციტს ეროვნულ ბანკში ფინანსთა სამინისტროს ხაზინის დეპოზიტზე არსებული 180 მილიონი ლარის "უძრაობით" ხსნის.

გაგრძელება A4 გვერდზე

რუსეთში ქართული ისტერიაა

კრემლი პასუხისმგებლობას გაურბის და მისამართიც ეშლება

ნინო გომართელი

მიუხედავად თავგამოდებული მცდელობებისა, რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო იმ სიმართლის დამალვა, რაც რეალურად მოხდა 3 სექტემბერს, როდესაც შტურმით აიღეს ბესლანის საშუალო სკოლა და უამრავი ბავშვი დაიღუპა. სიტუაციიდან და კრიტიკის ქარ-ცეცხლიდან თავის დაღწევის მიზნით რუსეთმა ახალ ხერხს მიმართა და საქართველოს გადმოსწვდა. რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა გუშინ განაცხადა, რომ შესაძლოა, ბესლანის ტერაქტი და სამხრეთ ოსეთის კრიზისი ერთმანეთთან კავშირში იყოს.

"კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ამ მოვლენების ურთიერთკავშირსა და ერთი ცენტრის მიერ მათ დაგეგმვას დაადასტურებდა, არ არის; მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მიერ სამხრეთ ოსეთში შექმნილი კრიზისის შედეგებს და აქამდე რესპუბლიკის ყველაზე მშვიდ რეგიონში - ჩრდილოეთ ოსეთში - მძევლების აყვანას იმ აზრამდე მივყავართ (და პოლიტიკოსებმა არ უნდა გამორიცხონ), რომ ეს არ არის შემთხვევითობა, - განაცხადა ლავროვმა რადიოსადგურ "Голос России" - სთან ინტერვიუში და იქვე დასძინა, - **ჩვენ არ მივუთითებთ შეთქმულებაზე, მაგრამ ის პირები, რომლებმაც ბესლანის სკოლა დაიკავეს, მხოლოდ მარიონეტები იყვნენ. ხოლო მათი დამქირავებლების და გამომგზავნების მიზანია ჩრდილოეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის მოწყობა."**

გუშინვე სერგეი ლავროვმა ინტერვიუ მისცა რუსულ გაზეთს "Время Новостеи", სადაც საქართველოს მოუწოდა, არ ეძებოს რუსეთის სახით გარეშე მტერი.

ჟურნალისტის შეკითხვებზე - თუ რა გზით ხვდებიან ტერორისტები ჩეჩნეთში? აქვს თუ არა რუსეთის ხელისუფლებას პრეტენზიები მეზობელ საქართველოსთან? - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პასუხობს: **"უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ტერორისტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ასევე შეერთებულ შტატებშიც ხვდებოდნენ. ჩვენ ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლების წინაშე დავაყენეთ და ის დაგვთანხმდა, გადაწყვიტოს პრობლემა, რომ ტერორისტებმა საქართველოს ტერიტორია ბინძური საქმეების ჩადენის შემდეგ არ გამოიყენონ დასასვენებელ ადგილად, მაგრამ ჩვენ ვისურვებდით, რომ საქართველოს მხრიდან ეს მოქმედებები უფრო ეფექტური იყოს.**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ისე რომ მოგვარებულიყო, როგორც ამაზე პრეზიდენტი პუტინი და მიხეილ სააკაშვილი შეთანხმდნენ, მაშინ ვითარება უკეთესი იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, თებერვლის აღნიშნული შეთანხმებები

გაგრძელება A2 გვერდზე

მთავარი თემა

ერთადერთი მეთოდი - დაპატიმრება

"ორთაჭალის საპყრობილე ყვარყვარეს ციხეს ჰგავს"

ინგა ალავიძე

ბოლო პერიოდში სამართალწარმოებაში ცნება - უკანონო პატიმარი - ყველაზე მოდურ ცნებად იქცა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, დამოუკიდებელი ექსპერტების, ადვოკატებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ძალზე ხშირად მოისმენთ პრეტენზიებს უკანონო პატიმართა არსებობის შესახებ. ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისთვის ეს ცნება უცხოა, რადგანაც თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, რომელიც კანონიერი დაკავებისა და დაპატიმრების აუცილებელ პირობებს მოიცავს, ამ ქვეყნებისთვის პრიორიტეტული სამართლებრივი ნორმაა. სამწუხაროდ, ჩვენთან, ჯერჯერობით, ასე არ ხდება.

იუსტიციის მინისტრთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე, სადაც გიორგი პაპუაშვილი იუსტიციის სამინისტროს მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს შეხვდა, უკანონო პატიმრობის შესახებაც იყო საუბარი. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ციხეში მრავლად არიან უკანონო პატიმრები და პირები, რომელთაც საპატიმრო ვადა ამოეწურათ, მაგრამ ციხის ადმინისტრაცია არაფერს აკეთებს მათი დარღვეული უფლებების აღდგენისთვის. მეტიც, მრჩეველთა საბჭოს წევრთა განცხადებით, საპატიმროთა ადმინისტრაციას არ მოეპოვება ცნობები პატიმართა საპატიმრო ვადის შესახებ. მრჩეველთა საბჭოს წევრებმა იუსტიციის მინისტრს უკანონო პატიმრობის კონკრეტული ფაქტებიც წარუდგინეს და მოითხოვეს, საპატიმრო დაწესებულებებში ჩამოყალიბდეს მკაცრი მაკონტროლებელი მექანიზმი, რომელიც პირს უკანონო პატიმრობისგან დაიცავს. გიორგი პაპუაშვილმა ყველა კონკრეტული ფაქტი მიიღო და მრჩეველთა საბჭოს მათი გადამოწმებისა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანის პირობა მისცა.

თუ ბოლოდროინდელ საქმეებს გადავხედავთ, გამოიკვეთება სამართალწარმოებაში დამკვიდრებული ახალი ტრადიცია – იჭერენ ყველას. არადა, კანონმდებლობაში, გარდა პატიმრობისა, სასჯელის რამდენიმე სხვა, გაცილებით მსუბუქი სანქციაც არსებობს, რომელთა გამოყენებაც თითქმის არ ხდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ნუ დაუჯერებთ ნურავის, სამართლიანობის განცდისა და კანონის გარდა"

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა უზენაეს სასამართლოში

მოგესალმებით ყველას!

ჩვენ უკვე გვქონდა შეხვედრა მაშინ, როცა ლადო ჭანტურიას ვაცილებდით და კიდევ ერთხელ მსურს მადლობა გადავუხადო მას იმისათვის, რომ მან, ჩვენთან ერთად, მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სასამართლო სისტემის არსებობას.

დღეს ჩვენ ვქმნით არსებითად ახალი სახის სახელმწიფოს, ანუ სახელმწიფოს, რომელსაც თითოეული მისი მოქალაქე ქმნის. ყველა ადამიანი არის ამ სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი.

გვეუბნებიან, რომ გვინდა მაღალი ხელფასები და პენსიები. უნდა ითქვას, რომ გვექნება მაღალი ხელფასები და პენსიები, თუ იქნება გადასახადები, თუ ყველა გადაიხდის და ეკონომიკა იმუშავებს.

ეკონომიკა კი უნდა ამუშაოს ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ.

როდესაც ვამბობთ, რომ გვინდა დავიცვათ საქართველოს საზღვრები, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და, ზოგადად, საქართველო დავიცვათ აგრესიისაგან, ვაცხადებთ, რომ გვინდა ისეთი ქვეყანა, სადაც მხოლოდ ორი–სამი ათასი ჯარისკაცი და მთავრობა კი არ იცავდეს მას, ხოლო ყველა დანარჩენი საკურორტო ზონებიდან აკეთებდეს კომენტარებს - საქმეს კარგად ვასრულებთ თუ ვერა, არამედ როცა ქვეყანას უჭირს, ყველა ადგილზე უნდა იყოს და ჯართან და მთავრობასთან ერთად იცავდეს ქვეყანას და მის მთლიანობას.

სხვა შემთხვევაში ამ საქმეს ხელი არ უნდა მოვკიდოთ.

გაგრძელება A7 გვერდზე

24-საათიანი გრაფიკი - მხოლოდ კარგ გადამხდელებს

რუსეთიდან გაზის მოწოდება კი სექტემბრის ბოლომდე უნდა აღდგეს

ნიკა მარიამიძე

გუშინ ენერგოსექტორის ზამთრისთვის მზადების საკითხთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან საგანგებო თათბირი გაიმართა. თათბირს რეგიონების რწმუნებულები და ენერგეტიკის მინისტრი ესწრებოდნენ.

ჟვანიას განცხადებით, თუ რეგიონები ელექტროენერგიის საფასურს კარგად გადაიხდიან, ენერგეტიკული პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებელი იქნება. "წელს მთელი ქვეყნის 24-საათიანი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა არ მოხერხდება, მაგრამ არცერთი დაბა, სოფელი თუ რაიონი არ დარჩება თვეების განმავლობაში ჩაბნელებული," – განაცხადა ჟვანიამ.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ გამრიცხველიანებულმა მსხვილმა ქალაქებმა – რუსთავმა, ქუთაისმა, ზუგდიდმა და ბათუმმა - დღენი 24 საათის განმავლობაში უნდა მიიღონ, სხვა რეგიონებმა კი – გადახდის მიხედვით, ანუ კარგი გადამხდელები – 18-20-საათიანი გრაფიკით მომარაგდებიან, დანარჩენებს კი რვასაათიანი გრაფიკი დაუწესებათ. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მთავრობა ამ გრაფიკების დაცვას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ რეგიონის ხელმძღვანელები მოსახლეობიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას მოახერხებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 აქტუალური ისტორია | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

24-საათიანი გრაფიკი – მხოლოდ კარგ გადამხდელებს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება დედაქალაქს, თბილისი ზამთარში 24-საათიანი რეჟიმით უნდა მომარაგდეს. ჟვანიას მითითებით, ხელისუფლებამ ამისათვის ყველაფერი უნდა იღონოს. როგორც მოგვიანებით გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა დააკონკრეტა, მე-9 ენერგობლოკისთვის საჭირო აირის შესაძენად კომპანია "მტკვარი ენერგეტიკა" ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისგან რამდენიმე დღეში 10-12 მილიონ ლარს მიიღებს და 25 სექტემბერს მე-9 ენერგობლოკის ტესტირება შესაძლებელი იქნება. "ამჟამად საურავების გარეშე საბითუმო ბაზარს მე-9 ენერგობლოკის მიმართ 39 მილიონის დავალიანება გააჩნია. თავის მხრივ, მიღებული ელექტროენერგიის საფასურის სახით 8 მილიონი ლარი "თელასსაც" მართებს ბაზრისა. თანხების ჩათვლის შედეგად დარჩენილი 31 მილიონი ლარის დავალიანება ბლოკის ჩართვის შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ 10 მილიონი ლარის მიღების შემდეგ "რაო ეესი" ვალდებული იქნება, ბლოკი აამუშაოს, რადგან ვალი 30 მილიონს ქვევით დაფიქსირდება," - განაცხადა გილაურმა.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, სექტემბრის ბოლოსთვის აღდგება გაზმომარაგება. ამ საკითხის მოსაგვარებლად მოსკოვში ენერგეტიკის მინისტრი უნდა გაემგზავროს. პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ ნიკა გილაური აღნიშნული საკითხის მოგვარებას შეძლებს. "მთავარია, თანხების დროულად ამოღება მოხდეს," – მიაჩნია ზურაბ ჟვანიას.

ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის ინფორმაციით, გაზის მომწოდებელ კომპანია "გაზპრომთან" მოლაპარაკების ძირითადი ეტაპი დასრულებულია და ამ კომპანიის მიმართ 12-მილიონიანი დავალიანების გადახდის გრაფიკის შესამუშავებლად დავით მორჩილაძე და გაზის კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა მოსკოვში, სავარაუდოდ, 10 სექტემბერს გაემგზავრებიან. ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ სარეზერვო თანხები დავალიანების დასაფარად უკვე მოძიებულია. ამის თაობაზე გილაურმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა. ბრიფინგს "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძეც დაესწრო.

გილაურის განცხადებით, "გაზპრომისაგან" ბუნებრივი აირის მოწოდების შეზღუდვა მხოლოდ "თბილგაზის" ვალების გამო არ მომხდარა. თურმე გაზის საერთაშორისო კორპორაციამ, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის ტრანზიტი ევალება, საკუთარი ფუნქციებს გადაამეტა და რუსული კომპანიის მიმართ 6,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალი დააგროვა. ახლა კი კორპორაცია დავალიანებას საკუთარი ხარჯებით გაისტუმრებს. ამ საკითხებს კორპორაციის ხელმძღვანელი დავით ინგოროყვა მოსკოვში მოაგვარებს "გაზპრომთან". ამასობაში კი "თბილგაზი" ზამთრის სეზონისთვის კიდევ ერთხელ მოემზადება და თბილისის გაზგამანაწილებელ ქსელზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებს. ამისთვის კომპანია ცენტრალური ბიუჯეტიდან 5 მილიონ ლარს მიიღებს.

ბრიფინგზე "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ერთი სიახლე გააჟღერა. მისი თქმით, "თბილგაზი" დედაქალაქში ბუნებრივი აირის განაწილების და მოხმარებული აირის საფასურის ამოღების ფუნქციებს კერძო სექტორს გადასცემს.

მისი თქმით, დედაქალაქი ზონებად დაიყოფა და კერძო კომპანიებს საშუალება მიეცემათ, თითოეულ ზონაში ბუნებრივი აირის განაწილების ფუნქცია იკისრონ. "არ გამოვრიცხავ, თითოეულ ზონაზე თითო ბიზნესმენმა იმუშაოს. იგი ჩვენგან აირს შედარებით ნაკლებ ფასად, წინასწარი გადახდის პრინციპით მიიღებს და სემეკ-ის მიერ დადგენილი ტარიფით გაანაწილებს, სხვაობის სახით კი მოგებას ნახავს," - განაცხადა მორჩილაძემ. კერძო სექტორის წარმომადგენლები "თბილგაზისაგან" 1000 კუბურ მეტრ გაზს 230 ლარად შეიძენენ (მოქმედი ტარიფის მიხედვით, ამ მოცულობის აირის ღირებულება 270 ლარია).

მორჩილაძე აღნიშნავს, რომ "თბილგაზის" წლიური ამოღების მაჩვენებელი ამჟამად 23 პროცენტია. "ამის გამო "თბილგაზს" ყოველწლიურად ნორმალურად ფუნქციონირებისთვის 50 მილიონი ლარი აკლდება. თუ ასე გაგრძელდა, კომპანიას ვალები კვლავ დაუგროვდება," – ასეთი, არცთუ სახარბიელო პროგნოზით დაასრულა საუბარი მორჩილაძემ.

მოკლედ

ერთი თვის „გაყინული პენსია"

საქართველოს ერთიანი საპენსიო ფონდი 13 სექტემბრიდან საქართველოს მასშტაბით „გაყინული პენსიებიდან" ერთი თვის დავალიანების გაცემას დაიწყებს. ფონდის ხელმძღვანელის ზაზა სოფრომაძის განცხადებით, გამონაკლისის სახით, სრულად დაიფარება მესტიაში სტიქიით დაზარალებული პენსიონერების, აფხაზეთიდან დევნილთა და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა საპენსიო დავალიანება. **მედია-ნიუსი**

ათ დღეში - ახალი მარშრუტით

ვარაზის ხევის განტვირთვის გეგმის მიხედვით, ვარაზის ხევში მოძრაობა იქნება ცალმხრივი. მანქანები იმოძრავებენ ქვემოდან ზევით - მოძრაობა შესაძლებელი იქნება მარჯვნივ, ვაკის მიმართულებით და მარცხნივ, მელიქიშვილის ქუჩის მიმართულებით. ვაკიდან რუსთაველის გამზირისაკენ მიმავალი ტრანსპორტი შეუერთდება ვარაზის ხევიდან მელიქიშვილისკენ მოძრავ ნაკადს, ვაკიდან გმირთა მოედნისკენ მიმავალი ტრანსპორტი გაივლის მელიქიშვილის ქუჩას, ფილარმონიის წინ შეუხვევს მარცხნივ და გაივლის კოსტავას ქუჩას. რუსთაველის გამზირიდან მომავალი ნაკადი ვაკეში მოხვდება კოსტავას ქუჩის გავლით, გმირთა მოედანზე სპეციალური „კუნძულისთვის" შემოვლის შემდეგ. სანაპიროდან, საბურთალოდან ან თამარ მეფის გამზირიდან მომავალი სატრანსპორტო ნაკადი, რომელიც მიემართება რუსთაველისკენ, იმოძრავებს ვარაზის ხევით და გაუხვევს მარცხნივ მელიქიშვილის ქუჩისკენ. ამ სქემით მოძრაობის ადაპტირებას დაარეგულირებს საპატრულო პოლიციის სამსახური. **მედია-ნიუსი**

ბი-პი დასუფთავებას იწყებს

კომპანია ბი-პი გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოება „საერთაშორისო რეზერვებთან" ერთად ბორჯომსა და ბაკურიანში ტერიტორიის დასუფთავების პროგრამის განხორციელებას იწყებს. ადგილობრივი კერძო კომპანიებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის უკვე გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობის მსურველებმა 22 სექტემბრამდე უნდა წარადგინონ განაცხადები. როგორც კომაპნია ბი-პი-ში განმარტავენ, პროგრამა ბორჯომსა და ბაკურიანში უკანონო ნაგავსაყრელების გაუქმებას, ნებადართული ნაგავსაყრელებისა და მასთან მისასვლელი გზების მოწესრიგებას, საჭირო ტექნიკის შეძენას, დასუფთავების აქციაში მონაწილეობის მიზნით მოსახლეობის ინფორმირებას ითვალისწინებს. პროგრამა დეკემბრის პირველ ნახევარში უნდა დასრულდეს. კომპანიაში ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ, რა თანხას მიიღებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მათივე თქმით, თანხის მოცულობა ტენდერის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი. **მედია-ნიუსი**

ირანი თანამშრომლობას გვთავაზობს

საქართველო და ირანი ტურიზმის სფეროში თანამშრომლობას იწყებენ. კურორტებისა და ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის საბა კიკნაძის განცხადებით, ინიციატივა თანამშრომლობის დაწყების შესახებ ირანული მხარისგან მოდის. მისივე თქმით, საქართველოს დელეგაცია 24 სექტემბერს ირანში გაემგზავრება, რათა გაეცნოს ამ ქვეყნის გამოცდილებას კულტურული და ისტორიული ტურიზმის განვითარების სფეროში. ირანში ვიზიტისას საქართველოსა და ირანის ტურიზმის სფეროს მესვეურები ორმხრივი ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელებენ. საბა კიკნაძე მიიჩნევს, რომ თანამშრომლობის შედეგად ორ ქვეყანას შესაძლებლობა ექნება, კომბინირებული ტურისტული პროდუქტი აწარმოოს და ტურისტულ ბაზარზე ერთი სეგმენტის ტურისტული ინტერესების გაღვივებაზე იმუშაოს. **პრაიმ-ნიუსი**

რუსეთში ქართული ისტერიაა

პირველი გვერდიდან

საქართველოს მხრიდან დარტყმის ქვეშაა. ვიმედოვნებთ, საქართველოს ხელისუფლება მიხვდება, რომ უპერსპექტივოა ცალმხრივი ძალისმიერი ქმედებები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ. იმედი გვაქვს, თბილისი რუსეთის სახით გარეშე მტრის ძებნას არ შეეცდება; მაშინ საქართველო დაინახავს იმ მეგობრულ ხელს, რომელიც მას რუსეთმა გაუწოდა.

ჩვენ დიდი ხანია, რაც წამოვაყენეთ წინადადება, რომელიც მიმართულია ქართულ-რუსული ურთიერთობის კომპლექსური ნორმალიზების, მათ შორის ყველა ორმხრივი საკითხის დარეგულირებისკენ. საქართველომ უნდა დაადასტუროს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირების ვალდებულებები. ასეთი ნორმალური ატმოსფეროს შექმნა ტერორიზმის წინააღმდეგ სპეცსამსახურების მუშაობის ეფექტურობას გაზრდიდა," – აღნიშნა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა რუსულ გაზეთთან ინტერვიუში.

რუსეთის ხელისუფლების პირველი პირი ვლადიმირ პუტინიც, რომელსაც საზოგადოების ერთი ნაწილი უკვე გახსნილად მიუთითებს პოსტის დატოვებაზე, აქცენტებს საქართველოზე აკეთებს და ყოვლად შეუსაბამო პარალელებს ავლებს. უცხოელ ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა: **"ეჭვი მაქვს, რომ ქართველები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებისთვის ძალისმიერ მეთოდებს მიმართავენ. ეს არ იქნება პროდუქტიული იმ შემთხვევაშიც კი, თუ საწყის სტადიაში ისინი შეძლებენ დედაქალაქის – ცხინვალის აღებას. ეს იქნება ხანგრძლივი და მომქანცველი პროცესი. რუსეთის პოლიტიკა ჩეჩნეთის მიმართ სულ სხვაა. ჩვენ იქ 2003 წელს რეფერენდუმი ჩავატარეთ. ეს ძალზე სარისკო გადაწყვეტილება იყო, მაგრამ**

ლავროვს ფაქტები არა აქვს, მაგრამ მეექვსე გრძნობით ხვდება, რომ "ბესლანის ტერაქტში საქართველოცაა დამნაშავე".

საბოლოოდ ჩეჩნებმა რეფერენდუმით დაამტკიცეს, რომ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა სურთ."

ამავე დროს ესპანური გამოცემა **"La Stampa"** ეხმაურება რუსეთის ინტერესს - ბესლანის მოვლენებში საქართველო დაადანაშაულოს და ამ საკითხზე მასალას აქვეყნებს.

საუბარი ეხება გენშტაბის ხელმძღვანელის იური ბალუევსკის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ **"რუსეთი უფლებას იტოვებს, ტერორისტთა ბაზებს შეუტიოს ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი განლაგებულნი".**

აღნიშნულთან დაკავშირებით ესპანური გამოცემა ასეთ კომენტარს აკეთებს: **"გაურკვეველია, თუ ვისკენ არის ეს მუქარა მიმართული. გენშტაბის ხელმძღვანელმა ეს არ დააკონკრეტა. პირველი, რაც აზრად მოგვდის, არის საქართველო, სადაც ჩეჩნებით დასახლებულ პანკისის ხეობაში უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც ბოევიკთა დაჯგუფებები ბუდობენ. საქართველოსთან არსებული დაუცველი საზღვარი კამათის საგანი ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს იყო, რომელსაც რუსეთმა ძალა დაანახა. ახლა, როდესაც თბილისის ხელისუფლებაში ამერიკაზე ზედმეტად ორიენტირებული მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, კონფლიქტი კვლავ განახლდა.**

ბესლანის მოვლენების შემდეგ რუსეთმა საქართველოსთან საზღვარი ჩაკეტა, ხოლო კრემლთან დაახლოებული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პრორუსული განწყობის მქონე სამხრეთ ოსეთის მიმართ მიხეილ სააკაშვილის ქმედებები და ჩრდილოეთ ოსეთში მძევლების აყვანა ერთი გეგმის ნაწილია."

კომენტარები ლავროვის განცხადებაზე

"რუსეთის მხრიდან საქართველოს რეგიონებში სეპარატიზმის წახალისება რომ არ ყოფილიყო, მაშინ მისი სამხრეთი საზღვრები უფრო დაცული იქნებოდა," - მიიჩნევს უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი. როგორც უშიშროების, ისე საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასება გუშინ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის განცხადებას მოჰყვა.

"ძალიან მაკვირვებს ლავროვის ასეთი განცხადება. სამხრეთ ოსეთი და ბესლანი თუ რაიმე კავშირშია, მოლოდ იმ კუთხით, რაზეც ჩვენ ადრეც ვსაუბრობდით. კონკრეტულად, როცა საზღვარს უკონტროლოდ ტოვებ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ცხინვალში კაზაკები შემოიყვანეს; ჩეჩნები კი სამხრეთ ოსეთის დასახმარებლად აპირებდნენ შემოსვლას. პრობლემა ისაა, რომ, როდესაც რეგიონი უკონტროლოდ არის მიტოვებული, მაშინ ძნელი სათქმელია, ვინ ჩავიდა, ან რა იარაღი შევიდა ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში, სადაც კრიმინალური ხელისუფლება არსებობს და ნებისმიერი რამ შეიძლება გაბედონ," - აღნიშნა ლავროვის ქართველმა კოლეგამ სალომე ზურაბიშვილმა.

24 საათი

ლარის კურსი და პოლიტიკოსები

დღის შეკითხვა: **როგორ შეაფასებდით ლარის გამყარებას? რას მოუტანს ეს ქვეყნის ეკონომიკას და მოსახლეობას?**

ვერიკო თევზაძე

მაია ნადირაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის ხელმძღვანელი:

ეროვნული ვალუტა სახელმწიფოს სერიოზულ ატრიბუტიკას წარმოადგენს. ლარის გამყარება შეუძლებელია, უარყოფითად შევაფასო, ვინაიდან ეს სახელმწიფოს სერიოზული სიძლიერის ნიშანია.

რასაკვირველია, ეროვნული ვალუტის გამყარებას ყველა დროში აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მომენტები. დღეს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია, იგი შეიძლება ამ პროცესებმა ნაწილობრივ დააზარალოს. თუმცა, ეს რაიმე უბედურების მომასწავლებელი არ არის, სერიოზული ინფლაციის მოლოდინი არ შეიძლება გვქონდეს. თანაც, ისიც გასათვალიწინებელია, ეროვნული ვალუტა რომ არ გამყარებულიყო, ფასები უფრო მაღლა აიწევდა.

ადრე თუ გვიან, ეს პროცესი იძლევა ფასების სტაბილურობის საშუალებას. ამას საკუთარ მაგალითზე ვასკვნი. დოლარებში არანაირი შემოსავალი არ გამაჩნია. თუ ადრე ბაზარში მეხარჯებოდა 50 ლარი, ახლა იმავე პროდუქტების შესაძენად ცოტა უფრო ნაკლები მყოფნის. მიუხედავად იმისა, რომ მაკარონი, რომელიც 85 თეთრი ღირდა, ახლა ლარი გახდა...

პირადად ჩემთვის არ არის ცნობილი, ლარის გამყარებამ ექსპორტის შემცირება და იმპორტის ზრდა თუ გამოიწვია. ევროპაში ევროს გამყარებისას პირიქით მოხდა. საქართველოში რა ხდება, არ ვიცი. თუ ექსპორტი შემცირდა, არა მგონია, ეს ლარის გამყარების გამო ხდებოდეს...

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველა მომენტის გათვალისწინების მიუხედავად, არანაირად არ შემიძლია, რომ ჩვენი ქვეყნის ვალუტის გამყარება უარყოფითად შევაფასო.

ფიქრია ჩიხრაძე, საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი:

ექსპერტებისგან განსხვავებით, ამ პროცესს სკეპტიკურად ვუყურებ. როგორც რიგითი მოქალაქე, ვიტყოდი იმას, რომ ეროვნული ვალუტის გამყარება დადებითად არ აისახება პროდუქტების ფასებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმალურ მოვლენასთან არ გვაქვს საქმე. ლარის გამყარება ხელოვნურ პროცესებზეა დამყარებული. აქედან გამომდინარე, დიდი ხიფათი არსებობს იმისა, რომ ლარის კურსი ძნელი დასაჭერი გახდეს და რთული ინფლაციური პროცესი დაიწყოს. ამგვარი თამაში ძალზე სახიფათოდ მიმაჩნია.

ზურაბ ჭიაბერაშვილი, დედაქალაქის მერი:

ის, რომ ლარის გამყარება საგარეო ვალების მომსახურებას დადებითად წაადგება, კარგია. ქვეყნის შიგნით საქმე უფრო სხვაგვარად არის. ამ საკითხში კომპეტენტური არ გახლავართ. ფინანსისტებმა უნდა გააკეთონ გრძელვადიანი პროგნოზები, რა უფრო წაადგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას.

ერთადერთი, რაც დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ ვალუტას უყვარს სტაბილურობა, ეკონომიკურ ბაზარზე მისი კურსი ყოველთვის სტაბილური უნდა იყოს. ლარის კურსის ცვალებადობას, შესაძლოა, სავალალო შედეგები მოჰყვეს.

კობა დავითაშვილი, დამოუკიდებელი დეპუტატი:

ეს იყო ხელისუფლების მიერ ხელოვნურად გათამაშებული სიტუაცია, რომელმაც მოტყუებული დატოვა მოსახლეობა. ხელისუფლებას სურდა, ხალხისგან სავალუტო დანაზოგები ამოეღო და ეს წარმატებით მოახერხა კიდეც. სამწუხაროა, როცა ასეთ სპეკულაციურ რყევას ახორციელებს სახელმწიფო და საკუთარ ხალხს აზარალებს.

რაც შეეხება ეკონომიკურ ეფექტს, ლარის ხელოვნურად გამყარებამ გამოიწვია ექსპორტის შემცირება და იმპორტის ზრდა, რაც აუარესებს სავაჭრო ბალანსს, ქვეყნის შიგნით არ ხდება წარმოების სტიმულირება. ყველაფერი ეს, ფაქტობრივად, რეკეტის ტოლფასია...

ვასილ მაღლაფერიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:

ფინანსისტები ამბობენ, რომ საქმე ძალიან კარგად არის. რასაც ვხედავ, ყველაფერი ძვირდება, თავად დოლარის გარდა.

აქამდე მეგონა, ეროვნული ვალუტის გამყარება იმას ნიშნავდა, რომ მისი საშუალებით, ბევრი რამის შეძენა შეგეძლო...

ერთი სიტყვით, პირდაპირი შედეგი არ ჩანს. შეიძლება ლარის გამყარებაში არის დადებითი მომენტები, მაგრამ პირადად მე მსგავსი რამ ნამდვილად ვერ დავინახე.

ახალი გერბი სექტემბრის ბოლოსთვის გვექნება

სექტემბრის ბოლოს საქართველოს ახალი გერბი ექნება. გუშინ პარლამენტის განათლების კომიტეტში გერბის პროექტი უნდა განეხილათ, თუმცა, ჰერალდიკური სიმბოლოების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის ელდარ შენგელაიას მოთხოვნით, პროექტის განხილვა გადადეს. როგორც შენგელაიამ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, სახელმწიფო კომისიამ უცხოურ ჰერალდიკურ ორგანიზაციებს კომისიის მიერ გამარჯვებულად მიჩნეული ახალი ქართული გერბის პროექტი ახსნა-განმარტების დანართებით გაუგზავნა. ელდარ შენგელაიას განცხადებით, გერბის პროექტის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებმა დადებითი გამოხმაურება გამოგზავნეს, თუმცა, გარკვეული შენიშვნებიც ჰქონდათ. მისივე თქმით, გამარჯვებული პროექტის ავტორმა მამუკა გონგაძემ უცხოელ ექსპერტთა შენიშვნები გაითვალისწინა, თუმცა, ზოგიერთის გათვალისწინებაზე უარი განაცხადა. კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატებს გადასცა გერბის პროექტის საკმაოდ სქელტანიანი განმარტებითი მასალა, რომელშიც შესულია უცხოელ ექსპერტთა შენიშვნები და დეპუტატებს მისი შესწავლა მოსთხოვა. დღეს გერბის პროექტის განხილვა ავტორის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. **ინტერ-პრესი**

საქართველოს ვიზები შემცირებული ტარიფით გაიცემა

2004 წლის 9 სექტემბრიდან ძალაში შევიდა "საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები, რომელიც საქართველოს ვიზების შემცირებული ტარიფებით გაცემას ითვალისწინებს.

კერძოდ: ერთჯერადი ვიზა გაიცემა: 1 თვემდე ვადით - 10 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, 3 თვემდე ვადით - 30 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, ორჯერადი ვიზა - შესაბამისი ვადის ერთჯერადი ვიზისთვის დაწესებული მოსაკრებლის 150 პროცენტი.

მრავალჯერადი ვიზა: 1 წლამდე ვადით - 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, სატრანზიტო ვიზა: ერთჯერადი - 5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, ორჯერადი - 10 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

ამასთან, კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, გასვლის ვიზა არ ესაჭიროებათ იმ უცხოელებს, რომლებსაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული აქვთ საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება.

საქართველოში შემოსვლისთვის ვიზა არ მოეთხოვებათ იმ საკრუიზო გემის მგზავრებს, რომელთა ყოფნის ვადა საქართველოს ტერიტორიაზე არ აღემატება 72 საათს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული დებულებები არ გავრცელდება იმ ქვეყნების მოქალაქეებზე, რომელთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებები სავიზო მოსაკრებლების ტარიფების შესახებ (რუსეთის ფედერაცია, თურქეთის რესპუბლიკა). **მედია-ნიუსი**

ნაბზდოროვის შემცვლელი კონფლიქტის ზონაშია

გენერალ-მაიორი მურატ კულახმეტოვი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების სარდლის მოვალეობის შესრულებას გუშინ შეუდგა. მან ამ თანამდებობაზე გენერალ-მაიორი სვიატოსლავ ნაბზდოროვი შეცვალა, რომელიც, რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ბრძანებით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის აკადემიის ძირითადი ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ დაინიშნა. ნაბდზოროვის თქმით, კულახმეტოვმა კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების საგუშაგოები გუშინვე მოინახულა და რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონში დათვალიერება მოაწყო. კულახმეტოვი ქართული და ოსური სამშვიდობო ძალების ბატალიონების დათვალიერებასაც გეგმავს, მაგრამ მანამდე იგი სამხეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარ კოკოითს და განსაკუთრებულ სიტუაციათა მინისტრს ბორის ჩოჩიევს შეხვდება. ნაბზდოროვი გენერალ კულახმეტოვს უფლებამოსილებას ოფიციალურად რამდენიმე დღეში გადააბარებს. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოში ჩეჩნეთის დიასპორის ლიდერის ხიზრი ალდამოვის ინფორმაციით, ქალაქ ბესლანის ტრაგედიის შემდგომ იჩქერიის რესპუბლიკაში ჩეჩნების მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო, რის შედეგადაც უკვე 200-მდე პირია დაკავებული. "აღსანიშნავია, რომ ჩეჩენმა ერმა ბესლანის ტრაგედია განსაკუთრებულად განიცადა. მით უფრო, რომ რუსეთ-იჩქერიის კონფლიქტის პერიოდში ჩეჩნებმა 10 წლის განმავლობაში 35 ათასი ბავშვი დაკარგეს", - განაცხადა ალდამოვმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 16 სექტემბერს საქართველოში ჩამოდიან ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ნატო-სთან თანამშრომლობისა და დემოკრატიული მმართველობის ქვეკომიტეტების წარმომადგენლები, რომლებიც ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ერთდღიან კონფერენციასაც გამართავენ საქართველოს პარლამენტში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთში 3 ოქტომბრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მოსკოვის ფავორიტი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს. "საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლა ყველა შემთხვევაში გამორიცხულია", - განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა რაულ ხაჯიმბამ ქალაქ სოხუმში ამომრჩევლებთან გამართულ შეხვედრაზე. მისი თქმით, იგი მომავალში საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას არ გამორიცხავს, მაგრამ აღნიშნავს, რომ "ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსთან მხოლოდ მას შემდეგ აღდგება, რაც საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ჰარვარდის უნივერსიტეტის ინიციატივით, გუშინ, ჩაქვში, სასტუმრო "ოაზისში" "შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამის" რეგიონული კონფერენცია დაიწყო. კონფერენციის მთავარი თემა იქნება შავი და კასპიის ზღვების პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა. კონფერენციაში მონაწილეობას საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე და სხვა ხელმძღვანელი პირები მიიღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში გამართულ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დავით ზურაბიშვილი დაინიშნა. **მედია-ნიუსი**

თბილისი. საერთაშორისო სწავლებათა სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, რომლის სათაო ოფისიც ლონდონშია, ქართველ სპეციალისტებთან ერთად სპეციალურ სამუშაო ჯგუფს შექმნის. ამგვარი ინიციატივა საერთაშორისო სწავლებათა სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების დირექტორმა ოქსანა ანტონენკომ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან დავით ბაქრაძესთან ლონდონში შეხვედრისას წამოაყენა. ოქსანა ანტონენკოს განცხადებით, სპეციალური ჯგუფი შეიმუშავებს სამხრეთ ოსეთში საქართველოს იურისდიქციის უსწრაფესი აღდგენის სტრატეგიას და საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის რეგიონის ავტონომიური სტატუსის შესაძლო ვარიანტებს. **ინტერ-პრესი**

ოფიციოზი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 384

2004 წლის 9 სექტემბერი
ქ. თბილისი

გ. ჭანტურიას საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

გათავისუფლდეს გიორგი ჭანტურია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან და ჩამოერთვას მას საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულის სტატუსი.

მიხეილ სააკაშვილი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ერთადერთი მეთოდი - დაპატიმრება

„ორთაჭალის საპყრობილე ყვარყვარეს ციხეს ჰგავს"

პირველი გვერდიდან

ამის მიზეზად დაპატიმრების ბრძანების გამცემ მოსამართლეებში გამეფებულ შიშს ასახელებენ. სწორედ ამის გამო, ორთაჭალის საპყრობილეში საგანგაშო სიტუაცია შეიქმნა, რადგან პატიმართა რაოდენობამ დასაშვებ ზღვარს ბევრად გადააჭარბა.

"ის, რომ აღკვეთის ღონისძიების ფორმად ყველა შემთხვევაში პატიმრობა გამოიყენება, ძალზე ცუდი ტრადიციაა. მსუბუქი და საშუალო ხარისხის დანაშაულის შემთხვევაში აღკვეთის მსუბუქი ზომა უნდა გამოიყენებოდეს და ამ საკითხზე ჩვენ ვმუშაობთ," – აცხადებს იუსტიციის საბჭოს მდივანი პალიკო კუბლაშვილი.

"სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სიტუაცია კვლავ მძიმეა. ყველაზე რთული მდგომარეობა თბილისის N1 საპყრობილეშია, სადაც დასაშვებ ზღვარზე 1000-ით მეტი პატიმარი იმყოფება," - განაცხადა იუსიტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა. მისი ინიციატივით 400 პატიმრის საქმე, რომელთაც მსუბუქი ხარისხის დანაშაულში ედებათ ბრალი, გადაეგზავნა შესაბამის ორგანოებს, რათა მათთვის აღკვეთი ღონისძიების – პატიმრობის შეცვლა მოხდეს.

"საპატიმრო ადგილებში უმძიმესი მდგომარეობაა. ჩვენ ამის შესახებ ვუთხარით იუსტიციის მინისტრს. უკანონო პატიმრობის შემთხვევები მრავლადაა და ამის შესახებაც ჩავაყენეთ საქმის კურსში. პატიმრები ძალზე ხშირად ჩივიან იმის შესახებ, რომ გაუვიდათ პატიმრობის ვადა, მაგრამ ამას არანაირი რეაქცია არ მოსდევს. გუშინ ერთ ასეთ ახალ შემთხვევას მივაკვლიე. N1 საპყრობილეში იმყოფება პატიმარი ზაზა ცეცხლაძე, რომელიც თვენახევარია უკანონო პატიმარია. მას პატიმრობის 24-თვიანი ვადა ამოეწურა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს 6-თვიანი ვადა აღარ გაუგრძელებია და 45-ე დღეა, რაც პატიმრობის ვადა გაუვიდა. ის, რაც აჭარის სასამართლომ გააკეთა, კანონის არანაირ ნორმებში არ ჯდება. მოვაჭრეებს შეუფარდა პატიმრობა; არადა, მათთვის წაყენებული მუხლი მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებდა. წარმოუდგენელი სიტუაციაა; აპატიმრებენ ყველას, კანონის სხვა ნორმა თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ გამოიყენება. ციხეში არიან პირები, რომელთაც 49 ლარის და ტრაქტორის ქურდობისთვის სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ჩვენ აუცილებლად დავაყენებთ ამ საკითხს პრეზიდენტის წინაშე. ორთაჭალის საპყრობილე ყვარყვარეს ციხეს ჰგავს და მალე გასკდება.

საერთოდ, N1 საპყრობილეში უმძიმესი მდგომარეობაა. უმწვანილო წვნიანის და ბორშის გარდა, პატიმრები საკვებს არ ღებულობენ, ერთ საკანში 50-60 პატიმარია, ანუ ერთ საწოლზე ხუთი პატიმარი მოდის, საკნებში ჰაერიც კი არ მოძრაობს. ამ ადამიანებს კონკრეტული დანაშაულისთვის პატიმრობა აქვთ მისჯილი და არა წამება. 90 პროცენტი ნარკოტიკის და იარაღის "ჩადების" მეთოდითაა დაკავებული. მრავლადაა წინასწარი დაკავების საკნებში ნაწამები პირებიც, რომელთა საქმეების გამოკვლევასაც ძალზე სერიოზულად ვაპირებთ. ციხეში დაფიქსირებულია პატიმართა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც. რაზეა საუბარი, როცა ციხის უფროსი კიკილაშვილი, რომელმაც სამი პატიმარი სცემა, ხოლო პროკურატურამ საქმე ჩაფარცხა, კვლავ საპყრობილის დირექტორია," – ჩვენთან საუბრისას განაცხადა იუსტიციის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ.



სიტუაცია უმძიმესია - ორთაჭალის საპყრობილე ყვარყვარეს ციხეს ჰგავს და მალე გასკდება.

ბოლო პერიოდში მომხდარი უკანონო პატიმრობის ფაქტების გახსენება მრავლად შეიძლება. ბევრ მათგანზე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სერიოზული სკანდალიც კი ატეხეს, ამის დასტურია გორის გაზეთის რედაქტორის - ოქრუაშვილის საქმეც.

უკანონო პატიმრებზე - უფრო კონკრეტულად, საპატიმრო ვადაგასულ პირებზე საუბრისას იუსტიციის მინისტრს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა კანონის ერთი ნორმა შეახსენეს. სხვათა შორის, ეს ნორმა კაზუსის სახით ადვოკატთა საგამოცდო ტესტებშიცაა შეტანილი. ტესტი №5-130 შემდეგი შინაარსისაა: "მსჯავრდებულ ანთაძეს გაუვიდა პატიმრობის ვადა, მაგრამ სასჯელაღსრულებითი დაწესებულების უფროსი ბაქრაძე მას არ ათავისუფლებს. ანთაძემ ბაქრაძეს აგური ჩაარტყა, მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და გაიქცა საპატიმრო ადგილიდან." კითხვა ასეთია: უნდა დაისაჯოს ანთაძე სისხლის სამართლის წესით?

თუ ადვოკატი უპასუხებს, რომ ანთაძე უნდა დაისაჯოს, გამომცდელი უარყოფით ქულას დაუწერს, რადგან რეალური, კანონმდებლობაზე დაფუძნებული პასუხი ასეთია: "არა, ანთაძე იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში."

სამართალწარმოების სისტემა პატიმრის გამტყუნებაზე მუშაობს

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადვოკატები მიიჩნევენ, რომ უკანონო პატიმრობის შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა. თითქმის ყველა ადვოკატი თუ დამოუკიდებელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა დღეს რეალურად არსებობს და თუ ხელისუფლებამ და სამართალდამცველმა სტრუქტურებმა სამართალწარმოების არსებული მეთოდი არ შეცვალეს, შედეგი სავალალო იქნება.

მალხაზ ჯანგირაშვილი - ადვოკატი: - უკანონო პატიმრობა წესად იქცა. მიდგომა პატიმრობისადმი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. სამწუხაროდ, დღეს 37-იანი წლებივით ხდება – პიროვნება აუცილებლად უნდა დაიჭირო. არადა, არსებობს აღკვეთის ღონისძიებების სხვა ფორმებიც, თუნდაც - გირაო, ახლახან მიღებული ნორმა - პროცესუალური შეთანხმება, მათი ეფექტური ამუშავება უამრავ დადებით შედეგს მოიტანს. მეტიც, მოხდება სამართალდამცველ სტრუქტურებს შორის არსებული კორუფციული ჯაჭვის გაწყვეტა.

უკანონო პატიმრობის ფორმულა მოქმედ კანონმდებლობაში არ დევს, მაგრამ, კანონით, პიროვნება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით შეიძლება იქნეს დაპატიმრებული. თუმცა, ამ ბრძანებამდე არსებობს მთელი რიგი პროცესუალური ნორმები, რომელთა დაცვა კანონმდებლობით ასევე სავალდებულოა. პიროვნებას ჯერ უნდა მიენიჭოს ეჭვმიტანილის სტატუსი, შემდეგ ბრალის წარდგენა ხდება. ეს ყველაფერი კი საათობრივადაა მკაცრად განსაზღვრული. კანონით, პატიმრობის ვადა ითვლება იმ წუთიდან, როცა პიროვნების დაკავება ხდება, რის მიმართაც, სამწუხაროდ, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლოს მხრიდან ზერელე დამოკიდებულება არსებობს. არადა, კანონში წერია, რომ უკანონო პატიმრობაში მყოფი ნებისმიერი პიროვნება, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გათავისუფლებული. ეს ეხება ნებისმიერი სიმძიმის ბრალდებას. შეიძლება პიროვნება იყოს დამნაშავე, მაგრამ პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო ითვლებოდეს უკანონო პატიმრად; მაგრამ შეიძლება პიროვნება იყოს უდანაშაულო და ითვლებოდეს კანონიერ პატიმრად, თუ პროცესუალური ნორმები დაცულია. უკანონო პატიმრობის უამრავი ფაქტებია და მათი ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანს, რადგან გითხარით, უკანონო პატიმრობა წესად იქცა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა კავშირი" - დათო ხაჟალია: - უკანონო პატიმრობის ფაქტი ახლა უამრავია. ჩვენ არაერთი ასეთი საქმე გვაქვს. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია: ალმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა - აპრიორი გახდა. მე ვიცნობ სტატისტიკურ მონაცემებს და თუ ადრე, შევარდნაძის ხელისუფლების დროს, ციხეში არსებულ ნორმაზე 300 პატიმრით მეტი იყო, ახლა 1200 პატიმარია ზედმეტი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაულმა იმატა, არა - პირიქით, დანაშაულმა იკლო, უბრალოდ, პატიმართა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის რამდენიმე ალტერნატიული სანქცია არსებობს, მაინც ყველას მიმართ გამოყენებულია პატიმრობა. ვერ გამიგია, მაშინ რა საჭიროა ალტერნატიული სანქციები, ამოვიღოთ ის კოდექსიდან. ადამიანებს აპატიმრებენ კანონის სრული დარღვევით, არავინ არაფერს კითხულობს, კანონი არ აინტერესებს, ყველას ეშინია და ისეთი სიტუაციაა შექმნილი, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ასრულებენ შეკვეთას. თუ გნებავთ ექსპერიმენტი ჩავატაროთ, სასამართლოში მივიტანოთ ნებისმიერ ადამიანზე შუამდგომლობა დაპატიმრების მოთხოვნით და აუცილებლად მოგიტანთ დაპატიმრების სანქციას. ადრე არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება ხშირად ხდებოდა, ახლა ეს წარმოუდგენელია, მართლმსაჯულების წარმომადგენლები შეშინებულნი არიან და ფიქრობენ, რომ, კანონის მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, მათ ფულის აღებაში დაადანაშაულებენ. ანუ ასეთი ტენდენციაა – თუ არ დააპატიმრე, ფული გაქვს აღებული. ამ მხრივ, მართლაც, სავალალო სიტუაციაა. ორთაჭალის ციხე ყვარყვარეს ციხეს დაემსგავსა, საქართველოში დღეს პატიმრობა აპრიორია.

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" - ლია მუხაშავრია: - ჩვენ უამრავი ასეთი საქმე გვაქვს და ჩვენი ორგანიზაცია ამ საქმეებზე ჯგუფებად მუშაობს. სამწუხაროდ, მთელი სისტემა – პოლიცის, პროკურატურა, სასამართლო – მუშაობს იმაზე, რომ პატიმარი არ გამართლდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში ამუშავდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რასაც ავტომატურად ევროკონვენციის მე-5 მუხლის ამოქმედება მოსდევს.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, სამწუხაროდ, სასამართლო არ განიხილავს დანაშაულის კვალიფიკაციას, დაპატიმრების საკითხი მექანიკურად წყდება. ამ ბოლო დროს ასეთი ტენდენციაა – ყველას აპატიმრებენ. არსებული 6 აღკვეთის ღონისძიებიდან იყენებენ მხოლოდ ერთს – პატიმრობას, დანარჩენი თითქოს არც არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის რამდენიმე ალტერნატიული სანქცია არსებობს, მაინც ყველას მიმართ გამოყენებულია პატიმრობა. რა საჭიროა ალტერნატიული სანქციები, ამოვიღოთ ის კოდექსიდან.

უკანონო პატიმრობის დანამატი - იარაღისა და ნარკოტიკის „ჩადება"

უკანონო პატიმრობის თემასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადვოკატებისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომელთა ფუნქციაც სწორედ ადამიანის უფლებების დაცვაა. გენერალური პროკურატურის კანონიერებაზე ზედამხედველი დეპარტამენტის უფროსის გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ბოლო პერიოდში საჩივრები უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით პროკურატურაში, ფაქტობრივად, არ შესულა. "ადრე როგორ იყო - არ ვიცი, მაგრამ ახლა ჩვენ ეს საკითხი მკაცრ კონტროლზე გვყავს აყვანილი," – ასეთია გიორგი ღვინიაშვილის პასუხი.

პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებით კი, თუ შევარდნაძის ხელისუფლების დროს ციხე უკანონო პატიმრებით იყო სავსე, "ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ეს პრობლემაც გადაწყვიტა. **"როცა ციხეში დავდივარ, ყოველი მეორე პატიმარი მეუბნება, რომ ის უკანონო პატიმარია, რომ დანაშაული, რომელსაც აბრალებენ, არ ჩაუდენია. ახლაც ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემთან იმყოფება ქალბატონი გორიდან, რომლის შვილი დაკავებულია და ამ საკითხს ვარკვევთ.**

რაც შეეხება ვადების დარღვევით უკანონო პატიმრობის ფაქტებს, ასეთი საჩივრები

შევარდნაძის დროს უამრავი იყო. სამწუხაროდ, იმდენი, რომ შეწუხებული მოსახლეობის ზარებითა და საჩივრებით აკლებული ვიყავით. ციხის ადმინისტრაცია, რომელიც ვალდებული იყო, რომ დაუყოვნებლივ გაეშვა უკანონო პატიმარი, თავის კანონიერ მოვალეობას შიშის გამო ვერ ასრულებდა. მათ ეშინოდათ პოლიციის, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსი. ციხის ყოფილმა უფროსმა ჯიმშერ ბაწაშვილმა, როცა პასუხი მოვთხოვე არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, მითხრა: ქალბატონო ელენე, მართალი ხართ, მაგრამ რა ვქნა? ციხის ადმინისტრაცია შეკრული იყო იუსტიციის სამინისტროსთან და ციხე უკანონო პატიმრებით იყო სავსე. სხვათა შორის, იუსტიციის მინისტრად მიხეილ სააკაშვილის მუშაობის პერიოდში უკანონო პატიმრები, ფაქტობრივად, აღარ იყვენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მინისტრი როლანდ გილიგაშვილი გახდა, მათი რაოდენობა კვლავ საგრძნობლად გაიზარდა.

ახლა სიტუაცია რადიკალურადაა შეცვლილი, უკანონო პატიმრები აღარ არიან და ეს სერიოზული მიღწევაა. მე მომმართა ერთადერთმა მომჩივანმა, რომელიც აცხადებდა, რომ ვადები ამოწურული იყო და მისი შვილი უკანონო პატიმარი იყო, მაგრამ, როცა გადავამოწმე, აღმოჩნდა, რომ ქალბატონი არასწორ ინფორმაციას ფლობდა," – აცხადებს ელენე თევდორაძე. თუმცა, სწორედ უკანონო პატიმრობის თემის გაგრძელებაა ის პრობლემაც, რომლის შესახებაც ადამიანის უფლებების დამცველი პარლამენტარი საუბრობს. ელენე თევდორაძის განცხადებით, პარლამენტის ადამიანის უფლებების დამცველი კომიტეტი მოქალაქეთა სატელეფონო ზარებმა და საჩივრმა "აილო". საუბარია პოლიციელთა მიერ იარაღისა და ნარკოტიკის "ჩადებაზე" და ამ უკანონო მეთოდით დაპატიმრება-ბრალდების "გამაგრებაზე". **"იმდენი შეტყობინება შემოდის ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ სერიოზულად დავიბენი. მაინტერესებს, სადაა სიმართლე. ძალზე შეწუხებულია და დაბნეულია საზოგადოებაც, რომელიც სიმართლეს ეძებს. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრე შს მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, შევხვდი მინისტრის მოადგილეს გია გეწაძეს. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ის დამპირდა, რომ ამ პრობლემაზე სერიოზულად იმუშავებდნენ. გეწაძის ინფორმაციით, რამდენიმე ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი და პოლიციელები პასუხისგებაში მისცეს,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა ელენე თევდორაძემ.

სამართლებრივი აბდაუბდა უკანონო პატიმრობის თემაზე

მაგალითი, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, კიდევ ერთი დასტურია უკანონო პატიმრობის არსებობისა; თანაც, ფაქტმა სამართალდამცველთა უპასუხისმგებლობისა თუ არაპროფესიონალიზმის გამო, კურიოზული ელფერი მიიღო. პატიმარი ირაკლი კერესელიძე უკვე ცხრა წელია, სასჯელს იხდის და თვენახევარია, რაც პატიმრობის ვადა გაუვიდა. მან ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ციხის ადმინისტრაციას და, მიუხედავად არაერთი წერილობითი მოთხოვნისა, იურიდიულად არგუმენტირებული პასუხი ვერ მიიღო.

ირაკლი კერესელიძეს 1996 წლის 24 მაისს სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა მიესაჯა. 1997 წლის 25 ივლისს, სიკვდილით დასჯის გაუქმებამდე სამი თვით ადრე, პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამოსცა ბრძანება №387 და 54 სიკვდილმისჯილი შეიწყალა. თუმცა მან მოსამართლის ფუნქციაც იტვირთა და, მისივე ბრძანებით, 54-ვე პატიმარს 20 წელი მიუსაჯეს, მათ შორის - ირაკლი კერესელიძესაც. არადა, შეწყალების აქტის შემდეგ სასჯელის დანიშვნის პროცედურა უზენაეს სასამართლოს უნდა ჩაეტარებინა. არსებული კანონმდებლობით, რადგანაც სასჯელის უმაღლესი ზომა 15 წელი იყო, 54-ვე შეწყალებული პატიმრისთვის, კანონით, არა 20 წელი, არამედ 15 წელი უნდა შეეფარდებინათ. სხვათა შორის, შევარდნაძის მიერ გამოცემული №387 აქტი, როგორც უკანონო, ირაკლი კერესელიძის მიერ გასაჩივრებულია საოლქო სასამართლოში. სასარჩელო განცხადება საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით შეჩერებულია ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებული ნაწილის მოქმედება.

მოგვიანებით, 2002 წლის 24 ივლისს, გლდანი-ნაძალადევის სასამართლომ განსახილველად მიიღო კერესელიძის ახალი საქმე. იგი დადანაშაულებული იყო ჯგუფური გაქცევის მცდელობის ორგანიზებაში. 2003 წლის 25 თებერვალს მოსამართლე სინჯიკაშვილმა გამოტანა ერთობლივი განაჩენი, რომლის მიხედვითაც, კერესელიძეს 18 წლით პატიმრობა მიესაჯა. გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს განაჩენი კერესელიძემ თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა და 2004 წლის 23 მარტს მოსამართლე ნანა გვეტაძემ ირაკლი კერესელიძეს ჯგუფური გაქცევის ორგანიზების ბრალდება მოუხსნა და, საერთო ჯამში, 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. კერესელიძემ საოლქო სასამართლოს განაჩენი 2004 წლის 4 მაისს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

ირაკლი კერესელიძის საპატიმრო ვადის ათვლა დაიწყო 2002 წლის 24 ივლისიდან, იმ დღიდან, როცა საქმე განსახილველად შევიდა გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში, ანუ რომელი დღიდანაც მას განსასჯელის სტატუსი მიენიჭა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-9 ნაწილში, რომელიც განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის ვადას განსაზღვრავს, ნათქვამია, რომ "განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის საერთო ვადა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე არ შეიძლება აღემატებოდეს 24 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა კიდევ ექვს თვემდე შეიძლება გააგრძელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ." ირაკლი კერესელიძის შემთხვევაში, პატიმრობის 24-თვიანი ვადა 2004 წლის 24 ივლისს ამოიწურა, ხოლო დამატებითი 6-თვიანი ვადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არ გაუგრძელებია. აქედან გამომდინარე, ირაკლი კერესელიძე 2004 წლის 24 ივლისიდან უკანონო პატიმრობაშია. ასეთ შემთხვევაში კი, პატიმრობის მოხდის წესის შესახებ დებულების 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "თუ საპყრობილის ადმინისტრაციას კანონით დადგენილ ვადაში არ გადაეცა შესაბამისი გადაწყვეტილება დაპატიმრების ვადის გაგრძელების ან პატიმრის გათავისუფლების თაობაზე, საპყრობილის დირექტორი პატიმარს ათავისუფლებს თავისი ბრძანებით."

მართალია, №1 საპყრობილის დირექტორმა გელა კიკილაშვილმა გასცა წერილი იმის შესახებ, რომ ირაკლი კერესელიძე უზენაეს სასამართლოზე რიცხული პატიმარია და მის საქმეში არ მოიპოვება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება საპატიმრო ვადის გაგრძელების თაობაზე, მაგრამ გათავისუფლებაზე უარი განაცხადა.

კერესელიძის ადვოკატის მორიგ საჩივარსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძისა და საქმის შემსრულებელის ჯ. მიქელაძის უარყოფითი პასუხი მოჰყვა. უარის საფუძველი უარგუმენტოა, მეტიც, ასეთი პასუხი თავისუფლად შეიძლება მიიჩნიო უპასუხისმგებლობისა და არაპროფესიონალიზმის კლასიკურ ნიმუშად.

შოთა კოპაძე და შემსრულებელი ჯ. მიქელაძე წერენ: რადგანაც ბრალდებულმა ირაკლი კერესელიძემ (არადა, კერესელიძე უკვე 24 თვეზე მეტია, განსასჯელია) საოლქო სასამართლოს განაჩენი 2004 წლის 4 მაისს გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, "ამიტომაც ბრალდებულ ი.კერესელიძისთვის საპატიმრო ვადის შესაძლო ამოწურვის დრო დადგება 2006 წლის 4 მაისს." სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე, ალბათ, იურისტია; ალბათ, იურისტია საქმის შემსრულებელი მიქელაძეც, მაგრამ მათ მიერ დათვლილი საპატიმრო ვადა კანონის არცერთ ნორმაში არ ჯდება. უარის წერილში დასახელებული 162-ე მუხლი მათ ბოლომდე რომ წაეკითხათ, ეცოდინებოდათ, რომ კერესელიძის პატიმრობის ვადის ათვლა გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში საქმის შესვლის დღიდან უნდა დაეწყოთ, ანუ 2002 წლის 24 ივლისიდან და არა როგორც წერენ - 2004 წლის 4 მაისიდან, როცა ირაკლი კერესელიძემ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში გაასაჩივრა საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომელიც ჯერ კანონიერ ძალაში იმ მარტივი მიზეზის გამო არ შესულა, რომ ის უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული. სამწუხაროდ, კოპაძე-მიქელაძემ ისიც კი არ იციან, რომ 162-ე მუხლის მე-8 ნაწილი რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში განსასჯელის ვადის დაწესებას განსაზღვრავს. არადა, სწორედ 162-ე მუხლის მე-8 ნაწილს დაეყრდნენ, როცა კერესელიძეს პასუხს აძლევდნენ და ეს სერიოზული იურიდიული ლაფსუსი მხოლოდ კერესელიძის ადვოკატის ჩარევის შემდეგ გადაასწორეს.

გაცილებით შთამბეჭდავია ციხის უფროსის გელა კიკილაშვილის პასუხი. ციხის უფროსმა, რომელიც, ალბათ, კოპაძე-მიქელაძესავით იურისტია, თვითშემოქმედების ყველა ზღვარს გადააჭარბა - "ამჟამად მსჯავრდებული ირაკლი კერესელიძე სასჯელს იხდის 1996 წლის 24 მაისის განაჩენით". ამ კურიოზული არგუმენტით ამაგრებს ის უარის პასუხს. არადა, ამ განაჩენით, ირაკლი კერესელიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს, ანუ, კიკილაშვილის აზრით, ირაკლი კერსელიძე ახლა დახვრეტამისჯილი პატიმარია.

ირაკლი კერსელიძის ადვოკატმა საჩივრით მიმართა გენერალური პროკურატურის კანონიერებაზე ზედამხედველ დეპარტამენტსაც. მიუხედავად იმისა, რომ კერსელიძეს 10 დღის ვადაში უნდა მიეღო პასუხი, პროკურატურას თავიც არ შეუწუხებია თუნდაც უარყოფითი პასუხის გაცემით. არადა, როგორც გენერალური პროკურატურის კანონიერებაზე ზედამხედველი დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ღვინიაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, კერესელიძის ადვოკატს პროკურატურამ პასუხი გასცა.

აი, ასეთ სამართლებრივ აბდაუბდაშია გახლართული ირაკლი კერესელიძე, რომელმაც ვერც ერთი ინსტანციისგან არგუმენტირებული პასუხი, ჯერჯერობით, ვერ მიიღო.

გვერდი მოამზადა ინგა ალავიძემ

სააქციო საზოგადოებების დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს **"სამეთვალყურეო საბჭოს როლი კორპორაციულ მართვაში".** სემინარის თემებია:

1. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი ქართული კანონმდებლობის მიხედვით
2. სამეთვალყურეო საბჭო - საუკეთესო პრაქტიკა.

სემინარი გაიმართება ა.წ. 14 სექტემბერს 10:00-ზე საბანკო-საფინანსო აკადემიის შენობაში (დ. აღმაშენებლის 123, II სართული).

სემინარი განკუთვნილია მხოლოდ სააქციო საზოგადოებების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის.

სემინარზე დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზნით, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 91 30 96, 91 26 89, 91 29 58.

აჭარის, გურიისა და სამეგრელოს სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს რეგიონებში არსებული სააქციო საზოგადოებებისათვის თემაზე **"კორპორაციული მართვის საფუძვლები - სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, ფინანსური ანგარიშგება".**

სემინარი გაიმართება ა.წ. 16 სექტემბერს 10:30 საათზე, ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, I კორპუსი, III სართული).

სემინარი განკუთვნილია სააქციო საზოგადოებათა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის. სემინარის შემდეგ მსურველებს გაეწევათ უფასო კონსულტაციები იურიდიულ და ფინანსურ საკითხებში.

სემინარზე დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. მსურველებს ვთხოვთ, წინასწარ დაგვიდასტურონ მონაწილეობა შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 8 32 91 30 96, 8 32 91 26 89, 8 32 91 29 58.

როდის "დაწყნარდება" ლარი?

პირველი გვერდიდან

ის არ გამორიცხავს, რომ 180 მილიონის ხარჯვას უკუპროცესები მოჰყვეს და დოლართან მიმართებაში გამყარებული ლარის დაცემის პროცესი დაიწყოს.

მთავრობის პოზიციის დაცვისას ყველაზე ლაკონური გამომსვლელი სხდომაზე ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე გახლდათ, რომელმაც დამსწრეთ განუცხადა, რომ ლარის კურსი ეკონომიკის ზრდის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კომპონენტია და მხოლოდ მასზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება არასწორია. **"პროცესებს სამი ფაქტორი განსაზღვრავს - საკურსო პოლიტიკა, საგადასახადო წნეხი და სოციალური გარემო. მხოლოდ ლარის კურსის საფუძველზე მსჯელობა არ მიმაჩნია სწორად. ჩვენ ვლაპარაკობთ ლარის ნომინალურ კურსზე, ამ დროს ეკონომიკაზე გავლენას ლარის რეალური გაცვლითი კურსი ახდენს",** - განაცხადა ბენდუქიძემ და დარბაზი დატოვა. დადევნებულ ჟურნალისტებს კიდევ ერთი ფრაზა "აჩუქა": **"არაფერი საგანგაშო არ არის, დაწყნარდით და დაიშალეთ!"**

ხელისუფლების პოლიტიკის დაცვა გუშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ და ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა იკისრეს:

ირაკლი მანაგაძის განცხადებით, ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია, მათ შორის - ფისკალური ადმინისტრირების უპრეცედენტო გაუმჯობესებამ. როგორც მანაგაძემ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, მიმდინარე წლის 8 თვეში მობილიზებულია იმაზე მეტი თანხა, ვიდრე მთელი გასული წლის განმავლობაში. **"ამან ლარზე მოთხოვნა 4-5-ჯერ გაზარდა და 1998 წლის შემდეგ, პირველად საქართველოში, დედოლარიზაცია დაიწყო",** - განაცხადა მანაგაძემ.

მისი თქმით, პარალელურად, ქვეყანაში გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოდინება, რაც კონკრეტულად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს უკავშირდება; ამასთან, შემოვიდა მცირე მოცულობის ინვესტიციებიც. **"ექსპერტების შეფასების მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ექსპორტს ლარის კურსის გამყარებით საფრთხე არ დამუქრებია; პირიქით, 2004 წლის შვიდ თვეში ექსპორტი 62 პროცენტით გაიზარდა. ჩრდილოვანი ეკონომიკის გათვალისწინებით, ექსპორტმა 52 პროცენტით მოიმატა",** - განაცხადა მანაგაძემ.

"ეროვნული ბანკის" პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ "ეროვნული ბანკი" ვერ შეცვლიდა კურსის მოძრაობის ვექტორს, ამიტომ მცოცავი რევალვაციის ტაქტიკა აირჩია. მისი განმარტებით, ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკებისთვის სავალდებულო რეზერვების (ეროვნულ ვალუტაში) საპროცენტო განაკვეთის 13 პროცენტიდან 2 პროცენტამდე შემცირება, რის შესახებაც ბრძანება ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა თვენახევრის წინ გასცა, გამიზნული იყო კომერციული ბანკების მხრიდან ლარზე მოთხოვნის შემცირებისკენ.

ამასთან, **"მიმდინარე წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე 160 მლნ დოლარი შეისყიდა. ეს რომ არ მომხდარიყო, ლარის კურსი კიდევ უფრო გამყარდებოდა. ამ დროისთვის უკვე "საქართველოს ეროვნული ბანკის" საერთაშორისო რეზერვები 360 მლნ დოლარს შეადგენს, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამან, რა თქმა უნდა, ჩვენი თვითკმაყოფილება არ უნდა გამოიწვიოს და უფრო მაღალ მაჩვენებლებზე უნდა გავიდეთ",** - განაცხადა მანაგაძემ.

სამაგიეროდ, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მიიჩნევს, რომ წელს მისი უწყების მიერ გაწეული სამუშაო თვითკმაყოფილების უფლებას ნამდვილად იძლევა:

"ეროვნული ვალუტის კურსის გამყარების გამო მთავრობა თავის მართლებას არ აპირებს იმ პირობებში, როცა ფისკალურ სექტორში ასეთ წარმატებებს მიაღწია", - ამბობს ფინანსთა მინისტრი.

მისი თქმით, მთავრობამ უკვე დაიწყო ეროვნული ბანკის დეპოზიტებზე მობილიზებული 180 მლნ. ლარის დახარჯვა. **"აგვისტოში დავხარჯეთ დაგეგმილზე 40 მლნ. ლარით მეტი, სექტემბრის დასაწყისში უკვე 20 მლნ. ლარით მეტი ხარჯი გავწიეთ",** - განაცხადა ნოღაიდელმა. მისივე განმარტებით, დეპოზიტზე 180 მილიონის კონსერვაცია კი არ ხდება და სამინისტრო ხარჯების გაწევისგან თავს იკავებს, არამედ შემოსავალია ჭარბი და ხარჯის გაწევის შემდეგ ხაზინა სწრაფად ივსება.

ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკა ჯანსაღია და ტენდენციები იქით მიდის, საითაც უნდა მიდიოდეს. **"ლარსა და დოლარს შორის ახალი ბალანსის ჩამოყალიბება შემოსავლების მობილიზებამ გამოიწვია. იანვარში საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებული იყო 95 მლნ. ლარი, აპრილში - 142 მლნ. ლარი, აგვისტოში კი - 187 მლნ. ლარი. მთავრობას აქვს მკაფიო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს. ამჟამად ატეხილი აჟიოტაჟი გაივლის და ეს პოლიტიკა ისევ გაგრძელდება",** - განაცხადა ნოღაიდელმა, რომელმაც არაკომპეტენტური უწოდა იმ ექსპერტთა განცხადებებს, რომლებიც ლარის კურსის გამყარების ფონზე შექმნილ საბიუჯეტო პრობლემებზე საუბრობენ.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, მთავრობა შეწუხებულია მოქალაქეების იმ 30 პროცენტის ბედით, რომელსაც შემოსავალი დოლარში ჰქონდა, თუმცა ზრუნავს მოქალაქეთა იმ 70 პროცენტზე, რომელიც, ძირითადად, ლარზე იყო დამოკიდებული. **"განვითარების ფონდიდან დოლარებში ხელფასს მეც ვიღებ და თებერვალთან შედარებით უკვე ამ თვეში 550 ლარი დავკარგე",** - განაცხადა ნოღაიდელმა შეხვედრაზე.

საბოლოო ჯამში, ხელისუფლება გუშინ ირწმუნებოდა, რომ ლარის კურსის სტაბილური ნიშა, პრაქტიკულად, მოძებნილია და ამ საკითხის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი - უსაფუძვლო. გუშინვე ითქვა, რომ განსაკუთრებულ რყევებს ამ მიმართებით არ უნდა ველოდოთ. მოკლედ - ხელისუფლებამ გუშინ ლარის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის ჩაწყნარება სცადა.

სხდომა უკვე დასრულებული იყო, როცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ლარის კურსთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე დადებითი ძვრების შედეგია. პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს იმას, რომ იზრდება ქვეყნის შიდა პროდუქტის წარმოება. **"ასევე შეწყვეტილია ქვეყანაში კონტრაბანდის შემოდინება, რაც ბუნებრივად აისახება ლარის გამყარებაზე",** - განაცხადა ჟვანიამ, რომლის თქმითაც, ხელისუფლება ამ პროცესებს აკონტროლებს და რაიმე გაუთვალისწინებელი შედეგები, რაც მოსახლეობას დააზარალებს, მოსალოდნელი არ არის.

საფრთხე

მიუხედავად გუშინდელი განხილვის საერთო ტონალობისა, გარკვეული მინიშნებები ეროვნული ვალუტის კურსის მომავალ ბედთან დაკავშირებით გუშინდელ სხდომაზე მაინც გაკეთდა. მაგალითად, რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ შესაძლოა, 180 მილიონის ხარჯვას უკუპროცესები მოჰყვეს და დოლართან მიმართებაში გამყარებული ლარის დაცემის პროცესი დაიწყოს. სხდომაზე გაიჟღერა ვალუტით სპეკულაციის შესახებ განცხადებებმაც. გუშინ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე განვითარებულმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ ექსპერტების შიში და ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ლარის უპრეცედენტო სიჩქარით გამყარება, შესაძლოა, სპეკულაციის საგანი გამხდარიყო, სულაც არ გახლავთ უსაფუძვლო.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გუშინ ვაჭრობა ჩაიშალა. ამის მიზეზი კი კურსთა შორის ხუთპროცენტიანი სხვაობის გადაჭარბება გახდა.

სავალუტო ბაზრის ექსპერტ-ანალიტიკოსის ზაზა გრიგალაშვილის თქმით, ვაჭრობაზე ბანკების მხრიდან დოლარის შესყიდვის მოთხოვნა გაიზარდა. საბირჟო კანონებით, ასეთ შემთხვევაში ვაჭრობა არ უნდა შედგეს, რათა არ მოხდეს სპეკულანტური გარიგებები. შედეგად, ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 8 სექტემბრის მაჩვენებლების მიხედვით შენარჩუნდა და დღემდე 1 დოლარის ღირებულება 1,7050 ლარს შეადგენს.

მაინც რა მოხდა გუშინ ბირჟაზე? გუშინ კომერციულმა ბანკებმა, რომლებსაც ოთხშაბათამდე ერთი დოლარიც კი არ შეუძენიათ, ერთბაშად სცადეს უკიდურესად გაიაფებული დოლარის შესყიდვა. "24 საათის" მცდელობა, დაედგინა, თუ ზუსტად რა რაოდენობის ლარი გამოიტანეს კომერციულმა ბანკებმა ბაზარზე, უშედეგოდ დასრულდა, რადგან ვაჭრობის ჩაშლის მოტივით, ოფიციალური ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განგვიცხადეს. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, ბაზარზე 16-მა ბანკმა 10 მილიონამდე დოლარზე წარმოადგინა მოთხოვნა, რაც ნიშნავს, რომ ამ ბანკებმა ბაზარზე 17 მილიონზე მეტი ლარის "გამოტანა" შეძლეს. შესაბამისად, ლარმა მკვეთრად დაიწყო გაიაფება, რაც, საბოლოოდ, ვაჭრობის ჩაშლის მიზეზი გახდა.

ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ იმ ფონზე, როცა ბანკები ბაზარს, ძირითადად, დოლარებს აწოდებდა (აგვისტოში ლარის კურსის გამყარების შესაჩერებლად ეროვნულ ბანკს 49 მილიონი დოლარის შესყიდვა მოუწია, სექტემბერში კი უკვე მოასწრო 19 მილიონი დოლარის ყიდვა, იგივე მიზნებით), უეცრად ბაზარზე ლარების დიდი ოდენობით გამოჩენა ნიშნავს იმას, რომ სავალუტო ბაზარზე მოთამაშე სუბიექტთა ნაწილს ლარები განზრახ ჰქონდათ "გაჩერებული", ხელისუფლების მიერ ლარის კურსის სერიოზულად გამყარების გააზრებულმა თუ გაუაზრებელმა დაშვებამ კი მათ სპეკულაციური გარიგებების ჩასატარებლად ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა.

თავის მხრივ, ბანკების ხელში ლარების ასეთი მასის არსებობას სავალუტო ბაზრის წარმომადგენელი იმით ხსნის, რომ მთავრობის განცხადებებმა ლარის კურსის დასტაბილურების შესახებ, წარმოშვა დოლარის გაძვირებასთან დაკავშირებული მოლოდინი და ბანკებმა, მოგების მიღების მიზნით, მოახდინეს მათ ხელში არსებული ლარების "მობილიზება", ანუ გუშინ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე შექმნილ სიტუაციას ხელისუფლება ბოლო დღეებში ლარის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს მიაწერს. თუმცა, მიუხედავად ბირჟაზე შექმნილი სიტუაციის რეალური მიზეზისა, შედეგი ანუ საფრთხე, რომელიც დოლარზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში ლარის კურსს შეიძლება შეექმნას, უცვლელი რჩება.

თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე ირწმუნებიან, რომ დღევანდელი ვაჭრობა სკანდალური უკვე აღარ იქნება, ვალუტით სპეკულირებას არავინ დაუშვებს და დღევანდელ ვაჭრობაზე კურსის მკვეთრ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. რამდენად რეალურია ეს პროგნოზი - დღესვე გაირკვევა. მანამდე კი შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებას ელის უკვე ლარის კურსის დაცემის წინააღმდეგ ბრძოლა, თუნდაც მოკლევადიანი.

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან

გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში

უკვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე

პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58

ორი სიტყვით

პაკისტანი. ქვეყნიდან ბირთვული ნედლეულისა და აღჭურვილობის გადინების შესახებ უცხოური მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია პაკისტანის ხელისუფლებამ უარყო. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მასუდ ხანის შეფასებით, ასეთი ინფორმაციის გავრცელება "უსაფუძვლო და მავნეა". დიპლომატის განცხადებით, პაკისტანმა ადრევე მიიღო ზომები ბირთვული ტექნოლოგიებით ფარულად მოვაჭრე პირების წინააღმდეგ და ეს საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც კარგადაა ცნობილი. "ბირთვული ნედლეულისა და ტექნოლოგიების გავრცელებაში ბრალდებულნი პაკისტანის კანონმდებლობის შესაბამისად დაისაჯნენ," - აღნიშნა მასუდ ხანმა. პაკისტანის საგარეო უწყების წარმომადგენელმა ასევე სავსებით უარყო ისლამაბადის მიერ აშშ-სთვის ირანისა და ლიბიის ბირთვული პროგრამის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. მასუდ ხანის განცხადებით, ირანთან ბირთვული იარაღის სფეროში პაკისტანი არასდროს თანამშრომლობდა. დიპლომატის თქმით, ისლამაბადი თავად არის ბირთვული ნედლეულისა და ტექნოლოგიების გავრცელების წინააღმდეგი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

ერაყი. მიმდინარე წელს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისთვის აუცილებელი ათასობით ტონა ტექნიკა და აღჭურვილობა განადგურდა. ასეთი სახის ინფორმაციაა მოცემული გაერო-ს მეთვალყურეობის, კონტროლისა და ინსპექციის კომისიის მიერ მომზადებულ მოხსენებაში. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ერაყის ახალმა დროებითმა ხელისუფლებამ გაანადგურა 42 ძრავა აკრძალული სიშორის რაკეტისა, რომლის ქობინებიც ქიმიურ და ბირთვულ ნივთიერებას შეიცავენ. თუმცა, გაერო-ს მეთვალყურეობის, კონტროლისა და ინსპექციის კომისია იმასაც აღნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროს ერაყში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გადამტანი უპილოტო თვითმფრინავებზე მიმდინარეობდა მუშაობა. ასეთი ვარაუდი აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციისათვის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო ერაყში 2003 წლის მარტში შეჭრისათვის. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

ჩინეთი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სიჩუანის პროვინციაში, წყალდიდობის პარალელურად, რასაც უამრავი მსხვერპლი და ზარალი მოჰყვა, სტიქიამ სხვა სახითაც იჩინა თავი და ისედაც უბედურების ზონად გამოცხადებულ პროვინციას მიწისძვრაც დაემატა, რომლის შედეგადაც ათასობით საცხოვრებელი სახლი და სხვა სახის შენობა-ნაგებობა განადგურდა. მიწისძვრის შედეგად დაშავებულია ასევე 20-მდე ადგილობრივი მცხოვრები. დაფიქსირდა რიხტერის შკალით ხუთბალიანი მიწისძვრა. სინჰუას სააგენტოს მონაცემებით, ზოგადად სტიქიის მიერ დაზარალებულთა რაოდენობამ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში 100 000 კაცს გადააჭარბა. **24 საათი**

■ ■ ■

გრენადა. გრენადაზე ძლიერი ქარიშხლის "ივანის" გავრცელების შედეგად დაღუპულია 12 ადამიანი. ხელისუფლების ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, განადგურებულია კუნძულზე არსებული შენობა-ნაგებობების 90 პროცენტი. სახელმწიფოში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა სულ 100 000 კაცს შეადგენს, მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები, რომელსაც პრემიერ-მინისტრი კიტ მიტჩელი ხელმძღვანელობს. "შედეგების წარმოდგენაც კი შეუძლებელია... ჩვენ უზარმაზარი ზარალი განვიცადეთ," - აღნიშნა მან სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის შეფასებისას. საშიშროების ხუთბალიანი შკალის მიხედვით, ქარიშხალმა მეოთხე კატეგორიას მიაღწია. ძლიერი წვიმებისა და გამჭოლი ქარებისგან, რომლითაც "ივანი" ხასიათდება, კარიბის ზღვის რამდენიმე სახელმწიფო დაზარალდა. სინოპტიკოსთა პროგნოზით, კვირის ბოლოს ქარიშხალი იამაიკას, კაიმანის კუნძულებსა და კუბას გადაუვლის, სადაც უკვე მიმართავენ პრევენტიულ ზომებს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

დიდი ბრიტანეთი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მინისტრთა კაბინეტი გადაახალისა. ფინანსთა ახალ მინისტრად ალან მილბერნი დაინიშნა. მან ამ პოსტზე წინამორბედი გორდონ ბრაუნი შეცვალა. ენდრიუ სმიტის მიერ შრომისა და სოციალური საკითხების მინისტრის პოსტის დატოვების შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ ეს თანამდებობა მანამდე განათლების სამინისტროს უმაღლესმა კურატორმა ალან ჯონსონმა დაიკავა.

■ ■ ■

პაკისტანი. გუშინ პაკისტანის შეიარაღებულმა ძალებმა "ალ ქაიდა"-სთან დაკავშირებული საწვრთნელი ბანაკის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია განახორციელეს. გენერალ შაუკატ სულთანის განცხადებით, "დაღუპული 50 ბოევიკიდან 90 პროცენტი უცხოელია, კერძოდ, არიან უზბეკები, ჩეჩნები და რამდენიმე არაბი". ბანაკი ავღანეთის საზღვრებიდან სამოციოდე კილომეტრში, ხოლო პაკისტანის ქალაქ ვანას ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრიდან 25 კილომეტრში იყო განთავსებული. სამხედრო კომუნიკეს თანახმად, პაკისტანის შეიარაღებული ძალების მიერ მიტანილი იერიში ზუსტი გამოდგა და ტერორისტთა ბანაკი უკვე განადგურებულია. **სააგენტო ფრანს-პრესი**

■ ■ ■

ლატვია. გუშინ ლატვიის პარლამენტმა ერაყში დისლოცირებულ ლატვიელ სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო სამსახურის ვადა, რომელიც მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს იწურებოდა, 2005 წლის 8 ივნისამდე გაუგრძელა. თავდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ დეპუტატთა ასეთი გადაწყვეტილება ტერორიზმთან ბრძოლის ქვეყნის მზადყოფნაზე მიუთითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე ლატვიის სამხედრო უწყების ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება ერაყში მისიის შემადგენლობაზე, კერძოდ, მისიაში არ ჩართავდნენ გამნაღმველებს, ამდენად, 133-ის მაგივრად ერაყში გაემგზავრებოდა 120 სამხედრო მოსამსახურე. **იტარ-ტასი**

ვებრძოლოთ ტერორიზმს, ოღონდ სამართლებრივი ნორმების დაცვით



გაერო-ს გენერალური მდივნის აზრით, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის დროსაც აუცილებელია სამართლებრივი ნორმების დაცვა.

ნიკა თარაშვილი

ორიოდე დღის წინ რუსეთის მიერ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ტერორისტებზე პრევენტული დარტყმების განხორციელებისათვის მზადყოფნის შესახებ გაკეთებულ განცხადებას, როგორც ჩანს, საერთაშორისო საზოგადოება აღფრთოვანებით სულაც არ შეხვედრია.

გაერო-ს გენერალურ მდივანს, კოფი ანანს ღრმად სწამს, რომ ყველა, ვინც საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას აწარმოებს, აუცილებლად უნდა იცავდეს სამართლებრივ ნორმებს. "რასაკვირველია, ჩვენ უნდა ვეძიოთ ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის გზები და მეთოდები. თუმცა, ჩვენ ასევე უნდა უზრუნველვყოთ, რომ ეს მეთოდები არ ლახავდეს სამართლებრივ ნორმებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს," - აცხადებს მექსიკაში ვიზიტით მყოფი კოფი ანანი რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელის, იური ბალუევსკის განცხადების საპასუხოდ. შეგახსენებთ, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ რუსეთი პრევენტიულ დარტყმებს განახორციელებს ტერორისტთა განადგურების მიზნით.

ბალუევსკის განცხადებას გამოეხმაურა ევროკავშირიც. სააგენტო "ფრანს პრეს"-ის ინფორმაციით, ბრიუსელში პრევენტული დარტყმების იდეა არცთუ საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ ტერორიზმთან საბრძოლველად.

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისრის წარმომადგენელმა ემა უდვინმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ მისთვის უცნობია რუსი გენერლის განცხადების შინაარსი, ამასთანავე დასძინა, რომ უფრო სერიოზულად მიუდგებოდა, ეს სიტყვები პრეზიდენტ პუტინს რომ ეკუთვნოდეს. "ყველამ ვიცით, რომ ტერორიზმს სხვადასხვა საშუალებებით უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არ მგონია, მსგავსი განცხადებები ყველაზე შედეგიანი ინსტრუმენტი გამოდგეს," - ამბობს უდვინი.

ხოლო რაც შეეხება ევროკომისიის მთავარ პრეს-მდივანს რეიო კემპინენს, ჟურნალისტების თხოვნას, ბალუევსკის განცხადების კომენტარი გაეკეთებინა, იგი ხუმრობით პასუხობს: "მგონი, ჩვენ უკვე მოგვისმენია ასეთი განცხადება, თუმცა არა რუსეთისგან."

ოთხშაბათს იური ბალუევსკის სიტყვები, რომ პრევენტული დარტყები ტერორისტებზე სხვადასხვა ვითარების შესაბამისად სხვადასხვა სახის იქნება, მაგრამ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, თითქმის ყველა ექსპერტმა ერთნაირად გაიგო. "ეს, სავარაუდოდ, ნიშნავს, რომ ისინი შეეცდებიან, მოკლან აჰმედ ზაკაევი ლონდონში ან კიდევ სხვა თვალსაჩინო ჩეჩენი წარმომადგენელი სხვა ქვეყნის დედაქალაქში. მათი უმრავლესობა არაბულ ქვეყნებში ცხოვრობს, ზოგიერთი კი – დასავლეთში," - ვარაუდობს რუსი ანალიტიკოსი პაველ ფელგენგაუერი.

თავად ზაკაევიც ადასტურებს რუსი გენერლის განცხადების სერიოზულობას, მით უმეტეს, რომ მსგავსი ფაქტი ადრე უკვე იყო. ანალოგიურად გაუსწორდნენ იჩქერიის ყოფილ პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევს, ხოლო მისი მკვლელობისთვის ყატარში სასჯელს სწორედ რუსი მზვერავები იხდიან. "მე ვიცი, რომ სანამ ჩეჩნეთში ომი არ დასრულდება, არავინაა დაზღვეული იანდარბიევის მსგავსი ბედისგან," - ამბობს ზაკაევი "ასოშეიტედ პრეს"-თან საუბრისას.

რუსეთის ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდები განსხვავებულ ასოციაციებს იწვევს ოკეანის იქითაც. იმ დროს, როცა პრეზიდენტი ბუში და თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი ეთანხმებიან რუსეთის ხელმძღვანელობის მოსაზრებას, რომ რუსეთს საერთაშორისო ტერორიზმი უტევს, ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ამბობს, რომ ჯერ კიდევ გასარკვევია ბესლანის ტრაგედიასთან "ალ ქაიდას" კავშირი. ხოლო სახელმწიფო დეპარტემენტის განცხადება თავდაყირა აყენებს აშშ-რუსეთის ვითომდა ურთიერთგაგებას. გუშინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში იჩქერიის ემისრებთან შეხვედრის შესაძლებლობას განიხილავენ. "ჩვენი შეხედულება ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეზე ყოველთვის განსხვავდებოდა რუსებისაგან," - ამბობდა გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი რიჩარდ ბაუჩერი. როგორც ჩანს, სახელმწიფო დეპარტამენტს მხედველობაში ჰყავს იალაის ახმადოვი, რომელსაც აშშ-მ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. ბუნებრივია, ასევე საუბარია ლონდონში ლტოლვილის სტატუსით მცხოვრებ აჰმედ ზაკაევზეც.

მოსკოვი ჩვეული გაღიზიანებით პასუხობს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინიციატივას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს უადგილოდ ეჩვენება ბაუჩერის გამონათქვამი. "სხვა თუ არაფერი, შიდა პრობლემებს ჩვენ თავად მივხედავთ, არ არის საჭირო, ამერიკელებმა ეძებონ ჩეჩნეთის პოლიტიკური დარეგულირების გზები," - განაცხადა ლავროვმა. კრემლში ხომ ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამდნენ რუსეთის კავკასიური პოლიტიკის თაობაზე გამოთქმულ უბრალო შენიშვნასაც კი. მით უმეტეს დღეს, როდესაც მთელი დასავლური პრესა ერთხმად მიუთითებს პუტინის კავკასიური პოლიტიკის სრულ კრახზე, მოსკოვში ცეცხლზე ნავთის დასხმად მოეჩვენათ გუშინდელი შენიშვნები.

ნამდვილად გასაკვირია – ბესლანში დატრიალებულმა ტრაგედიამ რუსეთის უამღლესი ხელისუფლება კიდევ უფრო აგრესიული გახადა, იმის ნაცვლად, რომ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღო და ბოდიში მაინც მოეხადა დაღუპულთა ახლობლებისათვის. კრემლი უმწეო ბავშვების სიკვდილში ყველას ადანაშაულებს საკუთარი თავის გარდა და მზადაა ყველგან (ყველა საშუალებით, არასამართლებრივითაც ბუნებრივია) იბრძოლოს, ოღონდ ხელისუფლების "მძლავრი ხელის" აუცილებლობაში დაეჭვების საფუძველი არ მისცეს ვინმეს. რამდენად შედეგიანი იყო "მძლავრი ხელის" პოლიტიკა, გასულ კვირას ჩრდილოეთ ოსეთში დატრიალებული ტრაგედიაც ცხადყოფს.

გლობალური მოდელი, ლოკალური მიზეზები

გთავაზობთ გაზეთ "International Herald Tribune"-ში გამოქვეყნებულ უილიამ პფაფის მეტად საყურადღებო სტატიას, რომელიც ტერორიზმის პუტინისეული შეფასებისას შემთხვევით თუ შეგნებულად დაშვებულ შეცდომებზე ამახვილებს ყურადღებას.

ტერორიზმი და მის წინააღმდეგ გატარებული ზომები იმგვარ ტემპებს აღწევს, რომ გარკვეული ზღვარის გადაცდომის შემდეგ მისი შეჩერება შეუძლებელი ხდება. ეს ზღვარი წინა კვირას რუსეთში გადაილახა, რამაც ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო თავისუფლებებზე, კავკასიაში სამოქალაქო მშვიდობაზე და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე, შესაძლოა, უდიდესი მნიშვნელობა იქონიოს.

სწორედ ამის გამო ნაციონალიზმის, ირედენტიზმისა და რელიგიის პრობლემები, რომლებიც ტერორისტთა გამოსვლებს მუდმივად ახლავს თან, მეტისმეტად სახიფათოა. თუ მათი იგნორირება ან არასწორად გაგება მოხდა, მათ უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლიათ. მათი განხილვა მხოლოდ ბუნებრივი პარამეტრების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ტერორიზმში თავისებური აუქციონი არსებობს. ტერორიზმის საპასუხოდ გაკეთებული არასწორი რეაქციები ტერორისტული ურთიერთქმედების დინამიკას აძლიერებს და ახალი გამოვლინებების პროვოცირებას უწყობს ხელს, რაც, თავისი არსით, გაცილებით საშინელია, ვიდრე მისი წინამორბედი აქტი. ამგვარია ტერორიზმის ესკალაცია, სადაც გამარჯვებული არ არსებობს. ამგვარი ესკალაციის შედეგები მთელმა მსოფლიომ აშკარად დაინახა ბესლანში.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ბესლანის კრიზისს საერთაშორისო მიზეზები შეცდომით (ან შეგნებულად) მიაწერა. იგი ჯორჯ ბუშისა და არიელ შარონის გზას დაადგა და თავის ნაციონალურ პრობლემას "საერთაშორისო ტერორიზმი" უწოდა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. პუტინის ტერორიზმის პრობლემა მხოლოდ მისთვის და რუსეთისთვისაა სპეციფიური. ტერორიზმის პრობლემა ამერიკაში სპეციფიურია მხოლოდ აშშ-სთვის, მისი ისტორიისათვის, მისი საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკისათვის. ისრაელში – ეს ისრაელისა და პალესტინის საკითხი გახლავთ.

1990-იანი წლების ბოლოდან რუსეთში ტერორიზმის წყაროდ ჩეჩნეთის ნაციონალისტური აჯანყება იქცა, რომლის ჩახშობასაც რუსეთი რამდენიმე წელია, უშედეგოდ ცდილობს.

რა თქმა უნდა, დღეს ჩეჩნების მხარეს უცხოური რაზმებიც იბრძვიან და კავკასიაში ისლამის რადიკალურ მოძღვართა და რელიგიურ ლიდერთა რაოდენობა მატულობს. ისევე როგორც ერაყში, რეგიონი ისლამურ რადიკალებსა და "ურწმუნოთა" შორის ბრძოლის პოლიგონად იქცა. თუმცაღა, ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებზე მთელი პასუხისმგებლობის მათზე დაკისრება ნიშნავს, განაცხადო, რომ ერაყში ბრძოლები "რეჟიმის უკანასკნელ მხარდამჭერებსა და უცხოელ ტერორისტთა შორის მიმდინარეობს".

მოვლენების მიზეზი ნაციონალური რჩება და პრობლემის დარეგულირების ერთადერთი იმედიც ნაციონალურ ხასიათს ატარებს. მაგრამ როდესაც ტერორისტული აუქციონი იწყება, შეჩერება თითქმის შეუძლებელია. რუსეთი "ტერორიზმის განადგურების" საბაბით უკვე ორჯერ შეიჭრა ჩეჩნეთში, მაგრამ მდგომარეობა მხოლოდ გაუარესდა. არიელ შარონის მთელი კარიერა აგებულია წარუმატებელ მცდელობებზე, რომ ისრაელის სახელმწიფოს არსებობის პრობლემა მათი განადგურების გზით გადაწყვიტოს, ვისაც ის თავის მტრებად თვლის. აშშ ავღანეთში შეიჭრა და თალიბების მთავრობა დაამხო, მაგრამ ტერორიზმმა მთებში გადაინაცვლა და ქვეყანა პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით გახლეჩილი დარჩა. ამ ყველაფერს ერაყიც დაემატა.

თუკი ტერორისტულ აუქციონზე ნათელი და გარკვეული ფასი დაფიქსირდა, მაგალითად ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა (თუ მართლა ამას ითხოვდნენ ტერორისტები ბესლანში), პრობლემის ერთადერთი სავარაუდო გადაწყვეტილება მათთან დათმობაზე წასვლა იქნებოდა. ყველამ იცის, როგორ შეიძლება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ნაციონალური ასპექტის დარეგულირება. მათ შორის ყველა მისაღები კომპრომისი დიდი ხნის წინ იქნა შეთანხმებული. მაგრამ ამის განხორციელება ზოგიერთი ებრაელისა და ზოგიერთი პალესტინელის ინტერესთა შეჯახების გამო შეუძლებელია.

რელიგიურ ფანატიკოსს რაციონალური მიზანი არ გააჩნია. მას სამოთხე და ერეტიკოსების განადგურება სურს. ამგვარი ადამიანისათვის ტერორისტულ აუქციონს ზღვარი არა აქვს.

პუტინმა ბესლანის სასაკლაოს საერთაშორისო ინტერპრეტაცია მისცა. შაბათის ტრადიციულ გამოსვლაში მან გარკვევით მიანიშნა, რომ სეპარატიზმის უკან საქართველოსა და კავკასიაში აშშ-ს საქმიანობა, ამერიკის მიერ რუსეთის, როგორც ბირთვული სახელმწიფოს განიარაღებისა და მისი დასუსტების სურვილი დგას.

პუტინის თქმით, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი დაუცველი გახდა. ოდესღაც ის უძლეველი იყო და თავისი ქვეყნის საზღვრების დაცვის არნახული ძალა გააჩნდა. დღეს "ჩვენ სისუსტე გამოვიჩინეთ. სუსტებს კი სცემენ", - განაცხადა მან. არსი სრულიად გასაგებია.

შეუძლია პუტინს რაიმე მოიმოქმედოს გარდა იმისა, რომ ქვეყანას წინააღმდეგობის, უსაფრთხოებისა და რეპრესიების თაობაზე დაპირებებით კვებავდეს? პოლიტიკური თვალსაზრისით, ალბათ არა. გამოიწვევს თუ არა რაიმე სასიკეთოს ის, რაც მან განაცხადა? პასუხი კვლავ უარყოფითია. პუტინის მოსკოვმა, ბუშის ვაშინგტონმა, შარონის იერუსალიმმა უნდა დაამტკიცონ თავისი "ურყევობა", მათ არ შეუძლიათ "საცოდავი და უსუსური გიგანტების" როლში ყოფნა. მაგრამ, სანამ ისინი თავის შესახებ სიმართლეს არ იტყვიან, ან მათ ამის შესახებ თანამემამულეები არ ეტყვიან, ისინი მსოფლიოს თვალში სწორედ ასეთები – საცოდავები და უსუსურები დარჩებიან.

მოკლედ

ინდონეზიაში ტერაქტები გრძელდება

გუშინ ჯაკარტაში რუსეთისა და ავსტრალიის საელჩოების სიახლოვეს ძლიერი აფეთქება მოხდა. ინდონეზიის ხელისუფლების განცხადებით, აფეთქება მანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედებამ გამოიწვია. აფეთქების შედეგად დაიღუპა 11, ხოლო 182 ადამიანი დაშავდა. დაზიანდა ავსტრალიის საელჩოს შენობა, ხოლო დაშავებით დიპლომატიური მისიიდან არავინ დაშავებულა. ასევე არავინ დაშავებულა რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირთაგან.

დაღუპულთა ვინაობის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ გავრცელებულა, თუმცა, ცნობილია, რომ მათ შორისაა ინდონეზიაში ავსტრალიის საელჩოს მცველი და ოთხი ინდონეზიელი პოლიციელი. "ავსტრალიის დიპლომატიური მისიის თანამშრომელთაგან აფეთქებისას არავინ დაშავებულა," - განაცხადა კანბერაში ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

მისი თქმით, აფეთქების შედეგად საელჩოს შენობაში ფანჯრები ჩაიმსხვრა, გამოირთო ელექტროენერგია და დაზიანდა რკინის ღობე, ამჟამად საელჩოს პერსონალი ევაკუირებულია.

ტერაქტი კამიკაძე-ტერორისტმა განახორციელა, რომელმაც ავსტრალიის დიპლომატიური მისიის გვერდით, რუსეთის საელჩოდან 300 მეტრში დანაღმული ავტომანქანა ააფეთქა.

ინდონეზიის პოლიცია აფეთქების ორგანიზებაში "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებული ერთ-ერთი ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მალაიზიის მოქალაქეს აზაჰარი ჰუსინს ადანაშაულებს. პოლიცია ამტკიცებს, რომ 9 სექტემბრის ტერაქტი 2003 წელს "მარიოტში" და 2002 წელს კუნძულ ბალიზე განხორციელებული ტერაქტების ანალოგიურია. ყველა ამ აფეთქების უკან, როგორც ვარაუდობენ, სწორედ აზაჰარი ჰუსინი დგას.

სამართალდამცველი ორგანოების ინფორმაციით, ეს ადამიანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოქმედი ისლამისტური დაჯგუფების, "ჯემაა ისლამიას" ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

24 საათი

სადამ ჰუსეინის გასამართლება ჭიანურდება

სასამართლო, რომელმაც სადამ ჰუსეინს განაჩენი უნდა გამოუტანოს, შესაძლოა, მოულოდნელი ტექნიკური და პოლიტიკური სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს. ტრიბუნალის ხელმძღვანელი სალემ ჩალაბი გადაყენებულია დაკავებული პოსტიდან. მან გადადგომის შესახებ მოკლე განცხადება აშშ-ს საინფორმაციო სააგენტო "ნაით რიდერ"-თან გააკეთა. ერაყის გარდამავალ ხელისუფლებაში ჯერჯერობით ჩალაბის გადაყენებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ. ერაყის პრემიერ-მინისტრის, აიად ალავის წარმომადგენლის თქმით, პრემიერ-მინისტრს ასეთი დოკუმენტისთვის ხელი არ მოუწერია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩალაბთან დაკავშირებით ერაყში სკანდალს ჰქონდა ადგილი, მისი გადადგომა ეჭვს სულაც არ იწვევს. სკანდალი კი იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ჩალაბი, რომელიც ყოფილი დიქტატორის ტრიბუნალს ხელმძღვანელობს, თავად არის ეჭვმიტანილი ერაყის ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მკვლელობაში.

აღსანიშნავია, რომ სალემ ჩალაბიმ უკვე მოასწრო შვიდი მოსამართლისა და ოთხი პროკურორის დანიშვნა პროცესისთვის, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება. დაკავებული პოსტიდან გათავისუფლებული ჩალაბი ამჟამად დიდ ბრიტანეთში იმყოფება, ხოლო რაც შეეხება ტრიბუნალის დანარჩენ შემადგენლობას, წევრების რაიმე გადაადგილება არ იგეგმება.

იტარ-ტასი

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

10 სექტემბერს, 10.00-დან 16.00-სთ-მდე:

ლაზოს, შუშის, ანდრონიკაშვილის, ბაღნარის, ბიჭვინთის, ჩიქვანაიას, რევოლუციის, სკოლის, ზაჰესის, ჯანჯღავას, კაჭარავას, 5-ე ქუჩის, ფოცხიშვილის, რიონის, სარაჯიშვილის, მიხაკო წერეთლის, ლიბანის, ბარალეთის ქუჩების მაცხოვრებლებს.

ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს დაბალი ძაბვის კაბელების მოწოდებაზე:

1. დ/ძ კაბელი - A 3X50+1 - **1500მ**
2. დ/ძ კაბელი - A 3X70+1 - **1500მ**
3. დ/ძ კაბელი - A 3X95+1 - **2000მ**
4. დ/ძ კაბელი - A 3X120+1 - **2000მ**
5. დ/ძ კაბელი - A 3X150+1 - **1000მ**
6. დ/ძ კაბელი - A 3X185+1 - **1000მ**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი,
გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და
შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 14 სექტემბერი.

მალე დაავადებული ერი ვიქნებით

თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრი სოციალური გამოკითხვის შედეგებს აქვეყნებს და შეშფოთებული აცხადებს, რომ თამბაქოს მოხმარებამ ორსულობის პერიოდში მკვეთრად იმატა მთელ საქართველოში. ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგას, - აცხადებენ ცენტრის ხელმძღვანელები და მთავრობას რადიკალური ზომების მიღებას სთხოვენ.

ნინო ბერელიძე

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მიერ 2004 წლის მაის-ივლისში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თამბაქოს მოხმარებამ ორსულ ქალებში კატასტროფულ მაჩვენებელს - 48 პროცენტს მიაღწია. საგანგაშოა, რომ ეს მაჩვენებელი დღითიდღე იზრდება, განსაკუთრებით არასრულწლოვანებსა და მოზარდ გოგონებში. დიდი რისკის ქვეშ არიან ახალგაზრდა ოჯახები, რომლებიც პრობლემის საშიშროებას ჯერჯერობით ვერ აცნობიერებენ. თამბაქოს მოხმარება ორსულობის პირველი ცხრა კვირის განმავლობაში დამღუპველად მოქმედებს ნაყოფზე. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ამ დროს იზრდება გართულებების რისკი: სისხლდენის შემთხვევები – 130 პროცენტით, განუვითარებელი ახალშობილის დაბადება – 204 პროცენტით, ნაადრევი მშობიარობა – 134 პროცენტით, მკვდრადმშობიარობა და უცაბედი სიკვდილი – 276 პროცენტით... ორსულობის პერიოდში ქალის მიერ თამბაქოს მოხმარება იწვევს ნაყოფის ნიკოტინზე დამოკიდებულების სინდრომს (მისი სისხლი ისევეა გაჯერებული თამბაქოს ტოქსინებით, როგორც დედის), რის შედეგადაც ახალშობილობის პერიოდში ბავშვში ნიკოტინური შიმშილი ვითარდება. ასეთი მდგომარეობა ახალშობილში ფსიქოლოგიურ და ემოციურ დისკომფორტს იწვევს, რაც საბოლოოდ ნევროლოგიური პათოლოგიებით გვირგვინდება, ბავშვის გარდატეხის ასაკში კი დაავადების მაჩვენებელი 85 პროცენტამდე მატულობს.

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის დირექტორი გელა კობეშავიძე: **"გამოკითხვებმა სავალალო შედეგი გვიჩვენა, სახელმწიფოს კი არანაირი საკანონმდებლო ბერკეტი არა აქვს პრობლემის გადასაწყვეტად. თამბაქოს მოხმარება ორსულობისა და არა მარტო ორსულობის პერიოდში, ეპიდემიის სისწრაფით ვრცელდება და უახლოეს მომავალში ჩვენ დაავადებული ერი ვიქნებით. იმ რაიონებსა და პროვინციებში, სადაც თამბაქოს მომხმარებელ ქალთა რიცხვი ნულის ტოლი იყო, დღეს 30 პროცენტამდე გაიზარდა. თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი მიიჩნევს, რომ ქალის მიერ ორსულობის პერიოდში თამბაქოს მოხმარება არის შეგნებული დანაშაული საკუთარი შვილის, ოჯახისა და საზოგადოების მიმართ. პარლამენტის უახლოეს სხდომაზე განსახილველად შევიტანთ პროექტს საქართველოს კანონში "თამბაქოს კონტროლის შესახებ" დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად, თამბაქოს მოხმარება უნდა აიკრძალოს ორსულობის პერიოდში, ხოლო ამ წესის დარღვევისთვის ორსულ ქალზე გავრცელდეს სასჯელი, რაც სისხლის სამართლის კოდექსში აისახება. ძნელია ამ პრობლემაზე საუბარი, თუ ექიმებიც არ გაითვალისწინებენ ჩვენს მოთხოვნებს. ქალთა კონსულტაციებში ხშირად მინახავს, როგორ ეწევიან ერთად ექიმი და კონსულტაციაზე მისული ორსული. ეს გაუმართლებელი დანაშაულია. შემდეგში ჩვენ დავასახელებთ ამ სამსახურების ხელმძღვანელთა გვარებს და, შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებთ. ამაში დახმარებას ვთხოვთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. საჭიროდ მიგვაჩნია, პერმანენტულად განხორციელდეს ორსულ ქალთა ტესტირება და ამ გზით დადგინდეს, ეწევა თუ არა იგი. ჩვენთან უკვე ფუნქციონირებს შესაბამისი სამსახური, რომელიც დაეხმარება იმ ორსულებს, ვისაც თამბაქოსთვის თავის დანებება უნდა."**

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ერთად უნდა ეძებოს და გაიაზროს, რა საშიშროების წინაშე დგას მოსახლეობა.

65 წელი და თანამდებობის ბედი

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

აბა, რა არის 65 წელი?!

როდესაც ძალაში შევა "საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ" - თუ, რა თქმა უნდა, მას პარლამენტი მიიღებს - ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი რამ შეიცვლება. კანონის მიღებამდე და მიღების შემდეგაც აკადემიურ წრეებში საკამათო და სადისკუსიო ბევრი დარჩება. ბუნებრივია, ამ თემებს ჩვენი გაზეთიც არაერთხელ გააშუქებს. დღეს კი შევეხებით კანონით გათვალისწინებულ ერთ პუნქტს, რომელიც, როგორც ჩანს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობას ყველაზე მეტად აწუხებს.

ნინო ცინცაძე

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მეხუთე თავის 35-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით "სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი". სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კათედრის გამგეთა, ფაკულტეტების დეკანთა და წამყვან პროფესორთა ასაკი კი, ძირითადად, 65 წელი, ან მასზე ბევრად მეტია. უნივერსიტეტებში თვლიან, რომ ეს ასაკი მეცნიერული და პროფესიული საქმიანობისთვის არავითარ შემთხვევაში არ არის ხელშემშლელი პირობა და რომ კანონის ამ მუხლის ამოქმედება უმაღლესების სრულ პარალიზებას გამოიწვევს. გარდა ამისა, აკადემიურ წრეებში არგუმენტად მოჰყავთ ისიც, რომ საქართველოში შრომითი კოდექსით გათვალისწინებული საპენსიო ასაკი, რომელიც სწორედ სამოცდახუთი წელია, მე-20 საუკუნის შუა წლებში იყო მიღებული, როდესაც სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი 5-6 წლით ნაკლები იყო, ვიდრე დღესაა.

ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტად და კვალიფიციურადაა გაანგარიშებული საქართველოში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ეს საშუალო მაჩვენებელი. აი, აშშ-ს მთავრობას კი ამგვარი მონაცემები საკმაო სიზუსტით აქვს გათვლილი. 1990 წლისთვის იქ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 49 წელი იყო. ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 4 პროცენტი თუ აღწევდა 65 წელს ან მეტს. 1995 წლისთვის სურათი საგრძნობლად შეიცვალა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა აშშ-ში 75-იდან 80 წლამდე გაიზარდა და დღეს ეს ასაკი ქვეყნის მოსახლეობის 12,5 პროცენტს შეადგენს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისთვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი 100 წელს მიაღწევს, ხოლო მოსახლეობის 20 პროცენტი სამოცდახუთ წელს იქნება გადაცილებული. ეს დიდი რიცხვია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ადამიანთა ორი მესამედი მაინც შრომისუნარიანი იქნება, თუმცა, მუშაობის უფლება არ ექნებათ, რადგან აშშ-ში საპენსიო ასაკი დღესაც 62, მაქსიმუმ 65 წლით განისაზღვრება.

გაურკვეველია, შეიცვლება თუ არა მსოფლიოში საპენსიო ასაკი 15-20 წლის შემდეგ, მაგრამ, ცხადია, რომ საქართველოშიც, ამერიკაშიც და ევროპის უმრავლეს ქვეყანაშიც საპენსიო ზღვრად 65 წელი რჩება. თუმცა, იმ საკითხს, რომ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ეს არცთუ ისე მოუხერხებელი ასაკია, ევროპული და ამერიკული ტრადიცია სხვაგვარად აგვარებს. იგივეს გაკეთებას ცდილობენ საქართველოშიც:

კანონის მე-5 თავის 38-ე მუხლში წერია, რომ "პენსიაზე გასულ პროფესორებს ენიჭება ემერიტუსის (Professor Emeritus) წოდება. ამ წოდების მქონე პირს უნარჩუნდება პენსიაზე გასვლამდე არსებული ხელფასი, ამასთან, უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების აკადემიურ საქმიანობაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე და ისარგებლოს დამატებითი სოციალური გარანტიებით ამ დაწესებულების ბიუჯეტიდან".

Professor Emeritus პენსიაზე გასული პროფესორის საპატიო წოდებაა. ზოგიერთი ქვეყნის ზოგიერთ უნივერსიტეტში მას ყველა პროფესორი ავტომატურად იღებს თანამდებობის დატოვების შემდეგ, ზოგიერთ უმაღლესში კი ეს წოდება მხოლოდ განსაკუთრებით დამსახურებულ პროფესორებს ეძლევათ. როგორც წესი, ამ სტატუსის მქონე პირებს თავიანთ უმაღლესებში ეძლევათ მაღალი, ხელფასთან გათანაბრებული პენსია, რომელიც ყოველგვარი ბეგარისგან თავისუფლდება. მათ უნარჩუნდებათ თავიანთი სამუშაო ოთახი და პრივილეგიები ბიბლიოთეკითა თუ მანქანის დასაყენებელი ადგილით სარგებლობისას. გარდა ამისა, ისინი შეღავათებით სარგებლობენ უნივერსიტეტების სამედიცინო კლინიკებში და სპორტულ, მუსიკალურ, ან თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრებისას. რაც მთავარია, მათ ეძლევათ ლექციებისა და სემინარების ჩატარებისა და სტუდენტებთან ინდივიდუალურად მუშაობის უფლება. ამიტომ, როგორც წესი, სამოცდახუთ წელს მიტანებული პროფესორები ზედმეტ მოვალეობებს სიამოვნებით ანებებენ თავს და უნივერსიტეტის პრივილეგიებით სარგებლობენ, მით უმეტეს, რომ მათ მეცნიერულ მუშაობასა და სტუდენტებთან ურთიერთობას არავინ უკრძალავს. ამერიკის ზოგიერთ უნივერსიტეტში პენსიაზე გასვლა და ემერიტუსის სტატუსის მიღება სამოცდახუთ წლამდეც შეიძლება, თუ შენი მუშაობის სტაჟი 25 წელზე მეტია, ანდა თუ შენი მუშაობის სტაჟი და ასაკი ერთად 75 წელს აღემატება. გერმანიის ყველა უნივერსიტეტში ეს ასაკი მკაცრადაა განსაზღვრული. გამონაკლისის გარეშე, 65 წელს მიღწეული ნებისმიერი პროფესორი მეორე დღესვე ატარებს დიდ გამოსამშვიდობებელ, საჯარო ლექციას და თანამდებობას ტოვებს. რამდენიმე წლის წინ, მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატების უნივერსიტეტად ცნობილ გიოტინგენის უნივერსიტეტში გერმანელებმა არც ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატისთვის, ვოლფგანგ პაულისთვის დაუშვეს გამონაკლისი. საპენსიო ასაკის შესრულებისთანავე ახლად არჩეულ კათედრის გამგეს თანამდებობა დაატოვებინეს და ჰუმბოლდტის ფონდის საპატიო პრეზიდენტად დანიშნეს.

რაც შეეხება საქართველოსა და აქაურ უმაღლესებს, სავარაუდოა, რომ Professor Emeritus-ის შემოღება და მკაცრი 65-წლიანი ზღვრის დადგენა, გარკვეული გარდამავალი პერიოდის გარეშე, შეუძლებელი იქნება. ჯერ ერთი, ამ ასაკის ადამიანთა რიცხვი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, მართლაც, ძალიან დიდია და მეორე - ამ კანონის ამოქმედება პირდაპირაა გადაბმული კანონპროექტით გათვალისწინებულ ორ სხვა ფაქტორთან: 1. ძირეულად იცვლება უმაღლესების დაფინანსების სისტემა. პენსიონერთა ანაზღაურება და მათი სოციალური პრივილეგიები კი დაფინანსების ამ ახალ სისტემაზე უნდა იყოს დამოკიდებული 2. იცვლება ხარისხის მინიჭების სისტემაც, შესაბამისად, აკადემიური წოდებებიც. ახალი წესის მიხედვით, იარსებებენ პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები. კანონი ემერიტუსის წოდებას მხოლოდ პროფესორებს ანიჭებს. ის კრიტერიუმები კი, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს პროფესორსა და, მაგალითად, ასოცირებულ პროფესორს, ჯერ კიდევ დაუდგენელია. ასე რომ, საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან აკრედიტაციას, სავარაუდოდ, 4-წლიანი გარდამავალი პერიოდი ელით, რადგან სწორედ ამ ხნის განმავლობაშია შესაძლებელი დაფინანსებისა და წოდებების ახალ სისტემაზე სრულად გადასვლა.

უმერო და უპრემიერო პრეზენტაცია

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

სამმართველოს ფუნქციაში უზედამხედველო ბავშვთა პრობლემების მოგვარება შედის.

ნანა ქადაგიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში ახალი პროგრამის გუშინდელ პრეზენტაციას მერი და პრემიერი ვერ დაესწრნენ, ღონისძიებამ, "დესერტაციის" თანხლებით, მაინც მშვენივრად ჩაიარა. სამსახურის ბავშვის უფლებათა კონვენციის უზრუნველყოფის სამმართველომ წარადგინა პროგრამა - "ოჯახის თანადგომა და ბავშვის უფლებების დაცვა", თუმცა, გუშინდელი პრეზენტაცია ჯანდაცვის სამსახურში არცთუ დიდი ხნის წინათ შექმნილი სამმართველოს პოზიციების გამყარებასაც ემსახურებოდა.

ამ სამმართველოს ფუნქციაში უზედამხედველო ბავშვთა პრობლემების მოგვარება შედის. მის მიერ შემუშავებული პროგრამა კი პირველ ეტაპზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის ბავშთა სახლებში მომუშავე 20 სოციალური მუშაკის გადამზადებას ითვალისწინებს. ამ საქმის განსახორცილებელად წლევანდელი ბიუჯეტიდან 20 ათასი ლარია გამოყოფილი. ამაში ცუდი ნამდვილად არაფერია, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მერიაში უზედამხედველო ბავშვთა პრობლემებზე მომუშავე ორი იდენტური სამსახური ფუნქციონირებს (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით).

პირველი, ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი, ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1998 წელს დაარსდა. შარშან კი ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში საკრებულოს ყოფილმა დეპუტატმა მიხეილ მინდაძემ, ამ ცენტრის პარალელური, ბავშვის უფლებათა კონვენციის უზრუნველყოფის ცენტრი შექმნა. ერთი თვის წინათ ეს ცენტრი სამმართველოდ გადაკეთდა და მის ხელმძღვანელად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი თინათინ შელია დაინიშნა. უზედამხედველო პატარებზე ზრუნვის სურვილი რომ ვინმეს გაუჩნდეს, არც გასაკვირია და, მით უმეტეს, არც დასაგმობი, მაგრამ აქ საქმე ცოტა სხვაგვარად იყო.

შარშან საკრებულომ მერიას, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პრობლემის მოსაგვარებელი სადედაქალაქო პროგრამის შესამუშავებლად, ბიუჯეტში თანხის გათვალისწინება მოსთხოვა. ამ პროგრამაზე მუშაობის სურვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის პარალელურად, სხვებსაც გაუჩნდათ. ამგვარად, ეს პროგრამა ორი იდენტური დანიშნულების სამსახურმა ცალ-ცალკე შექმნა. პირველი ცენტრისთვის ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარი გამოიყო, მეორისთვის – 40 ათასი.

ამ პროგრამების ისტორია ამითი არ მთავრდება. წლეულს საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომისიის განათლების ქვეკომისიამ ყველაფერი თავიდან დაიწყო და პროგრამის ხელახლა შესამუშავებლად ექსპერტთა ჯგუფი შექმნა. ეს იმას გულისხმობს, რომ საბიუჯეტო თანხები წლეულსაც უნდა დაიხარჯოს. ბავშვის უფლებათა კონვენციის უზრუნველყოფის სამმართველოს გუშინდელი გააქტიურება, სავარაუდოდ, იმაზე მიანიშნებს, რომ სადედაქალაქო პროგრამის საბოლოო ვარიანტის განმახორციელებლის ფუნქცია მას დარჩება. მართალია, საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომისიის განათლების ქვეკომისიის თავმჯდომარე გია მურღულია აცხადებს, რომ პროგრამის განხორციელების სტრუქტურა ჯერ განსაზღვრული არ არის და, გამორიცხული არაა, ორივე ცენტრი დარჩეს, მაგრამ, როგორც "24 საათმა" კულუარებიდან შეიტყო, ექვსი წლის წინათ დაარსებულ ბავშვის უფლებათა დაცვის საქალაქო ცენტრს მისმა ახალბედა კოლეგამ აჯობა და პირველობა მოიპოვა.

მოკლედ

საკრებულო-პარლამენტის ჰუმანური ვიზიტი

პარლამენტისა და საკრებულოს წარმომადგენლები ცხინვალის ორი სოფლის – ქურთისა და თამარაშენის მოსახლეობას ეწვივნენ. პარლამენტარებმა მოსწავლეები დაასაჩუქრეს და სასკოლო ინვენტარი ჩაუტანეს. საკრებულოს წევრებმა კი (ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ორმა წევრმა დავით ხუციშვილმა, სოსო ეგუტიამ და "ნაციონალმა" გია მურღულიამ) სოფელ ქურთაში მდებარე საავადმყოფოს მედიკამენტები და პირველადი სამედიცინო მოხმარების ინვენტარი გადასცეს. "აქაური მოსახლეობა ისეთ მდგომარეობაშია, ყველა სახის დახმარება სჭირდება," – აცხადებს დავით ხუციშვილი. პარლამენტი და საკრებულო ასეთ ვიზიტებს მომავალშიც გეგმავს.

24 საათი

თანამშრომლობა გრძელდება

გუშინ თბილისში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელმა დევიდ ტერცმა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის "ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმს" მოაწერეს ხელი. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას განცხადებით, მემორანდუმი, სხვადასხვა საკითხში თანამშრომლობის გარდა, საგარეო და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად, საქართველოში მიგრაციის კონტროლის გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ინტერ-პრესი

ადმინისტრაციული ასისტენტი

BP-ს საოპერაციო მიზნებისათვის და BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, IRA, Ltd ეძებს შესაფერის კვალიფიცირებულ პიროვნებას ადმინისტრაციული ასისტენტის თანამდებობაზე. ადმინისტრაციული ასისტენტი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი BP WREP საოპერაციო განყოფილებისათვის, რომელიც იმუშავებს BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

ადმინისტრაციული ასისტენტის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:

- ადმინისტრაციული და სამდივნო თანაშემწეობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის.
- მთარგმნელობითი/სათარჯიმნო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკოორდინაციო საქმიანობის წარმოება.

როლი და პასუხისმგებლობა:

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:

- მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის შეხვედრებისა და სხვა საქმიანობის დაგეგმვა, მოწყობა და კოორდინირება.
- თარჯიმნობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა, საოპერაციო განყფილებისა და სხვა აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის საქართველოს მინისტრებსა და სხვა სამთავრობო პირებთან, სსმკ-ს თანამშრომლებთან და სხვ. შეხვედრებისას.
- განყოფილების კორესპონდენციის, მათ შორის სსმკ-სა და სხვა ქართულ ორგანიზაციებთან შეხვედრების ოქმებისა და BP-ს მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური დოკუმენტების თარგმნა.
- მილსადენის ოპერაციების განყოფილების პერსონალის ყოველდღიური ადგილმდებარეობისა და შვებულებების განაწილების სისტემის შემუშავება და წარმოება.
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და ოპერაციების განყოფილებისათვის ადმინისტრაციული თანაშემწეობის გაწევა ისე, რომ ეფექტურად იწარმოებოდეს საოფისე საქმიანობა, მათ შორის სატელეფონო სქრინინგი, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადება, საარქივო სისტემის წარმოება და ა.შ.
- HSE ჩანაწერებთან, საპროცესო შეფერხებებსა და უსაფრთხოების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზებისა და ჩანაწერთა სისტემების წარმოება, მათ შორის შესაბამისი ყოველკვირეული და ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება.

გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- საუნივერსიტეტო განათლება ენებში, სპეციალიზაციით ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- ადმინისტრაციულ და მთარგმნელობით/სათარჯიმნო დარგში მინიმუმ 5 წლის გამოცდილება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონეზე;
- კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word) კარგი ცოდნა;
- წარმოდგენა სამთავრობო და სახელმწიფო საქმეთა მართვის შესახებ სასურველია.

როგორ შევიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია

თუკი თვლით, რომ თქვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, წარადგინეთ თქვენი CV და შეავსეთ სათანადო განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მოიპოვოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 2004.**

განხილულ იქნება ყველა მიღებული განაცხადი, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატს მოვიწვევთ გასაუბრებაზე და/ან შევთავაზებთ სამუშაოს.

ადამიანთა რესურსების განყოფილება
BP Exploration (კასპიის ზღვა) Ltd., საქართველო
აღმაშენებლის გამზირი, 123ა, თბილისი, საქართველო

კემულარია მძიმე ტვირთის ზიდვას შეუდგა

თამარ კაციტაძე

"ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, ერთგულად ვიცავდე ადამიანის უფლებებს, საქართველოს კონსტიტუციას და კანონს, ვიყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, პირნათლად აღვასრულო მოსამართლის მოვალეობა", - ასეთი ფიცი დადო გუშინ უზენაესი სასამართლოს უკვე კანონიერმა და სრულუფლებიანმა თავმჯდომარემ კოტე კემულარიამ პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, ხელისუფლების სხვა უმაღლესი წარმომადგენლების, თავად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, თანამშრომლების და, რაც მთავარია, მთელი საზოგადოების წინაშე.

უზენაეს სასამართლოში არიან პროფესიონალი და პატიოსანი მოსამართლეები, მაგრამ მათ გვერდით გაჩნდნენ ულირსნიც, რასაც დღევანდელი ხელისუფლება არ შეეგუება.

საქართველოს ნამდვილად სჭირდება ძლიერი და ობიექტური მართლმსაჯულება, ხელისუფლებას თუ რეალურად სურს ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა, ერთ-ერთი უპირველესი მიმართულება სწორედ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა, გაძლიერება და დაცვა უნდა იყოს.

"უზენაესი სასამართლო აქ მოსულ ადამიანებს იმედსა და რწმენას უნდა უბრუნებდეს. რეფორმის პერიოდში ამის გაკეთება გარკვეულწილად შევძელით, მაგრამ დასამალი არ არის, რომ თანდათან სასამართლო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. აქ არიან პროფესიონალი და პატიოსანი მოსამართლეები, მაგრამ მათ გვერდით გაჩნდნენ ულირსნიც, რასაც დღევანდელი ხელისუფლება არ შეეგუება", - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფიცის დადებამდე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

გუშინდელ გამოსვლაში პარლამენტის თავმჯდომარეც და პრეზიდენტიც მინიშნებებს კორუმპირებულ მოსამართლეებზე აკეთებდნენ. კონკრეტულად ვის გულისხმობდნენ ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები, ამ ეტაპზე უცნობია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლისას ბევრმა მოსამართლემ თავი ჩაღუნა.

ფიცდადებული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჟურნალისტებთან სამომავლო გეგმებზე საუბრისას აშკარად სიტყვაძუნწობდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორი თვეა, რაც კოტე კემულარია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს და ამ ხნის განმავლობაში სისტემის თეორიულ რეორგანიზაციაზე მუშაობს, კონკრეტულ გეგმებზე საუბრისთვის იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა და დაგვპირდა, რომ ორ კვირაში უზენაეს სასამართლოსა და, საერთოდ, სასამართლოებში მიმდინარე რეფორმები ყველასთვის ცნობილი გახდება. მანამდე კი კემულარიამ მხოლოდ ის გაგვიმხილა, რომ საუბარი არ არის კადრების შემცირებაზე.

"საუბარია სისტემის შეცვლაზე და სისტემასა და რეორგანიზაციას როგორც დასჭირდება, ისე მოხდება საკადრო და საშტატო ცვლილებებიც. შეიცვლება არა მარტო უზენაესი სასამართლო, არამედ სასამართლო ხელისუფლებას მთლიანად წარმოვადგენთ ახლებური სახით", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში კოტე კემულარიამ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან იმის გაგებაც შევძელით, რომ საქართველოს არც ერთი სასამართლო ავტონომიას არ შეინარჩუნებს და სასამართლო ხელისუფლება იქნება ერთიანი სისტემა. ეს კი შეიძლება გავრცელებული ხმების დასტურიც იყოს. როგორც ამბობენ, მომავალში საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გაერთიანება იგეგმება.

მოკლედ, წინ რთული გზაა, როგორ გაართმევს თავს მართლმსაჯულების ახალი ხელისუფლება სასამართლო სისტემაში დაწყებულ ახალ რეფორმას, მომავალი გვიჩვენებს.

თავად კემულარია კი ახლავე აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი მისთვის "დიდი ტვირთი და მძიმე ჯვარია".

ბესლანში ნანა ლეჟავა მოწამლეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

"ნანა ლეჟავა და ლევან თეთვაძე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ" – უახლოეს ხანში ასეთი სახელწოდების სარჩელი გაიგზავნება საქართველოდან ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში. ჩრდილოეთ ოსეთში, ბესლანში უკანონოდ დაპატიმრებული "რუსთავი 2"- ის ჟურნალისტისა და ოპერატორის სარჩელს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრები უკვე ამზადებენ.

რუსმა სამართალდამცველებმა ნანა ლეჟავასა და ლევან თეთვაძის წინააღმდეგ უკანონოდ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყვიტეს და ქართველი ჟურნალისტი და ოპერატორი ხუთდღიანი ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს ოფიციალური განცხადებები და განმარტებები მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

ის, რომ ბესლანში დაკავებულ ნანა ლეჟავასა და ლევან თეთვაძის მიმართ დარღვეული იყო ევროსაბჭოს საერთაშორისო კონვენცია ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, თავიდანვე უდავო იყო. მას შემდეგ კი, რაც გათავისუფლებულებმა საზღვარი გადმოლახეს, ფედერალური უშიშროების სამსახურის იზოლატორში რუსი სამართალდამცველების მხრიდან მათ წინააღმდეგ განხორციელებული ფარული ქმედების შესახებაც გახდა ცნობილი.

ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც ნანა ლეჟავას უნივერსალური, სრულყოფილი, თანამედროვე გამოკვლევა ჩაუტარა, ჟურნალისტის ეჭვი, რომ ფედერალური უშიშროების იზოლატორში მისთვის შეთავაზებულ ყვაში კონიაკის ნაცვლად სხვა ნივთიერება იყო, დაადასტურა.

ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც თავად მინისტრი, ნარკოლოგიური სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გელა ლეჟავა და ექიმ-ექსპერტები ესწრებოდნენ, ნანა ლეჟავასთვის ჩატარებული ორდღიანი გამოკვლევის შედეგები გახდა ცნობილი.

"ჟურნალისტ ნანა ლეჟავას ორგანიზმში აღმოჩნდა ძლიერი ფსიქოტროპული, მომწამვლელი ნივთიერებები, ნერვულ სისტემაში (კერძოდ, თავის ტვინის პარკუჭებში) გარკვეული ცვლილებები შეინიშნება, რაც მოწამვლაზე მიუთითებს. ამის გამო ლეჟავამ აუცილებლად კლინიკაში უნდა გაიაროს მკურნალობა, - ასეთია სპეციალური სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

"მეცნიერულად დადასტურდა, რომ ნანა ლეჟავას ორგანიზმში აღმოჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერებები. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით კი აშკარაა თავის ტვინის დიფოზური ცვლილებები", - აცხადებს ჯანდაცვის მინისტრი და მომხდარს პოლიტიკურ-იურიდიულ ასპექტშიც განიხილავს. ლადო ჭიპაშვილის განმარტებით, პრეპარატების (საუბარია დეზოდიაზეფილებზე), რომლის კვალიც ნანა ლეჟავას ორგანიზმში აღმოჩნდა, ექიმის დანიშნულების გარეშე მიღება აკრძალულია.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე მინისტრმა, ნარკოლოგიური სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა და ექიმ-ექსპერტებმა განმარტეს, ჟურნალისტის ორგანიზმში მოხვედრილია ძლიერი ტრანკვილიზატორები, რომლებიც სხვადასხვა სახის რეაქციას, მათ შორის - კითხვებზე სწორი პასუხის გაცემის სურვილის დაქვეითებას და ბევრი ლაპარაკის, "ლაყბობის" სურვილს იწვევს. ერთი სიტყვით, ეს პრეპარატი მრავალი მიმართულებით მუშაობს. ნივთიერება, რომელიც ნანა ლეჟავას ორგანიზმში აღმოჩნდა, ექიმ-ექსპერტების განმარტებით, ეგრეთ წოდებულ ჰიპნოზურ პრეპარატად ითვლება, რომლის მიღება ჰიპნოპზურ მდგომარეობას იწვევს.

"ის პრეპარატი, რაც ნანა ლეჟავას აქვს მიღებული, დაუშვებელია საგამოძიებო ინფორმაციის მოპოვების მიზნით იყოს გამოყენებული. ეს ადამიანის უფლებების შელახვაა. ეს პრეპარატები გამოიგონეს ადამიანების დასახმარებლად, ამ შემთხვევაში კი გამოყენებულია ადამიანის წინააღმდეგ", - ასეთია ექსპერტთა დასკვნა.

ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც ვლადიკავკაზის ფედერალური უშიშროების იზოლატორში ნანა ლეჟავას ყავით გაუმასპინძლდნენ, იგი გაითიშა, გონება დაკარგა და, როგორც თავად ამბობს, არაფერი ახსოვს. იცის მხოლოდ ის, რომ 24 საათის განმავლობაში ეძინა. გამოკვლევის დასრულებისთანავე, გუშინვე, ნანა ლეჟავა ექიმებმა თოდუას სახელობის ცენტრში მოათავსეს სამკურნალოდ.

გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში გამოქვეყნებული ექსპერტიზის შედეგები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრებს უდავოდ გამოადგებათ სტრასბურგის სასამართლოსთვის. მოკლედ, ის, რომ რუსეთის ფედერაციაში უკანონოდ დაკავებულ-დაპატიმრებული ქართველი ჟურნალისტის მიმართ წამების მეთოდი გამოიყენეს, უკვე დადასტურებულია.

კახეთში ქურდული სამყაროს ავტორიტეტები დააკავეს

კახეთში კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა უკვე ინტენსიურად იწყება. გუშინ, გამთენიისას, რეგიონის სამხარეო პოლიციისა და ამ უწყების გურჯაანის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა სხვადასხვა დანაშაულში მხილებული ცხრა პიროვნება დააკავეს. აქედან ორი - ქურდული სამყაროს ავტორიტეტია. სპეცოპერაციაში მონაწილეობას იღებდა ასი სპეცრაზმელი.

"მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ძალოვანები მთელი რიგი დარღვევებით ახდენენ დამნაშავეების დაკავებას, შავ სიაში მოხვედრილებისთვის არანაირი კანონი არ მოქმედებს და პოლიციასაც ძალადობას ვერ დაუმტკიცებ", - ასეთია კახელი ადვოკატების შეფასება რეგიონში "ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსული პოლიციის უფროსების მუშაობის შესახებ. თვით ძალოვანი უწყების უფროსები კი მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ თუ დამნაშავეებზე ზეწოლა არ მიიტანეს, კრიმინალების თარეშს ბოლო არ მოეღება. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დაძაბულ და რთულ რეგიონად დღემდე კახეთში გურჯაანის რაიონი მოიაზრება. ბოლო ორი წლის განმავლობაში აქ სადისტური მკვლელობები და მანქანის გატაცების ფაქტები ხშირად დაფიქსირდა. დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლა ინტენსიურად კი მიმდინარე წლის თებერვალში გამოცხადდა, რასაც ქურდული სამყაროს ლიდერებისგან რეაგირება მალევე მოჰყვა. მათ სამართალდამცველებს მუქარის ნიშნად მეტად "ორიგინალური" საჩუქარი - კუბოები გაუგზავნეს. მიუხედავად ასეთი დაძაბული "ომისა", ძალოვანებმა კრიმინალების წინააღმდეგ მაინც სერიოზულად გაილაშქრეს. ბოლო მონაცემებით, კახეთის რეგიონში სხვადასხვა დანაშაულში მხილებული უკვე სამოცდაათამდე კრიმინალი და ქურდული სამყაროს ავტორიტეტია დაკავებულია. მათ რიგებს გუშინ კიდევ ცხრა ადამიანი დაემატა.

გამთენიისას კახეთის სამხარეო პოლიციამ, გურჯაანის ქვეგანყოფილების თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა დანაშაულში მხილებული ცხრა პიროვნება დააკავა. მათი ბინების ჩხრეკისას ამოღებულია სხვადასხვა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღები და ნარკოტიკული საშუალებები. სპეცოპერაცია ზუსტად ექვს საათზე დაიწყო და რამდენიმე საათს გაგრძელდა. ინციდენტი კი, როგორც სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე აცხადებს, არ მომხდარა. ჩატარებული ღონისძიებით იგი კმაყოფილია და აცხადებს, რომ რეგიონში "კანონიერი ქურდების ინსტიტუტი" საბოლოოდ დასამარდა: **"მიუხედავად ამისა, ჩვენი უწყება თავის შესაძლებლობებს ამით არ ამთავრებს და ბოროტმოქმედების დაკავება კვლავ გაგრძელდება",** - აცხადებს თეიმურაზ ანჯაფარიძე.

გუშინ დაკავებულთა უმრავლესობა 1982-82 წლებში დაბადებულნი არიან. როგორც "24 საათს" გურჯაანის პოლიციის უფროსმა დავით მჭედლიშვილმა განუცხადა, ეს ის ახალგაზრდები არიან, რომელთა უმრავლესობა ამ ზამთარს მანქანების გატაცებაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. **"იმედია, ოფიციალურად სულ მალე დადგინდება ყველაფერი. სავარაუდოდ, დაკავებული ვლადიმერ ბარსეგოვი, გიორგი ყანდიაშვილი და ლევან მექერიშვილი დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ ჩვენ მიერ რამდენიმე თვის წინ დაპატიმრებული "დრელესთვის", რომელიც უშუალოდ ახდენდა გატაცებული მანქანების "დავაზვრატებას" ,** - ამბობს მჭედლიშვილი. მანქანის გამტაცებლებთან ერთად, გუშინვე სპეცოპერაციაში მონაწილე ასმა სპეცრაზმელმა საქართველოში ცნობილი ქურდული სამყაროს ავტორიტეტი ბიძინა ზურაბაშვილი აიყვანა. როგორც ძალოვანები ამბობენ, მისი დაპატიმრება რეგიონის ძალოვნებს სხვადასხვა მიზეზების გამო ყოველთვის საფრთხეს უქმნიდა, ამჯერად იგი უკვე გურჯაანის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორშია და მისთვის პირველი ჯგუფის ინვალიდის "მანდატი" უკვე აღარაფერს წარმოადგენს: **"რატომ მაშინ არ ახსენდებოდა ბიძინა ზურაბაშვილს თავისი ჯანმრთელობა, როცა უამრავ ცოდვას ჩადიოდა; ეყო "ქურდ ბიძინას" 20-წლიანი თავისუფლება",** - აცხადებს ანჯაფარიძე. სპეცრაზმელებმა თავის საცხოვრებელ ბინაში აიყვანეს კიდევ ერთი კანონიერი ქურდი ოთარ ელიზბარაშვილი, ზედმეტსახელად - "ჭაღარა". შეგახსენებთ, რომ მან და მისმა თანამზრახველებმა 2001 წელს ესპანეთში მყოფი გურჯაანელი მამა-შვილი ზარდიაშვილები ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს: **"როგორც ჩვენ მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, ესპანეთში მყოფი გიორგი ზარდიაშვილი "ჭაღარასა" და მისი თანამზრახველი "ოდას" ბრძანებით გაიტაცეს ესპანეთში მყოფმა ორმა თბილისელმა და რამდენიმე სვანმა. ქურდული სამყაროს წევრები ზარდიაშვილებს იმ ფულს სთხოვდნენ, რომლითაც მამშვილმა ესპანეთში საკუთარი პარტნიორები "გადააგდეს". შემდეგ კი, როგორც გამოძიების დროს დადგინდა, "ჭაღარაც" და "ოდაც" ზარდიაშვილებს ფულებს სძალავდნენ, მაგრამ მათ ეს არ გამოუვიდათ. ისინი სულ მალე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იქნენ დაკავებულნი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი იზოლატორში ყოფნა რამდენიმე დღით შემოიფარგლა, რაც ჩემთვის დამაბნეველი აღმოჩნდა",** - აცხადებს გურჯაანის პროკურატურის გამომძიებელი ემზარ ჯიქურაშვილი, რომელიც ამ საქმეს იძიებდა. ამჯერად კი "ჭაღარას" დაკავების მიზეზია მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული სანადირო თოფი და ეფ-1 ტიპის ხელყუმბარა: **"გამორიცხული არ არის, რომ ძიების პროცესში ახალი დეტალები გაჩნდეს და მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები დამძიმდეს",** - აცხადებს ანჯაფარიძე. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნულ პიროვნებებთან ერთად, კახელმა ძალოვანებმა სხვადასხვა დანაშაულში მხილებული კიდევ სამი პიროვნება დააკავეს: 1981 წელს დაბადებული ზაზა ლაზაშვილი, მეტსახელად - "კურკას ბიჭი", მკვლელობისთვის და ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, 33 წლის გურამ სისაური და 32 წლის გიორგი ჭანტურიძე.

24 საათი

არასამთავრობო ორგანიზაციები და იუსტიციის სამინისტრო პატიმრების დასაცავად გაერთიანდნენ

თამარ კაციტაძე

იუსტიციის სამინისტროში გუშინ პირველად შედგა იუსტიციის სამინისტროს მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭოს სამუშაო შეხვედრა. არასამთავრობო ორგანიზაციის 26 წევრისგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო იუსტიციის სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ შეიქმნა, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტრორინგის საბჭოს ტრადიცია იუსტიციის სამინისტროში ჯერ კიდევ ძველი ხელმძღვანელობის დროს დაინერგა. თავის დროზე ამ საბჭომ პატიმრებისთვის მართლაც ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეძლო; თუმცა, პატიმართა უფლებების აქტიური დამცველების გვერდით აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც საბჭოს წევრობით მანიპულირებდნენ. ამის გამო მონიტორინგის საბჭოს იმიჯი თანდათან შეილახა და დღის წესრიგში დადგა ახალი საბჭოს შექმნის აუცილებლობა.

"ძველ საბჭოში იყო რამდენიმე პიროვნება, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ციხეში ნარკოტიკების შეტანის ფაქტზე დააკავეს. ეს საქმები დიდ ხანს არ ხმაურდებოდა; სამაგიეროდ, დაწესებულების თანამშრომლები იმ ხალხს თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ და ამით საბჭოს დისკრედიტაციასაც ეწეოდნენ", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში სოზარ სუბერმა, რომელიც ორივე საბჭოს წევრია.

სამინისტროს მრჩეველთა საზოგადოებრივმა საბჭომ ახალი დებულებით და გაფართოებული უფლებებით დაახლოებით ერთი თვის წინ დაიწყო მუშაობა. ძველი მონიტორინგის საბჭოსგან განსხვავებით, ახალი საბჭოს წევრებს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე უფლება ეძლევათ მსჯავრდებულებთან ერთად მოინახულონ განსასჯელებიც. ამასთან, ახალი საბჭო ვალდებულია, საკუთარი მუშაობის შესახებ სამ თვეში ერთხელ ანგარიში ჩააბაროს იუსტიციის მინისტრს, ხოლო ექვს თვეში ერთხელ - პრეზიდენტს.

"ის, რომ პატიმართა მდგომარეობის შესახებ ანგარიშს პრეზიდენტი ისმენს, სერიოზული ბერკეტია. საბჭოს შენიშვნას პროკურორი ან შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები თუ არ გაითვალისწინებენ, მათ პასუხის გაცემა პირდაპირ პრეზიდენტთან მოუწევთ", - ამბობს სოზარ სუბერი.

რა შედეგს მოუტანს ახალი საბჭოს მუშაობა ქართველ პატიმრებს და რამდენად შეუმსუბუქდებათ მათ რეალური ყოფა - მომავალი გვიჩვენებს, პირველ შეხვედრაზე კი აშკარად ჩანდა, რომ იუსტიციის მინისტრიც და საბჭოს წევრებიც პატიმრების ბედით დაინტერესებულნი იყვნენ.

იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შეახსენა სამინისტროს მოკლე და გრძელვადიანი გეგმები, რომელიც უშუალოდ პატიმრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ციხეთა მშენებლობას ეხება. მინისტრის დაპირებით, მომავალი წლის მაისში დასრულდება რუსთავის ციხის და ქუთაისის საპყრობილის მშენებლობა. მიმდინარე წლის შემოდგომისთვის კი განსასჯელი ქალები უკვე ახალ საპყრობილეში გადავლენ.

"აღნიშნული მშენებლობების დასრულების შემდეგ ქართველი პატიმრები ევროპული სტანდარტების შესაბამის პირობებში იქნებიან", - ამბობს გიორგი პაპუაშვილი, რომელიც, ციხეთა მშენებლობის პარალელურად, მომავალში პატიმართა დასაქმებაზეც ფიქრობს და ამ პროგრამების შემუშავებაში თანამშრომლობას საბჭოს წევრებსაც სთხოვს.

ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მინისტრს პატიმართა დასაქმების პროგრამებს წარუდგენდნენ, ისინი თავისუფლებააღკვეთილთა დღევანდელ პრობლემებზე საუბრობენ, რომელთა გაცნობაც ერთთვიანი მუშაობის პერიოდში შეძლეს.

"საპყრობილეში შესულ პატიმრებს სხეულის დაზიანებები აღენიშნებათ, მაგრამ მათ ხშირად სამედიცინო შემოწმება არ უტარდებათ. განსასჯელებს არ აქვს საწოლები, სისტემატურად აჭმევენ ერთი და იმავე საჭმელს, ძირითადად - ბორშს, არ აძლევენ დაბანისა და სეირნობის საშუალებას. საპყრობილეში არიან ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები, რომლებსაც შესაბამისი მკურნალობა სჭირდებათ, არ არსებობს მედიკამენტები, დაწესებულების თანამშრომლები სცემენ პატიმრებს; ციხეებში არ არსებობს შიდა განაწესი და ა.შ. ეს ის პრობლემებია, რომელთა მოსმენაც გუშინ იუსტიციის მინისტრს მოუწია; თუმცა, იყო ისეთი პრეტენზიებიც, რომლებიც უფრო სამართალდამცველი სტრუქტურების მისამართით უნდა გამოითქმებოდეს.

"ჩვენ ყველა პრობლემას გადავამოწმებთ და ვეცდებით, გამოვასწოროთ", - დაჰპირდა იუსტიციის მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელს.

"ნუ დაუჯერებთ ნურავის, სამართლიანობის განცდისა და კანონის გარდა"

პირველი გვერდიდან

როდესაც ვფიქრობთ, რა გვინდა იმისათვის, რომ საქართველოს შიგნით იყოს წესრიგი და აღმოვფხვრათ კორუფცია, უნდა ვიზრუნოთ კიდეც ამაზე. როცა მთავრობის წარმომადგენლები ხელს ადებენ კორუმპირებულებს, ათიდან ცხრა მოწმე ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს. მაშინ ნუ გვთხოვთ, რომ ვებრძოლოთ ამ სენს - თუ შენ, უბრალო მოქალაქეს, არ გინდა დაადო ხელი, დაწერო ჩვენება, მთავრობა ამას შენ მაგივრად ვერ გააკეთებს და მაშინ შენ, შენს შვილებს და შვილიშვილებს აღარ ექნებათ ქვეყანა.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ, რომ ვქმნით არსებითად ახალ სახელმწიფოს, მთავარია, არ იყოს გაუცხოება მთავრობასა და ხალხს შორის.

დღეს ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელსაც აქვს ხალხის ნდობა, მაგრამ ეს ნდობა დაიკარგება მაშინვე, როცა დაიწყება გაუცხოება.

ტყუილად კი არ ვამბობთ, რომ ვართ ხალხის ნაწილი.

არც ის არის ყალბი, როცა პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე ქუჩებში დადიან და ხალხს ხვდებიან.

იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ არ ვართ ცალკე დიდი იმპერია, ჩვენ ამ საზოგადოების ჩვეულებრივი ნაწილი ვართ, ჩვენ თითოეული ოჯახის ახლობელი უნდა ვიყოთ, თითოეული ადამიანის ჭირ-ვარამი უნდა ვიცოდეთ, სხვაგვარად ამ ადამიანს შენი რწმენა არ ექნება და არც იმას დაიჯერებს, რომ მისთვის უკეთესი მომავალი გსურს.

თუ სახელმწიფოში სამართლიანობის განცდა არ იქნება, მაშინ ვერც ვერაფერს მივაღწევთ.

თუ ხალხი იმას დაინახავს, რომ მთავრობა, პარლამენტი მხოლოდ ადამიანთა კონკრეტული ჯგუფების ინტერესების დამცველია და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის მდგომარეობა არ აინტერესებს, მაშინ არ იქნება საზოგადოებაში ის ენერგია, რომელმაც საქართველო წინ უნდა წასწიოს.

ამჟამად ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე ვიმყოფებით.

ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოში სერიოზული გარდატეხა მოხდა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ეკონომიკას - პრაქტიკულად ორჯერ მეტი გადასახადების აკრეფა ხდება; ჩვენ რეალურად ვზრდით სახელმწიფო ბიუჯეტს; რეალურად გვიჩნდება საშუალება, რომ ბევრად მეტი სოციალური დახმარება მივცეთ ხალხს; რეალურად ვიძლევით უფრო მეტ ხელფასებს; რეალურად შევცვალეთ სახელმწიფო აპარატის კონცეფცია.

წლის დამლევისათვის სახელმწიფო აპარატში არ გვეყოლება არც ერთი თანამშრომელი, რომელსაც 100 ლარზე ნაკლები ხელფასი ექნება, არ გვეყოლება არც ერთი პოლიციელი, რომელსაც 400 ლარზე ნაკლები ხელფასი ექნება.

ეს ვრცელდება მთლიანად სისტემაზე და, ბუნებრივია, გავრცელდება ყველა დონის თანამშრომელზე და ჩვენ არ გვეყოლება არც ერთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, რომელსაც არ ექნება იმდენი ხელფასი, რომ მან და მისმა ოჯახმა გაძლონ და პატიოსნად იმუშაონ.

მაგრამ, ამავდროულად, ეკონომიკა უნდა განვითარდეს.

დღეს, ჩვენი მთავარი ამოცანა საქართველოს მოდერნიზაცია, ეკონომიკური პროგრესი და ქვეყნის ყველა მიმართულებით გაძლიერებაა.

ამ მხრივ, ვფიქრობ, სასამართლოს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.

წინა წლებში სასამართლომ ბევრი კარგი გააკეთა, თუმცა ძალიან დიდი ზიანიც მოგვაყენა.

საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მშენებლობის თვალსაზრისით მიადგა ზიანი. რამდენი უცხოელი ინვესტორიც ჩამოვიდა და ფული კონკრეტულ საწარმოში ჩადო, ყოველთვის აღმოჩნდა იქ ბანდიტების ადგილობრივი პატარა ჯგუფი, რომელიც ჩასაფრებული იყო, მაქსიმალურად დიდი თანხა ჩაედო ინვესტორს, შემდეგ მოსამართლის მოქრთამვის გზით - 10, 15, 50 ათასი დოლარის საფასურად - ხდებოდა ამ ინვესტიციის კონფისკაცია.

არ არის ეს ასე?

და ამის შემდეგ, როგორ დავარწმუნო რომელიმე თურქი ინვესტორი, როცა თურქული ინვესტიციების კონფისკაცია ხდება და სასამართლო სისტემაში ჩვენ უთოფო ყაჩაღები გვყავს.

განა ამ დარბაზში არ სხედან ის ადამიანები, რომლებმაც ეს დააკანონეს?

როგორ ვუთხრა მოქალაქეებსა და პენსიონრებს, რომ მოგცემთ მეტ ხელფასს, როცა სახელმწიფო აპარატში გვყავს ხალხი, რომელმაც ნულზე დასვა საქართველოს საინვესტიციო რეიტინგი და აღარავინ დარჩა ჩვენს ქვეყანაში ფულის ჩადების მსურველი.

როგორ უნდა ვილაპარაკოთ ინვესტიციების განვითარებაზე, როდესაც, მოსამართლე სარგებლობს იმით, რომ ლადო ჭანტურია აღარ არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ახალი თავმჯდომარე ჯერ არ დაგვინიშნავს, იღებს ქრთამს და უცხოელი ინვესტორის კუთვნილ ტერიტორიას ყაჩაღების ჯგროს უკანონებს.

რა მომავალი ექნება ამის შემდეგ ქვეყანას, თუკი არავინ არის მსურველი, რომ აქ ფული დააბანდოს.

ეს მხოლოდ იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რომ ჩვენ სტაბილურობა არა გვაქვს, ამის მიზეზი, უპირველესად, ის არის, რომ სამართლებრივ სისტემაში სამართლიანობისა და სტაბილურობის ელემენტარული განცდა არ გაგვაჩნია.

ყოველივე ამაში კონკრეტულ ადამიანებს მიუძღვით ბრალი.

უცხოელები აქ მეორეხარისხოვანია.

საქართველოში მცხოვრები რომელი ინვესტორი და ბიზნესმენია დაცული?

დააკვირდით, თუ ვინმეს ვაპატიმრებთ, მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებს და არა ბიზნესმენებს.

მსურს ბიზნესმენებს ვუთხრა - არავინ მათ არ შეეხება.

რა მაქინაციაშიც არ უნდა იყოს გარეული და რაც არ უნდა ქრთამის მიმცემი იყოს ბიზნესმენი, მათ ბიზნესს არავინ მოკიდებს ხელს.

ის მაქინაციაში იმის გამო გაერია, რომ სხვა შანსი არ ჰქონდა, ქრთამს აძლევდა იმიტომ, რომ სხვანაირად ვერაფერს მიაღწევდა.

ამიტომ მე ვაძლევ გარანტიას, ჩადონ ფული, მათ ბიზნესს ხელს ვერავინ ახლებს.

და თუკი ვინმე უკვე "ხელმოკიდებულია", "ხელს გავაშვებინებთ".

ერთია საგადასახადო ანგარიშსწორება და მეორეა, როცა საგადასახადოს მოტივით ხდება შანტაჟი და გამოძალვა.

ამის ფაქტები მრავლად ყოფილა და მე და ჩემი მეგობრები, ის ხალხი, ვისაც ეს ეხება, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევები არასოდეს განმეორდეს.

ამისათვის ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება.

მოსამართლეთა კორპუსის უმრავლესობა შედგება აბსოლუტურად წესიერი ადამიანებისაგან და მე ეს პიროვნულად, სახელებითა და გვარებით ვიცი - ეს ზოგადი ცნება არ არის.

ჩვენ გვსურს, რომ ამ ადამიანებს - ბიზნესმენებს, ინვესტორებს - გაუჩნდეთ განცდა, რომ ისინი დაცულნი არიან.

უფრო მეტსაც გეტყვით, ეს ეხება დაპატიმრებულ მოხელეებსაც და მათაც, რომლებიც, შესაძლოა, დააპატიმრონ (ძირითადად, დღევანდელ დანიშნულ პირებზე მაქვს ლაპარაკი, რადგან, შესაძლოა, ჩვენც დავუშვათ შეცდომები): რაც არ უნდა თქვას საჯაროდ პრეზიდენტმა, ნებისმიერმა მინისტრმა, თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირმა - მსურს ამას განსაკუთრებულად გავუსვა ხაზი - როგორი დარწმუნებულიც არ უნდა იყოს საზოგადოება იმაში, რომ ესა თუ ის პირი დასაჭერია, თუ კანონი ამას არ ითვალისწინებს, პროცესუალური ნორმები დარღვეულია, თუ მტკიცებულებები დარღვევითაა მოპოვებული, რომელი პროკურორიც არ უნდა გირეკავდეთ, როგორი ზემოქმედებაც არ უნდა მოახდინონ, თქვენ - მოსამართლეებმა უპირველესად უნდა დაიცვათ კანონი და აღასრულოთ თქვენი მოვალეობა.

ძალიან გთხოვთ, ეს თითოეულმა თქვენგანმა გაითვალისწინოს.

ეს არის უმნიშვნელოვანესი გარემოება.

ჩვენ ყველანაირად უნდა მივხედოთ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხსაც.

ჩვენი მთავრობის პერიოდში მკვეთრად შემცირდა წამების ფაქტები, მაგრამ ასეთი და პროცესუალური ნორმების დარღვევის ფაქტები, სამწუხაროდ კიდევ არის.

ამის შესახებ ინფორმაცია გვაქვს.

ყველას მოვუწოდებ, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს.

როდესაც მტკიცებულებები დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით არის მოპოვებული, ამ მტკიცებულებების მიღება და გათვალისწინება არ შეიძლება.

უფრო მეტიც: ის, ვინც მსგავს მეთოდებს მიმართავს, უნდა აღმოვაჩინოთ და კანონის მთელი სიმკაცრით დავსაჯოთ.

ასე უნდა მოვიქცეთ თუ ჩვენ ცივილიზებული და ადამიანური სამართლებრივი სისტემა გვსურს, ამაში კი თქვენი დახმარება გვჭირდება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაჭიანურებული სასამართლო პროცესები მინიმუმამდე შევამციროთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მარტო თქვენი ბრალი არ არის. ეს სახელმწიფო აპარატის მოუწესრიგებლობის ბრალია; ასევე - იმის, რომ ორგანიზაცია ცუდად მუშაობს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო აპარატს ჩვენც კარგად ვამუშავებთ და თქვენც გთხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს საქმეების გაჭიანურება, რადგან ზოგიერთი მოქალაქე პროცესის დასასრულსაც კი ვერ აღწევს.

ჩვენ, ყველამ ერთად უნდა გავწმინდოთ სახელმწიფო აპარატი მექრთამეებისაგან.

ბათუმში შეიქმნა პრეცედენტი, რომ მოსამართლე, მიღებული გადაწყვეტილების შეცვლისათვის, 3 ათას დოლარს იღებდა და იგი ქრთამის აღების პროცესში დააკავეს.

მე ისეთი მოსამართლეებიც ვიცი, რომლებსაც ეს თანხა სასაცილოდაც არ ეყოფათ და ამ თანხის გულისთვის ხელსაც არ გაისვრიან.

რაც უფრო იხვეწებიან მექრთამეები, მით უფრო იხვეწება ჩვენი ახალგაზრდული კადრები.

ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან დავხელოვნდით.

ეს ხალხი გულანთებით მუშაობს 300-400-ლარიან ხელფასზე, თუმცა მათთვის ფული არაფერს ნიშნავს, ისინი თავიანთი მომავლისათვის ქმნიან კარგ სისტემას, სადაც ასეთი კადრები აღარ იქნება.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

საყოველთაო პრივატიზაცია და მისი მოსალოდნელი შედეგები

ზაზა ნიჟარაძე
„საქართველოს ბანკის"
რისკების ანალიზისა და
მონიტორინგის უფროსი
მენეჯერი;
ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი

როგორც ჩვენი მთავრობის მოქმედებიდან (მხედველობაში მაქვს, უპირველეს ყოვლისა, საპრივატიზაციო პოლიტიკა) ჩანს, ხელისუფლებამ ეკონომიკაში გეზი მთლიანად ბაზარზე აიღო. მას მიაჩნია, რომ ბაზარი ეკონომიკის მართვის იდეალური საშუალებაა. უფრო მეტიც, ეკონომიკის მინისტრის განცხადებით რამდენიმე წელიწადში ეკონომიკის სამინისტრო საერთოდ არ იქნება საჭირო და გაუქმდება.

ბაზარი რომ მართლაც იდეალური იყოს, მაშინ ამდენი ღარიბი ქვეყანა არ იარსებებდა. მთლიანად ბაზარზე მინდობილი ეკონომიკური პოლიტიკა მართვის ყველაზე მარტივ გზას გვთავაზობს - საქმისთვის ხელისუფლება არ ერევა ეკონომიკის მართვაში და ყველაფერი თავისით მოწესრიგდება. ამაზე იოლი ეკონომიკური პოლიტიკის მოფიქრება, ალბათ, შეუძლებელია. მაშინ რა უშლის ხელს ამდენ ღარიბ ქვეყანას? ნუთუ ყველანი საკუთარი თავის მტრები არიან და ეკონომიკის მართვით ზედმეტად იტვირთავენ თავს? და ეს მაშინ, როცა, თუკი საერთოდ არ მართავენ ეკონომიკას, საუკეთესო შედეგს მიიღებენ.

მსოფლიოში ბაზრის იდეალიზირება დაიწყო 70-იან წლებში, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ორი ამერიკელი მეცნიერის, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების, მილტონ ფრიდმანისა და ავგუსტო ფონ ჰაიეკის შეხედულებებმა. მათ მოახდინეს ბაზრის გაფეტიშება.

გავიხსენოთ, რომ 70-იანი წლები ცივი ომის პერიოდია. აშშ-ს უპირველესი მტერია საბჭოთა კავშირი. ამერიკა ყველანაირად ცდილობს სსრკ-ს დანგრევას ან დასუსტებას. თუკი საბჭოთა კავშირში დაიჯერებენ, რომ ბაზარი არის ეკონომიკის მართვის იდეალური ბერკეტი, მაშინ გარდაქმნების დაწყება ქვეყანაში გარდუვალია. საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს დემოკრატიზაციას. საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატიზაცია უეჭველად გამოიწვევს ძლიერი ცენტრალიზებული მართვის მოშლას და შედეგად - აშშ-სათვის ყველაზე საშიში მტრის პოლიტიკური სისტემის დასუსტებას. ამდენად, დასავლეთი დაინტერესებულია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დაიჯერონ ბაზრის სრულყოფილება (ქვემოთ ვნახავთ, რომ არსებობს კიდევ სხვა მოტივი ამისათვის). ამასთანავე, საბაზრო ეკონომიკას სჭირდება მესაკუთრეთა ფენა, ამიტომ საჭირო იყო პრივატიზაციის პროცესისადმი მაქსიმალური მხარდაჭერა, თუნდაც ეს პრივატიზაცია "ბინძური" (უსამართლო) ყოფილიყო.

მიზნის მისაღწევად და მსოფლიოს საზოგადოებაში ამ მისაზრების ფართოდ გავრცელებისათვის, ხდებოდა ამერიკელი მეცნიერების შეხედულებების მაქსიმალური პოპულარიზაცია და პროპაგანდირება. მათ მასმედიაში დიდი ადგილი ეთმობოდა. ფრიდმანი, ჰაიეკი და მათი მიმხრეები ხშირად გამოდიოდნენ სხვადასხვა სატელევიზიო არხით, რადიოთი, იბეჭდებოდნენ პრესაში. საზოგადოებაში მიზანმიმართულად ინერგებოდა ამერიკელი მეცნიერების იდეები.

აქვე ვიტყვით, რომ მილტონ ფრიდმანმა მხარი დაუჭირა ჩილეში გადატრიალებას, რის გამოც მას საპროტესტო გამოსვლები მოუწყვეს ნობელის პრემიის გადაცემისას (სხვათა შორის, ამ ბოლო დროს აღარ იცის ხშირად ჩილეს ეკონომიკური სასწაულის შესახებ). წარმოშობით გერმანელი ავგუსტო ფონ ჰაიეკი კი ახალგაზრდობაში ნაციონალ-სოციალიზმის იდეებით იყო გატაცებული და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საბჭოთა კავშირისადმი სიმპათიით არ უნდა ყოფილიყო განწყობილი.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ შემცირდა ამგვარი პროპაგანდის აუცილებლობა და 90-იანი წლებიდან მდგომარეობა ნელ-ნელა შეიცვალა, თუმცა ეს მეცნიერთა წრეში მეტად იგრძნობა, ვიდრე ფართო საზოგადოებაში. სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ მეცნიერები, რომ ბაზარი არ არის იდეალური და მას აქვს ე.წ. ჩავარდნები გარკვეულ სფეროებში. კერძოდ, ბაზარი ვერ ქმნის: 1) საზოგადოებრივ პროდუქტს (მაგალითად გზების მშენებლობა); 2) ეფექტურად ვერ მართავს რესურსებს, თუკი წარმოებას თან ახლავს გარკვეული გარეგანი ეფექტები, ამის გამო იგი მთავრობის ჩარევის გარეშე ვერ წყვეტს ეკოლოგიის საკითხებს, 3) ვერ მართავს ეფექტურად მონოპოლიებსა და ოლიგოპოლიებს, რის გამოც ხდება ქვეყნის რესურსების არაეფექტური გამოყენება და, ამავე დროს, იზრდება სოციალური უთანასწორობა. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი, 4) ინფორმაციის ასიმეტრიულობა.

ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ მყიდველმა გასაყიდი საქონლის შესახებ იცის უფრო ნაკლები, ვიდრე გამყიდველმა. ეს მომენტი მთლიანად ცვლის შეხედულებას ბაზრის ეფექტურობის შესახებ და აღმოჩნდა, რომ საკამრისია უმნიშვნელო ასიმეტრია ინფორმირებულობაში, რომ ბაზრის "უხილავი ხელი" არაოპტიმალურად იწყებს მუშაობას. უფრო მეტიც - ზოგიერთ სფეროში შეიძლება მან ბაზრის შემცირება ან საერთოდ გაქრობაც კი გამოიწვიოს, განსაკუთრებით - განვითარებად ქვეყნებში. ამ საკითხების დამუშავებაში 2001 წელს ნობელის პრემია მიენიჭათ ჯორჯ აკერლოფს, მაიკლ სპენსსა და იოსებ სტიგლიცს.

ახლა ვნახოთ, თუ რა შედეგს მოგვცემს ეკონომიკის განვითარების მთლიანად ბაზარზე მინდობა. აქვე, ასევე, გამოჩნდება განვითარებული ქვეყნების მხრიდან ბაზრის გაფეტიშების ის მეორე მოტივიც, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

ქვეყანაში უპირატესად ვითარდება და საექსპორტოდ იქცევა ის დარგი, რომლის განვითარებისათვისაც საჭირო რესურსი ამ ქვეყანას, სხვა რესურსებთან შედარებით, ყველაზე ჭარბად აქვს.

არსებობს შვედი მეცნიერების მიერ დიდი ხნის წინ დამუშავებული თეორია, რომელსაც ჰეკშერ-ოჰლინის თეორია ეწოდება და რომლის დამუშავებისათვისაც ოჰლინმა 1972 წელს ნობელის პრემია მიიღო (ჰეკშერი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო). თეორიის არსი შემდეგია: ქვეყანაში უპირატესად ვითარდება და საექსპორტოდ იქცევა ის დარგი, რომლის განვითარებისათვისაც საჭირო რესურსი ამ ქვეყანას, სხვა რესურსებთან შედარებით, ყველაზე ჭარბად აქვს.

დავფიქრდეთ, რა გვაქვს ჩვენ ყველაზე ჭარბი? უდავოა, რომ კაპიტალი არასაკმარისი გვაქვს; არც უახლეს ტექნოლოგიებზე მიგვიწვდება ხელი. სამაგიეროდ გვყავს უმუშევრების დიდი არმია. ამასთან, დასაქმებულთა ხელფასებიც ძალიან დაბალია. ე.ი. გვყავს ჭარბი იაფი მუშახელი. ასეთი წინაპირობების არსებობის გამო, საბაზრო ძალები (მთავრობის მხრიდან ჩაურევლობის შემთხვევაში), რომლებიც ჰექშერ-ოჰლინის თეორიას ემორჩილებიან, გამოიწვევენ შრომატევადი დარგების განვითარებას ქვეყანაში.

განვითარებულ ქვეყნებს, რომელთაც აქვთ დიდი რაოდენობის კაპიტალი, მაღალი ტექნოლოგიები და განვითარებული საფონდო ბაზარი, შეუძლიათ და ანვითარებენ კიდეც მაღალტექნოლოგიურ და კაპიტალტევად დარგებს. კაპიტალტევადი დარგები მაღალი შრომისნაყოფიერებით გამოირჩევიან. რაც შეეხება მეცნიერებატევად, მაღალტექნოლოგიურ დარგებს, ისინი მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური ძალაუფლებით სარგებლობენ. იმის გამო, რომ მაღალტექნოლოგიებზე ცოტას თუ მიუწვდება ხელი, ამ დარგებში კონკურენტები ცოტაა, რაც მათ მონოპოლიურად მაღალი მოგების საშუალებას აძლევს. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, როცა ტექნოლოგია მოძველდება და ხელმისაწვდომი ხდება, მოგების ნორმა ამ დარგებში მცირდება და ისინი გადადიან იმ ქვეყნებში, სადაც იაფი მუშახელია, საიდანაც უკვე გაიაფებული საქონელი ბრუნდება განვითარებულ ქვეყანაში. ამ თეორიას "პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის" თეორია ჰქვია და იგი ფრანგმა მეცნიერმა რ. ვერნონმა დაამუშავა. ამის შედეგად მოგებული რჩებიან განვითარებული ქვეყნები, მათ უთავისუფლდებათ შრომატევად და ნაკლებპროდუქტიულ დარგებში დასაქმებული მუშახელი და შესაძლებლობა ექმნებათ, გამოთავისუფლებული მუშახელი ახალ, უფრო მომგებიან დარგებში დაასაქმონ. ამით იზრდება ქვეყანაში შექმნილი დოვლათი და, პარალელურად, განვითარებადი ქვეყნებიდან შემოდის გაიაფებული დაბალტექნოლოგიური, მაგრამ განვითარებული ქვეყნების საზოგადოებისათვის საჭირო საქონელი (მაგალითისათვის: ამერიკელების მიერ მოხმარებული ფეხსაცმელების მხოლოდ 5 პროცენტი იკერება ამერიკაში. დანარჩენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან შემოდის).

იაპონიაში განავითარეს მაღალი ტექნოლოგიები. ეკონომიკის 30-წლიანი, ფაქტობრივად, ცენტრალიზებული მართვის შემდეგ, კიდევ 10 წელი მოანდომეს სრულ ლიბერალიზაციას (ჩვენთან კი სამ წელიწადში ეკონომიკის სამინისტროს გაუქმებას ვარაუდობენ).

ასე რომ, თუ ჩვენ ეკონომიკას მთლიანად მივანდობთ ბაზარს, ჩვენი ქვეყანა იქცევა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ დამატებად შრომატევად და დაბალტექნოლოგიურ დარგებში. თანაც, ეს შეიძლება მოხდეს ისე, რომ უცხოელებმა საერთოდ არ გააკეთონ ინვესტიცია საქართველოში, უბრალოდ, საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა გახდება ისეთი, რომელიც მოგებას მოუტანს განვითარებულ ქვეყნებს.

მეორე მხრივ კი, შრომატევადი დარგების განვითარება ნიშნავს იმას, რომ თითოეული ადამიანი შექმნის შედარებით ნაკლებ პროდუქტს, რის გამოც მისი ხელფასი დაბალი იქნება. ე.ი. ასეთ შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკა გავა ისეთ წონასწორობაში, როცა გვაქვს დაბალი ხელფასები და შესაბამისად დაბალი ცხოვრების დონე.

ამიტომაც სტიგლიცი თავის 2001 წლის ნობელის პრემიის ლექციაში მოუწოდებს მთავრობებს, რომ ჩაერიონ ეკონომიკის განვითარების მსვლელობაში და საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა არასასურველი წონასწორობიდან უფრო სასურველ წონასწორობაში გადაიყვანონ. რის შემდეგაც, შესაძლოა, ეს ჩარევა დიდი ხნით აღარც გახდეს საჭირო.

სწორედ იმის გამო, რომ ეკონომიკა, როგორც სტიგლიცი ამტკიცებს, შეიძლება არაოპტიმალურ წონასწორობაში გავიდეს, შეიძლება აიხსნას მრავალი, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ძალიან გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისები და ცხოვრების დაბალი დონე. ამიტომ, ვერა და ვერ გამოჰყავს ეს ქვეყნები კრიზისიდან ბაზარს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დედამიწის რესურსების შეზღუდულობა შეუძლებელს ხდის ყველა ქვეყნისათვის ცხოვრების მაღალი დონის მიღწევას. მაგალითად: იმისათვის, რომ ჩინეთში ცხოვრების დონე გაუტოლდეს საბერძნეთის ცხოვრების დონეს, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ჩინეთს დამატებით დასჭირდება ერთი დედამიწა, თავისი რესურსებით. შეგახსენებთ, რომ აშშ-ს მოსახლეობა, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენს, მოიხმარს მსოფლიო რესურსების 40 პროცენტს. დანარჩენი განვითარებული მსოფლიოც, ასევე - დაახლოებით 40 პროცენტს, ხოლო მთელი განვითარებადი მსოფლიო კი - რესურსების დარჩენილ 20 პროცენტს. ასე რომ, თუ ყველა ქვეყანა თანაბრად იცხოვრებს, ცხოვრების დონე აღარ იქნება ისე მაღალი, როგორც ახლა არის განვითარებულ ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ძნელია დაიჯერო, რომ ჩვენ ვინმე "ხეზე ცოცვას" გვასწავლის. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდისა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებმა არც ერთ ქვეყანაში არ გამოიღო დადებითი შედეგი, უფრო პირიქით ხდება ხოლმე.

უცხოური ტრანსეროვნული კორპორაციების უკონტროლოდ მოწვევამ კი შეიძლება პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე შედეგები გამოიღოს. ისინი საკმაოდ დიდ ფინანსებს ფლობენ, რის გამოც აქვთ ყველა შესაძლებლობა, ჩაერიონ პატარა ქვეყნების განვითარებაში. საჭიროების შემთხვევაში, მოისყიდონ პოლიტიკოსები და მოაწყონ გადატრიალებები. ეს მოხდა კიდეც ჩილეში, როცა სპილენძის მომპოვებელმა უცხოურმა ფირმამ "BNN"-მა, დააფინანსა გადატრიალება და შეიწირა ქვეყნის მთავრობა და ბევრი ადგილობრივი მცხოვრები. იგივე ბედი ეწია პატრის ლუმუმბასაც.

ეკონომიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა და ამიტომ შეიძლება, იგი პოლიტიკური მიზნებისათვისაც იქნეს გამოყენებული. ამის გამო, ადამიანებმა, ვისაც ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება ევალებათ, ეკონომიკური შეხედულებები, უმჯობესია, პროფესიული ლიტერატურით შეიქმნან და არა მასმედიის საშუალებებით, რადგან მასმედიის მიერ შექმნილი სტერეოტიპები შეიძლება, სულაც არ იყოს სწორი და, ამდენად, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

იმისათვის, რომ ზემოთ აღწერილი უარყოფითი პროცესები არ განვითარდეს საქართველოშიც, საჭიროა, რომ ქვეყნის მთავრობა აქტიურად ჩაერიოს ეკონომიკის მართვაში და იგი სასურველი მიმართულებით წაიყვანოს. გერმანიის, საფრანგეთის და იაპონიის მთავრობები მჭიდროდ თანამშრომლობენ თავიანთ მსხვილ კორპორაციებთან. იაპონიის მთავრობა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 30 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყნის ეკონომიკას. ამისათვის მან ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით ხელოვნურად შეამცირა საბანკო საპროცენტო განაკვეთი და გაამყარა იენის კურსი. ხელოვნურად გაზარდეს კრედიტზე და ვალუტაზე მოთხოვნა, შექმნეს დეფიციტი, ხოლო შემდეგ კი, მთავრობა განსაზღვრავდა ადმინისტრაციულად, თუ ვისთვის უნდა მიეცათ კრედიტი და ვისთვის - არა. ასევე ადმინისტრაციული მეთოდებით ანაწილებდნენ უცხოურ ვალუტას, რომ კონტროლი გაეწიათ, თუ რაში დაიხარჯებოდა ქვეყნის მწირი სავალუტო მარაგები, რათა კაპიტალი რაც შეიძლება ეფექტურად გამოეყენებინათ. მათ არ დაუწყიათ უცხოელების დახმარების ძიება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ახლა კი თვითონ არიან ყველაზე მსხვილი ინვესტორები თვით აშშ-იც კი. იაპონიის მთავრობამ, ეკონომიკის ასეთი გზით მართვით, თავისი ხალხი ახლოს არ გააკარა შრომატევად დარგებს. იაპონიაში განავითარეს მაღალი ტექნოლოგიები. ეკონომიკის 30-წლიანი, ფაქტობრივად, ცენტრალიზებული მართვის შემდეგ, კიდევ 10 წელი მოანდომეს სრულ ლიბერალიზაციას (ჩვენთან კი სამ წელიწადში ეკონომიკის სამინისტროს გაუქმებას ვარაუდობენ). იაპონიის მთავრობა აკონტროლებდა ექსპოტრსაც და იმპორტსაც, რომ მაქსიმალურად მომგებიანი ყოფილიყო საერთაშორისო ვაჭრობა. ზემოთ მოხსენიებული ზომების მიღება იაპონიას იმიტომ დასჭირდა, რომ იქ არ იყო განვითარებული სახელმწიფო სექტორი და საჭირო იყო გარკვეული ბერკეტების შექმნა კერძო სექტორის სამართავად. ჩვენთან კი, ჯერ კიდევ არის სახელმწიფო სექტორი, ამიტომ მთავრობას არ დასჭირდება ასეთი ხერხების გამოყენება. სახელმწიფოს ყველაზე უკეთ შეუძლია მსხვილი კაპიტალის მობილიზება და უახლესი ტექნოლოგიების მოძიება. გარდა ამისა, სტიგლიცი თავის 2001 წლის ნობელის პრემიის ლექციაში ამბობს, რომ მან ვერ მოიძია ვერცერთი საკმარისად მნიშვნელოვანი არგუმენტი იმისათვის, რომ კერძო სექტორს უფრო უკეთ შეუძლია მსხვილი კორპორაციების მართვა, ვიდრე სახელმწიფოს. ეს განსაკუთრებით ეხება მონოპოლიებს.

იმის გამო, რომ ბაზარი ეფექტურია მაშინ, როცა კონკურენცია სრულყოფილია, მცირეა შეზღუდვები კაპიტალის მოძიების მხრივ და ტექნოლოგიების წვდომაც არ არის ძალიან ძნელი, უმჯობესია, რომ ასეთი დარგების მართვა ბაზარს მიენდოს. ასეთია მცირე და საშუალო საწარმოები, რადგანაც ბაზარზე მოქმედი საწარმოების რიცხვი დიდია, მათ არ სჭირდებათ განსაკუთრებული კაპიტალდაბანდებები და არც უახლესი ტექნოლოგიები, ამიტომ უნდა ვივიარაუდოთ, რომ იგი უფრო ეფექტურად მოახერხებს ამ საწარმოების მართვას, ვიდრე სახელმწიფო. მაღალი კონკურენციის გამო, ასეთ დარგებში ძნელია დიდი მონოპოლიური მოგების მიღება. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ თუკი იზრდება სამართავი საგნების რიცხვი, მაშინ მათი ეფექტურად სამართავად მმართველობითი ორგანო ექსპონენციალურად უნდა გართულდეს. ასე რომ, სახელმწიფო ვერაფრით ვერ მოახერხებს დიდი რაოდენობის მცირე საწარმოების ეფექტურად მართვას და ჯობია ისინი გაყიდოს, მაგრამ რამდენიმე ათეული მსხვილი მონოპოლიური საწარმო, რომელიც მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს და მაღალ ტექნოლოგიებს, ჯობია სახელმწიფოს ხელში დარჩეს. მით უმეტეს, რომ მათ, ძირითადად, უცხოურ ბაზარზე მოუწევთ მოღვაწეობა და სახელმწიფოს დახმარების გარეშე ძალიან გაუჭირდებათ კონკურენციის დაძლევა. გარდა ამისა, მსხვილი საწარმოები საშუალებას იძლევიან, მონოპოლიური მოგება მიიღონ, რითიც იზრდება სოციალური უსამართლობა. თუკი ეს საწარმოები დარჩება სახელმწიფოს ხელში, როგორც მსხვილი აქციონერისა, მაშინ შესაძლებელი იქნება მაღალი მოგების (დივიდენდების) მთელ მოსახლეობაზე შედარებით სამართლიანად გადანაწილება. აქვე ვიტყვით, რომ იაპონიამ როგორლაც მოახერხა თავის მოსახლეობაში სოციალური სამართლიანობის მიღწევა. მისი მოსახლეობის 90 პროცენტი საშუალო მაცხოვრებელია, მხოლოდ 10 პროცენტია მდიდარი.

სახელმწიფო ვერაფრით ვერ მოახერხებს დიდი რაოდენობის მცირე საწარმოების ეფექტურად მართვას და ჯობია ისინი გაყიდოს, მაგრამ რამდენიმე ათეული მსხვილი მონოპოლიური საწარმო, რომელიც მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს და მაღალ ტექნოლოგიებს, ჯობია სახელმწიფოს ხელში დარჩეს.

აქვე არ შემიძლია არ შევჩერდე იმ საკითხზე, რომ ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს ჩვენ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანა ვართ. ჯერ ერთი, იაპონიას არაფერი აქვს, ადამიანების გარდა. ამიტომ, უმთავრესი სიმდიდრე ადამიანური კაპიტალია და საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს განათლებასა და მეცნიერების განვითარებას. თუ ჩვენ გვეყოლება მაღალკვალიფიციური ინჟინრები და მეცნიერები და თუ მათი ხვედრითი წილი ჩვენს მოსახლეობაში დიდი იქნება, მაშინ იგივე ჰექშერ-ოჰლინის თეორიით მოსალოდნელია, რომ ჩვენშიც განვითარდება მაღალტექნოლოგიური დარგები. ეკონომისტებისათვის ცნობილია ე.წ. "ლეონტიევის პარადოქსი", რაც იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს აქვს დიდი რაოდენობით კაპიტალი, მის ექსპორტში დიდი იყო შრომატევადი დარგების წილი. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ შრომატევად დარგებს მიათვალეს მეცნიერებატევადი დარგებიც (მეცნიერებისა და ინჟინრების შრომა). სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ აშშ-ს ექსპორტში დიდი იყო ისეთი საქონლის წილი, რომელიც მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური იყო. სწორედ ეს აძლევდათ მათ უპირატესობას საერთაშორისო ვაჭრობაში. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ აშშ-ს უფრო დიდი უპირატესობა ჰქონდა მაღალკვალიფიციური მეცნიერებისა და ინჟინრების სახით. შეიძლება მკითხველი შეშინდეს და თქვას, რომ ჩვენ აშშ-ს ამ საკითხში კონკურენციას ვერ გავუწევთ, მაგრამ ჰექშერ-ოჰლინის თეორიით, მნიშვნელობა აქვს არა აბსოლუტურ სიდიდეს, არამედ - ფარდობით ხვედრით წილს მოსახლეობაში.

ახლა უშუალოდ ბუნებრივ რესურსებზე გადავიდეთ. ჩვენ ისეთი ბუნებრივი რესურსი გვაქვს, რომელიც, რაც დრო გავა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება. ეს არის ჰიდრო რესურსი. აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ სასმელ წყალს. ჩვენი უპირატესობა იმაშია, რომ ჩვენი ქვეყანა ჰიდროენერგეტიკული რესურსების მიხედვით ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია 4-ჯერ იაფია, ვიდრე თბო ან ატომური ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული. ამასთან, იგი არ ილევა, განახლებადია. ეკოლოგიურად, მიუხედავად ჩვენში გავრცელებული აზრისა, ბევრად უფრო სუფთაა, ვიდრე სხვა მეტნაკლებად რენტაბელური ენერგიის წყაროები. ეს იძლევა საუკეთესო წინაპირობას ენერგოტევადი დარგების განვითარებისა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს აუქციონს

ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲖᲔ ᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲔᲑᲘ:

№	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	[illegible]	69.04	14	14023	208	[illegible]
2	[illegible]	73.34	47.4	14911	208	[illegible]
3	[illegible]	63.55	34.2	10579	208	[illegible]
4	[illegible]	30.36	33.64	6237	158	[illegible]
5	[illegible]	26.87	10.90	6137	158	[illegible]
6	[illegible]	108.24	43.51	24716	508	[illegible]
7	[illegible]	34.93	36.3	5617	108	[illegible]
8	[illegible]	48	110.41	12473	258	[illegible]
9	[illegible]	37.06	33.98	7347	158	[illegible]
10	[illegible]	108.45	40.7	22025	458	[illegible]

[illegible]

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ, ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბე"-ს სიდიდე უნდა იყოს ქონების საწყისი გასაყიდი ფასის მინიმუმ 10%, ბილეთის შესაძენი ფასი, ფიზიკურ პირთათვის 10 ლარი, ხოლო იურიდიულ პირთათვის 50 ლარი, რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე N300121500. მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდალური დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

აუქციონი გაიმართება 2004 წლის 13 ოქტომბერს, 12 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობის მეორე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზში.

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲔᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲘ:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ
- ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N7, მეორე სართული, ოთახი N5,
ტელ. 7-30-28, 7-26-45
გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

საქართველო გადაარჩენს თავის უნიკალურ მემკვიდრეობას

B2

ელდარი იყო, არის და იქნება. იქნება პეკინიც

B5

ქორწილი, როგორსაც ყველა გოგო ნატრობს

B8

ფინალისტები

ირინა შენგელიძე

რუსუდან ბოჭოიძე



ქეთი იასამნიძე

ირინა შენგელიძე: "ჩემი ოცნებაა, მყავდეს უცხოპლანეტელი მეგობარი"

18 წლის, სიმაღლე 171 სმ. 90-64-91

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი.

ოცნებობს, მიიღოს მონაწილეობა ცნობილი დიზაინერების ჩვენებებში.

მისი იდეალებია ნაომი კემპბელი და ლინდა ევანგელისტა.

ძალიან უყვარს მოგზაურობა და სპორტი.

- რა მიზნით მონაწილეობ კონკურსში?

- შარშანდელი კონკურსის შემდეგ მივედი "იმიჯ ცენტრში", ოღონდ კონკურსში მონაწილეობა არ ყოფილა ძირითადი სურვილი. კარგა ხანია მოდელობა მაინტერესებს და ჩავთვალე, რომ ეს სააგენტო ამისთვის საუკეთესო შანსს მომცემდა. კონკურსში მონაწილეობა შარშანაც მინდოდა, მაგრამ უნივერსიტეტში ვაბარებდი და არ მეცალა.

- პირველად მონაწილეობ კონკურსში?

- მოდების ჩვენებებზე გამოვსულვარ, კონკურსებში, შეიძლება ითქვას, რომ არა.

ერთხელ ეგვიპტეში ვისვენებდი. იქ გაიმართა კონკურსი "მის სასტუმრო" და ეს ტიტული მე მერგო, თუ ეს შეიძლება ჩაითვალოს კონკურსად...

- ბევრს მოგზაურობ?

- ვცდილობ. შესაძლებლობის ფარგლებში.

- ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა ან ქალაქი მოგეწონა?

- ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა საფრანგეთმა, პარიზი ჩემი ქალაქია.

- თუ გაიმარჯვე, ჩინეთსაც ნახავ. გაინტერესებს ჩინეთი?

- ყველა ქვეყანა მაინტერესებს. ბავშვობიდან მინდა შანხაის ნახვა.

- რამდენად სპორტული ხარ?

- ბავშვობაში ცურვაზე დავდიოდი, ძალიან მიყვარს ცურვა.

- რაზე ოცნებობ?

- ჩემი ოცნებაა, მყავდეს უცხოპლანეტელი მეგობარი.

რუსუდან ბოჭოიძე: "ბავშვობიდან მაინტერესებდა ადამიანი"

21 წლის, სიმაღლე 180 სმ. 84-58-93

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი.

ოცნებობს, იმოგზაუროს ბრაზილიასა და სეიშელის კუნძულებზე.

გატაცებულია კითხვით, ფიგურული სრიალითა და ჩოგბურთით.

- რატომ გადაწყვიტე მოდელობა, შენი პროფესია აღარ გაინტერესებს თუ შეათავსებ?

- ადრე მოდელი ვიყავი, მაგრამ იმის გამო, რომ ვსწავლობდი, დრო არ მრჩებოდა. ახლა შედარებით მეტი დრო მაქვს და გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ ვცადო, ამჯერად საბოლოოდ. ინტერესით, რა თქმა უნდა, ჩემი პროფესია უფრო მაინტერესებს.

- რა გხიბლავს, რა გიზიდავს შენს ძირითად პროფესიაში?

- ეს არის მეცნიერება, რომელიც მედიცინასა და ფსიქოლოგიას ერთობლივად შეისწავლის. ადამიანს ყოველთვის ცალ-ცალკე შეისწავლიან ხოლმე. ცალკე არსებობს მედიცინა და ცალკე ფსიქოლოგია. არადა, ადამიანი ორივეს ერთობლიობაა. ბავშვობიდან მაინტერესებდა ადამიანი. მაინტერესებდა ფსიქოლოგიაც, მაგრამ სკოლაში მედიცინაც ძალიან მიყვარდა. თავიდან ფსიქოლოგიურზე ვფიქრობდი ჩაბარებას, მაგრამ როდესაც გავიგე, რომ არსებობს ასეთი ფაკულტეტი, გადაწყვეტილება შევცვალე.

- შენი ოცნება - ბრაზილიასა და სეიშელის კუნძულებზე მოგზაურობა, რაიმე კავშირშია შენს პროფესიულ ინტერესებთან?

- ბრაზილია ჩემს პროფესიასთან არაფერ კავშირში არ არის. უბრალოდ, მინდა, სხვადასხვა ქვეყნის ბევრ ადამიანს შევხვდე. სხვადასხვა ერს, სხვადასხვა კულტურის ადამიანებს განსხვავებული თვისებები აქვთ და მინდა, მე თვითონ შევადარო.

- ძირითადად, რას კითხულობ?

- მიყვარს დეტექტივები, ასევე სამეცნიერო-ფსიქოლოგიური თემატიკის კითხვა.

ქეთი იასამნიძე: "მინდა, ჩავწერო საკუთარი ალბომი"

17 წლის, სიმაღლე 175 სმ. 90-63-92

ოცნებობს, გახდეს ცნობილი მომღერალი და გამოუშვას საკუთარი ალბომი.

ადამიანებში ყველაზე მეტად აფასებს სამართლიანობას.

- შარშანდელ კონკურსს თუ მიადევნე თვალი?

- კი, ოპერაშიც ვიყავი, შოუზე. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

- ამიტომ ხომ არ გადაწყვიტე მონაწილეობა "მის საქართველოში"?

- ალბათ, უფრო წინა შოუს გამო.

- რატომ?

- ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. ჩემი აზრით, ჟიურის გადაწყვეტილებებიც სამართლიანი იყო. ირინა ონაშვილზე ჩემი აზრი დაემთხვა ჟიურის გადაწყვეტილებას.

- როგორ მოხვდი კონკურსზე?

- გორში ვცხოვრობ. როდესაც გავიგე, რომ ჩვენთან "მის საქართველოსთვის" შიდა ქართლის რეგიონული კონკურსი იმართებოდა, მეც მივედი, გავედი შესარჩევ ტურში, შემდეგ კი საუკეთესო ოცდაათ გოგონაში მოვხვდი.

- საკუთარი ალბომის გამოშვებაზე ოცნებობ, სიმღერებს წერ?

- არა, მხოლოდ ვმღერი. საკუთარი სიმღერა ჯერ არ მაქვს.

- ესე იგი, აპირებ?

- არ ვიცი, ვნახოთ. მინდა.

B2 რევიუ B3 რეკლამა B4-5 სპორტი B6 აქტუალური ისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

საქართველო გადაარჩენს თავის უნიკალურ მემკვიდრეობას

სახელმწიფო პროგრამის განხილვა დაიწყო

ვერა ნეფარიძე

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა წარმოადგინეს. თუ როგორ ხედავს სამინისტრო ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის სქემას, მინისტრის მოადგილემ, ნიკა ვაჩეიშვილმა გუშინ ჟურნალისტებს გაანდო. მასმედიის შემდეგ, დაგეგმილია პროგრამის განხილვა არასამთავრობო სექტორთან და პროფესიულ წრეებთან.

გუშინდელი განხილვა საკმაოდ დეტალური იყო. ნიკა ვაჩეიშვილმა ისაუბრა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებულ პრობლემებზე, გაგვაცნო, როგორ წარმოუდგენია სამინისტროს მათი გადაწყვეტა და დაწყებულ პროექტებზეც მოკლედ ისაუბრა.

ნიკა ვაჩეიშვილმა ამჯერადაც ახსენა მძიმე მდგომარეობა, რაც საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას წლების განმავლობაში თან სდევს. თუმცა, საბედნიეროდ, გუშინდელ შეხვედრაზე ყველაზე ნაკლებად მწარე სიმართლეზე (როგორც თავად ვაჩეიშვილმა არაერთხელ თქვა), უფრო კი, კონკრეტულ სამუშაოზე, პრობლემის მოგვარების გზებზე ისაუბრეს. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იმ სახელმწიფო პრიორიტეტებს შორის, რომელიც რევოლუციისშემდგომმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, ერთ-ერთი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაცაა. "კულტურული მემკვიდრეობის ღირსეულ დაცვაზე პასუხისმგებლები ვართ ქართველი ერის წინაშე", - თქვა ნიკა ვაჩეიშვილმა. ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისას აუცილებელია საქმიანობის ცენტრალიზაცია, რაც, შეიძლება ითქვას, რომ დაწყებულია. თუ აქამდე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა გადანაწილებული იყო სხვადასხვა დარგზე, ამიერიდან ასე აღარ იქნება. ნიკა ვაჩეიშვილის თქმით: საუბარია უკვე ერთიან, მდგრად კონცეფციაზე. ეს კონცეფციაც სამინისტროში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურში ჩამოყალიბდება და ცალკეულ ძეგლებზე ზრუნვაც ამავე სამსახურის კომპეტენციაში გადავა. ამ ეტაპზე კი გრძელდება ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ინვენტარის სამინისტროში გადაბარგება.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"კულტურული მემკვიდრეობის ღირსეულ დაცვაზე პასუხისმგებლები ვართ ქართველი ერის წინაშე", - თქვა ნიკა ვაჩეიშვილმა პროგრამის წარდგენისას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის უპირველეს წინაპირობად ჩვენი ძეგლებია მიჩნეული. "საქართველოში ძეგლი არ არის, რომ არ უჭირდეს. თითოეული ძეგლი თუ არ გაიწმინდა ბალახისგან, მიწისგან, ხვალ-ზეგ მას ბზარები გაუჩნდება. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა არის მრავალსაუკუნოვანი, ბუნებრივად მხცოვანი. მივაღწიეთ იმას, რომ მისი მოვლა-პატრონობა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია, მაგრამ ვერაფერს გავხდებით, თუ საზოგადოება არ იქნება ამისთვის მზად", - თქვა ნიკა ვაჩეიშვილმა და საკანონმდებლო ხარვეზებიც ახსენა. როგორც ირკვევა, კანონით არ არის გათვალისწინებული, ცალკეული ადამიანი დაუპირისპირდეს კულტურული ძეგლების ხელყოფას. ამიტომაც, სამინისტრო აპირებს, ნოემბერში პარლამენტში მთელი რიგი ცვლილებების პაკეტით წარდგეს.

როდესაც ჩვენი კულტურული ძეგლების მოვლაზეა საუბარი, ექსპერტები ხშირად ახსენებენ პროფესიული კადრების პრობლემას. ამ მხრივ ნიკა ვაჩეიშვილმა კიდევ ერთხელ დადებითად შეაფასა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ერთიანი რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტის დაარსება და თქვა, რომ მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა პირობა იქნება გათვალისწინებული და შექმნილი. მინისტრის მოადგილე დაგვპირდა, რომ კიდევ ერთი პრობლემა - ის, რომ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დასაქმება დღემდე არაშემოსავლიანია, უახლოეს მომავალში აღარ იარსებებს. ნიკა ვაჩეიშვილის მონაცემებით, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების ზრდა თვალსაჩინოა. მაგალითად კი მოიტანა საქართველოს ძეგლთა გადარჩენის ფონდი, რომელმაც სამინისტროსთან თანამშრომლობით 100 ათასი ამერიკული დოლარი გამოყო კულტურული მემკვიდრეობის სფეროს დასაფინანსებლად.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო წარმოდგენილი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს რეგიონულ პროექტს "საქართველო გადაარჩენს თავის უნიკალურ მემკვიდრეობას". ვაჩეიშვილის თქმით, პროექტი ითვალისწინებს უცნობი, მაგრამ მნიშვნელოვანი ძეგლებისადმი ყურადღებას. მოწესრიგდება ძეგლებზე მუშაობის სპეციფიკაც. ამ მიზნით შეიქმნება ერთჯერადი ნებართვის ინსტიტუტი. ამ მხრივ მთავარი სიახლე ის არის, რომ ამიერიდან, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით, პროექტებზე მუშაობის დაწყების საფუძველი ტენდერი იქნება. ამჟამად კი გამოცხადებულია ტენდერი სამღერეთის (XII-XIII სს.) და წინწყაროს (IX საუკუნის ეკლესია) გადარჩენის საპროექტო წინადადებასა და მეთოდიკაზე. ვარძიაში დაგეგმილი კლდის გაწმენდითი სამუშაოები და წყალმრიდი ჯებირების აღდგენა სექტემბრის ბოლოსთვის გადაიდო. უახლოეს მომავალში კი მესტიის მუზეუმის გათბობა-ვენტილაციის პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება. კონკრეტულად ამ პროექტებთან დაკავშირებით, სამინისტროში მოგვიანებით ცალკე პრეზენტაციები იგეგმება.

22 სექტემბერს 22 კინოთეატრის ბედი გადაწყდება

კინოთეატრის დირექტორები კინოდარბაზების გასხვისებას აპროტესტებენ

ნინია კაკაბაძე

ძალიან ბევრი რამ უკავშირდება კახა ბენდუქიძის ექსპორტს თბილისში. საზოგადოება ორად არის გაყოფილი - ერთ ნაწილს მოსწონს მისი საქციელი, მეორე კი თავზე დასძახის: "საქართველო იყიდება" და ხანდახან "აპურჭყებს" კიდეც. მაგრამ ბატონი ეკონომიკის მინისტრი, შეიძლება ითქვას, სანიმუშო თავშეკავებით, დარბაისლობითა და "ენაწყლიანობით" (რიგ შემთხვევებში უცენზურო გამონათქვამებითაც) რეაგირებს საზოგადოების შემოტევებზე. იყიდება ყველაფერი, რაც აქამდე სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ამ ყველაფრიდან 99 პროცენტი განადგურების პირასაა. შესაძლოა, ალტერნატივაც არსებობს, მაგრამ ეს არც მე ვიცი და, როგორც ჩანს, არც ბენდუქიძემ. ასეა თუ ისე, ბენდუქიძის შირმას ამოფარებული სახელმწიფო თითქმის ყველა ობიექტს ჰყიდის. ბოლო დროს ბევრი საპროტესტო აქცია თუ პრესკონფერენცია გაიმართა ამ საკითხთან დაკავშირებით და ამ აქციების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. მოთხოვნა ყველგან ერთია: არ გაიყიდოს სტრატეგიული ობიექტები, დანარჩენები კი გასხვისდეს გამჭვირვალე პირობებში. როდესაც ყველაფერი იყიდება, ბუნებრივია, ყველა ცდილობს, რაღაც პატარა "კანტორა" მაინც, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობს ან კომუნისტების დროს მას ეკუთვნოდა (არაოფიციალურად, მაგრამ...), ხელში ჩაიგდოს უფულოდ ან მინიმალური თანხის საფასურად. რატომაც არა, არც მე ვიტყოდი უარს, მაგალითად, ერთ პატარა კაფეზე, ბარზე, რესტორანზე ან კინოთეატრზე. მერე რას გავაკეთებდი, არ ვიცი, მაგრამ იყოს, ვის რას შეუშლის. შვილებს მაინც დავუტოვებ ანდერძით. მოკლედ, ჩემი ირეალური ალუზიებისგან განსხვავებით, ადამიანებს სრულიად რეალური "ილუზიები" აქვთ. დავის უკანასკნელი საბაბი, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად თბილისში არსებული კინოთეატრებია.

გუშინ ჟურნალისტის სახლში თბილისში არსებული რამდენიმე კინოთეატრის დირექტორმა პრესკონფერენცია გამართა.

დირექტორები: მათი სტატუსი ოდნავ საკამათოა, ვინაიდან ისინი 90-იანი წლების დასაწყისში სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმის" დირექტორმა თანამდებობიდან გაათავისუფლა, მაგრამ დირექტორები მის ბრძანებას არ დაემორჩილნენ და "პოსტები" არ დატოვეს. ეს - ნაწილმა. დღეს სწორედ ამ ნაწილმა მოაწყო პრესკონფერენცია.

სააქციო საზოგადოება ქართული ფილმი: ეს ორგანო თუ საზოგადოება იმდენი წანაგისგან შედგება, რომ პირადად ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია სინამდვილეში გარკვევა, ვის რა ეკუთვნის და რატომ?! ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა, "ქართული ფილმის" ერთპიროვნული ბატონ-პატრონი ბატონი რეზო ჩხეიძეა. კინოთეატრები კი, როგორც მათი ყოფილი დირექტორები ამბობენ, მან ედუარდ შევარდნაძისგან მიიღო საჩუქრად: "ჩემო რეზო, მიჩუქნია შენთვის ყველა ქართული კინოდარბაზიო". ასეთი სულგრძელი ჟესტებით გამოირჩეოდა ყოფილი **რაიკომის მდივანი** თავისი მეგობრებისადმი. იმის გამო, რომ რეზო ჩხეიძემ უკანასკნელ წლებში მათ ვერ უპატრონა, ახლა ყიდის.

კინოთეატრების **დირექტორები** კი აცხადებენ: არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ დარბაზები ჩხეიძეს და სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმს" ეკუთვნის. ისინი მან თვითნებურად მიითვისა. სინამდვილეში მათი მფლობელი ქალაქის მუნიციპალიტეტია. აქედან გამომდინარე, დირექტორები ითხოვენ, რომ კინოთეატრები მის პირველად მფლობელს დაუბრუნდეს. სწორედ ამის გამო 22 სექტემბერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში გაიმართება პროცესი. ბოლოს და ბოლოს, იქნებ გაირკვეს, ვის ეკუთვნის ეს კინოთეატრები.

22 სექტემბერს სასამრთლო გადაწყვეტს, ვისია ან ვის დარჩება თბილისში არსებული 22 კინოთეატრი.

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

კინოთეატრ "აპოლოს" დღევანდელი სახე.

ცოტა ხნის წინათ (შესაძლოა, დღესაც) საქართველოში თავად კანონები იყო უკანონო. აქაც იგივე მდგომარეობაა. ჩხეიძესაც და დირექტორებსაც დოკუმენტური მასალა ფაქტებითა და საბუთებით წესრიგში აქვთ. როგორ უნდა გამოააშკარაოს სასამართლომ მტყუან-მართალი და როგორ გადაწყვიტოს უდანაშაულოთა და დამნაშავეთა ბედი, არავინ იცის. მე თანახმა ვარ, რომ ყოფილი **რაიკომის მდივანი** მოვიპატიჟოთ სასამართლო პროცესზე, მით უმეტეს, რომ მექრთამეები უკვე "დავიჭირეთ". იქნებ ახლა მაინც გვითხრას, ბოლოს და ბოლოს, ვის აჩუქა კინოთეატრები?! ვფიქრობ, ეს ყველაზე მარტივი გამოსავალია, რადგან იმ შეთითხნილი საბუთებით არაფერი გაირკვევა და მოსამართლეებიც და მოსარჩლეებიც გაწვალდებიან.

მოკლედ, რეზო ჩხეიძის დაინტერესება ნათელია. ათ წელიწადზე მეტია, ამ დიდ ფართობს, რომელიც მან საჩუქრად მიიღო, ვერ მიხედა. კინოთეატრების უმეტეს ნაწილში დამკრძალავი ბიუროა გახსნილი. არის ამ ფაქტში რაღაც მისტიკური. ეტყობა, მეტაფორულად, ეს კინოდარბაზები საკუთარ მიცვალებულს - ქართულ კინოს დასტირიან. ზოგს უხარია და საბანკეტო დარბაზად ფუნქციონირებს. მოკლედ, სევდანარევი კომედია ტრიალებს ყოფილ დარბაზებში. იქ კი, მათ უმეტეს ნაწილში, სადაც არც არავის კრძალავენ და არც ქორწილს იხდიან, ვირთხები დაპარპაშებენ. ერთი სიტყვით, ამ კინოთეატრებს ვერც მათმა "დირექტორებმა" მიხედეს და ვერც "დირექტორმა". ახლა, როცა "იყიდება საქართველო", პოტენციურ მყიდველს ყიდვა უნდა, გამყიდველს - გაყიდვა, ხოლო არაპოტენციურ მფლობელს - მისი მართვა და ყოფილი პრივილეგიებით სარგებლობა. საქმე ბუნდოვანია, მისი გამოძიება საკმაოდ რთული იქნება.

მოთხოვნა ასეთია: გარდა იმისა, რომ კინოთეატრები უნდა დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტს, საზოგადოებისთვის ნათელი უნდა გახდეს, რა მოხდა ამ საკითხთან დაკავშირებით 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე. კი ბატონო, მოვისმენთ, მაგრამ არ მესმის, რა მნიშვნელობა აქვს ამას დღეს. ფაქტია, რომ დღეს თბილისში სრულყოფილად ფუნქციონირებს ორი კინოთეატრი, სამმა შეინარჩუნა პირველადი იერსახე, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი აღდგენა ნებიმიერ დროს შესაძლებელია, დანარჩენი კი გაპარტახებულია. მაგალითად, "დეზერტირების ბაზართან" მდებარე კინოთეატრი "სიხარული" აგრძელებს ჩვენებებს და მაყურებელს (მართალია, ოდნავ შელახულ დარბაზსა და სკამებზე) ძველებურად სთავაზობს ინდურ კინოს. ასე რომ, ვისაც ინდური ფილმების ნოსტალგია აქვს, შეგიძლიათ იქ შეიაროთ. პირადად მე კიდევ ერთხელ სიამოვნებით ვნახავდი "ზიტა და გიტას" და ვიოცნებებდი, ზიტასნაირი ნაზი და ნარნარი და გიტასნაირი ძლიერი და მოხერხებული ქალბატონი ვყოფილყავი.

დაბოლოს. ვფიქრობ, კინოთეატრები უნდა გაიყიდოს. საუკეთესო შემთხვევაში, უნდა გაიყიდოს მისი პირველადი დანიშნულების მოხმარების მიზნით. მაგრამ გაყიდვა არ გულისხმობს იმას, რომ გაყიდული თანხა მხოლოდ ერთმა ან ორმა პირმა უნდა გამოიყენოს, რისი გამოცდილებაც, სამწუხაროდ, გვაქვს (დიღმის კინოსტუდიის გაყიდვის შემთხვევაში). იქნებ ვცადოთ და შემოსული თანხა ისევ კინოს მოვახმაროთ. პირადად მე, როგორც ერთი რიგითი გულშემატკივარი ზოგადად კინოსი, ახალგაზრდების კინემატოგრაფიულ განათლებაში ჩავდებდი ფულს და ჯერ მათ კინოს გადაღებას ვასწავლიდი, შემდეგ კი კინოწარმოებისთვის ფულის მოზიდვას შევეცდებოდი. ეს მხოლოდ ჩემი სურვილია, რის გაკეთებასაც მოვუწოდებ ყველას, ვინც ახალი ქართული კინოს ინდუსტრიაში ილებს თუ მომავალში მიიღებს მონაწილეობას.

საზოგადოების პირველი მოთხოვნა უნდა იყოს გაყიდული ობიექტებიდან შემოსული თანხის კონტროლი. ისე არ მოხდეს, როგორც აქამდე ხდებოდა. თუ ვინმეს ქართული კინოს ნათელი მომავლის იმედი ჯერ კიდევ აქვს, მაშინ მოვთხოვოთ, როგორც კერძო პირებს, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ერთ-ერთი პირველი მიზანი ახალგაზრდების კინემატოგრაფიული პროფესიონალიზმის განვითარება იყოს, სადაც ბუნებრივია, ფინანსები უნდა ჩაიდოს.

სტუმრად სამშობლოში

ინგოლშტატის ქართულმა ორკესტრმა გასტროლები დაასრულა

მადი სერებრიაკოვა

გერმანიის ქალაქ ინგოლშტატში მოქმედმა ქართულმა კამერულმა ორკესტრმა სამშობლოში მეორე კონცერტი გამართა. ორი დღის წინათ, "შემოდგომის თბილისის" გახსნისა და ამავე დროს, გოეთეს ინსტიტუტის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე ორკესტრმა ამაღელვებელი და საინტერესო კონცერტი გამართა. მეორე კონცერტზე მოსული მსმენელის კიდევ ერთხელ გაოცება, ალბათ, ძალზე ძნელი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ინგოლშტატის ქართულმა ორკესტრმა და სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა ფესტივალის ფარგლებში მორიგი კონცერტი საკმაოდ წარმატებით გამართა. ამგვარად, ინგოლშტატელებმა "შემოდგომის თბილისზე" საკუთარი მოღვაწეობა დაასრულეს. სავარაუდოდ, თბილისელ მსმენელსაც დიდი ხნით დაემშვიდობნენ.

კონცერტი ცინცაძის სახელობის კვარტეტმა გახსნა. კვარტეტი უკვე 38 წლისაა. თუმცა, შარშან მისი შემადგენლობა ნაწილობრივ შეიცვალა. ჩელოს პარტიას ინგოლშტატის ორკესტრის სოლისტი ზურაბ შამუგია ასრულებს. დღეს კვარტეტის წევრები უამრავი ჯილდოსა და პრემიის ლაურეატები არიან, მათ შორის, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიებისა. მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე მათ არაერთი ფირფიტა და კომპაქტ-დისკი აქვთ გამოცემული, არიან მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატები.

ვახო ბესელიას ფოტო

გუშინდელი კონცერტით ინგოლშტატში მოღვაწე ქართული კამერული ორკესტრი სამშობლოს, ალბათ, დიდი ხნით გამოემშვიდობა.

კვარტეტს ამ ჟანრში შექმნილი ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკალური ლიტერატურა აქვს ათვისებული. თუმცა, განსაკუთრებული ღვაწლი ქართული კამერული მუსიკის განვითარებაში მიუძღვით. წლების მანძილზე, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, კვარტეტი პოპულარიზაციას უწევდა ქართველი კომპოზიტორების - სულხან ცინცაძის, ნოდარ გაბუნიას, სულხან ნასიძის, ვაჟა აზარაშვილისა და სხვათა ნაწარმოებებს.

"შემოდგომის თბილისზე" მათ ბეთჰოვენის მე-10 კვარტეტი შეასრულეს. მართალია, მათი გამოცდილებისა და დამსახურების მქონე ოსტატებისგან მეტს ველოდით, მაგრამ მსმენელმა ღვაწლმოსილი მუსიკოსები მაინც დააფასა და მათთვის ოვაცია არ დაიშურა.

მეორე განყოფილება კვლავ ინგოლშტატის ქართულ ორკესტრს დაეთმო. შესანიშნავი დირიჟორისა და ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელის მარკუს პოშნერის ხელმძღვანელობით ბეთჰოვენისავე უვერტიურა "კორიოლონი" და პირველი სიმფონია შესრულდა. მასში თბილსის სიმფონიური ორკესტრის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ხვალ "შემოდგომის თბილისი" გაგრძელდება ბიძინა კვერნაძის საავტორო საღამოთი, რომელსაც ფესტივალის საბაზო მასპინძელი, თბილისის სიმფონიური ორკესტრი წარმოადგენს. ორკესტრს ვახტანგ კახიძე უდირიჟორებს. სოლისტის პარტიას კი ახალგაზრდა პიანისტი მამიკონ ნახაპეტოვი შეასრულებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება N158

7 სექტემბერი 2004 წ.
ქ. თბილისი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2004-2005 სასწავლო წლისთვის რეკომენდებული საათობრივი ბადეების დამტკიცების შესახებ

2004-2005 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო დატვირთვის 34-დან 38 კვირამდე გაზრდასთან დაკავშირებით, "განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის 2004-2005 სასწავლო წლისთვის რეკომენდებული, დანართით გათვალისწინებული საათობრივი ბადეები.
2. სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავებისას ყველა პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ იხელმძღვანელოს 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდებული საათობრივი ბადეებით.
3. მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გამოთვლა მოხდეს 2003-2004 სასწავლო წლის საწავლო გეგმების მიხედვით. (იხილეთ თანდართული განმარტება)
4. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლისთვის 2004-2005 წლისთვის რეკომენდებული საათობრივი ბადით გათვალისწინებულია 2003-2004 წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კვირეულ საათობრივ დატვირთასთან შედარებით ნაკლები საათების რაოდენობა, სკოლის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს გამოთავისუფლებული დროის ორგანიზება მასწავლებლის მიერ ინდივიდუალური მუშაობის, საკუთარი შესაძლებლობების განვითარებისა და გაკვეთილების უკეთ მომზადებისთვის. რაც ანაზღაურდება 2003-2004 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით.
5. დაევალოს ყველა პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორებს უზრუნველყონ მასწავლებელთა დროული ინფორმირება იმის თაობაზე, რომ მიუხედავად საათობრივი ბადის ცვლილებიდან გამომდინარე კვირეული საათობრივი დატვირთვის შემცირებისა, მათი შრომის ანაზღაურების გამოთვლა მოხდება 2003-2004 წლის სასწავლო გეგმების შესაბამისად.
6. დაევალოს ინდივიდუალურ და საავტორო სკოლებს, გიმნაზიებსა და ლიცეუმებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიაწოდოს 2004-2005 სასწავლო წლის სასწავლო გეგმები არა უგვიანეს ამა წლის 1-ლი ოქტომბრისა.
7. დაევალოს პროექტ "ილია ჭავჭავაძის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების სათანადო წესით გამოქვეყნება.
8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბ-ნ მიხეილ მინდაძეს.

დანართი: 11 ფურც.

მინისტრი
ალექსანდრე ლომაია

განმარტება

I. სასწავლო კვირების რაოდენობის 34-დან 38-მდე გაზრდა საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემსუბუქდეს მოსწავლისა და ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლის დატვირთვა დღისა და კვირის განმავლობაში ისე, რომ საგანში საერთო საათების რაოდენობა კლასების მიხედვით უცვლელი დარჩეს.

II. სკოლის დირექტორი მასწავლებლის საგაკვეთილო დატვირთვას ადგენს 2004-2005 წლის საათობრივი ბადის შესაბამისად მასწავლებლებთან შეთანხმებით.

III. მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გამოთვლა მოხდება 2003-2004 სასწავლო წლის სასწავლო გეგმების მიხედვით, რაც თავის თავში მოიცავს სასწავლო წლის დაწყებას სექტემბრის თვის მე-3 კვირის ორშაბათს. გადაწეული სასწავლო წელი ანაზღაურდება ივნისის თვეში სასწავლო პროგრამის გახანგრძლივებით და საშემოდგომო და საგაზაფხულო არდადეგების გაუქმებით. ივნისის თვეში გათვალისწინებული პედაგოგის სამუშაო (მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და გაკვეთილის უკეთ მომზადება) გადანაწილდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე კვირეული დატვირთვის შევსებით, რაც გამოითვლება 2003-2004 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით. განმარტება ეხება ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტს.

IV. თუ 2004-2005 სასწავლო წლის საათობრივი ბადით მასწავლებლისთვის გათვალისწინებულია 2003-2004 სასწავლო წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეულ საათობრივ დატვირთვაზე ნაკლები კვირეული საათების რაოდენობა, დაწესებულების დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს გამოთავისუფლებული დროის ორგანიზება მასწავლებლის მიერ ინდივიდუალური მუშაობის, საკუთარი შესაძლებლობების განვითარებისა და გაკვეთილების უკეთ მომზადებისთვის.

V. იმ შემთხვევაში, თუ 2004-2005 სასწავლო წლის საათობრივი ბადით მასწავლებლისთვის გათვალისწინებულია 2003-2004 სასწავლო წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კვირეულ საათობრივ დატვირთვაზე მეტი კვირეული საათების რაოდენობა, დაწესებულების დირექცია უფლებამოსილია შეამციროს ამ საგნის საათები 2003-2004 სასწავლო წლისთვის გათვალისწინებული სახელფასო ფონდის შესაბამისად.

VI. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებებით გადაანაწილოს 2004-2005 სასწავლო წლის საათობრივი ბადით გათვალისიწნებული საგნების საათების 25%. ამასთან, ამ გადანაწილების შედეგად მოსწავლის საათობრივმა დატვირთვამ არ უნდა გადააჭარბოს რეკომენდებული საათობრივი ბადით გათვალისწინებულ მაქსიმალურ დატვირთვას.

VII. სკოლა საკუთარი შეხედულებისამებრ, მასწავლებლებთან შეთანხმებით უფლებამოსილია გაყოს კლასები ნებისმიერ საგანში.

VIII. გაკვეთილების ხანგრძლივობა პირველ კლასში 35 წუთია, ხოლო II-XI კლასებში - 45 წუთი. შესვენების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 10 წუთზე ნაკლები ნებისმიერი კლასისთვის.

IX. აღარ არსებობს ინვარიანტული და ვარიანტული ბლოკები. თუ სკოლა თავის მოსწავლეებს სთავაზობს საათობრივი ბადით გათვალისწინებული საგნებისგან განსხვავებულ დამატებით საგანს, მას უნდა ჰქონდეს ფაკულტატური ხასიათი. თუ ფაკულტატურ საგანში მასწავლებლის შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო დაფინანსებიდან, ეს საგანი გათვალისწინებულ უნდა იქნას მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში.

X. სკოლას უფლება აქვს შესთავაზოს მოსწავლეებს საგანგებო სიტუაციების კურსი და სამოქალაქო თავდაცვა ფაკულტატური საგნის სახით.

XI. ინდივიდუალური, საავტორო, გიმნაზიებისა და ლიცეუმების სასწავლო გეგმებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცება აღარ ესაჭიროება.

დანართი

საათობრივი ბადე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის

მოკლედ

ოლივიე პანისმა კარიერა დაასრულა

"ტოიოტას" ლიდერმა ოლივიე პანისმა განაცხადა, რომ სეზონის უკანასკნელი რბოლა, ბრაზილიის დიდი პრიზი ბოლო იქნება მის სპორტულ კარიერაში. რბოლა ოქტომბერში გაიმართება. თუმცა, პანისი გუნდში ტესტ-პილოტად კიდევ ორი წლის განმავლობაში დარჩება.

"ჩემი გადაწყვეტილება მრავალთვიანი განსჯის შედეგია, - განაცხადა 38 წლის პილოტმა, - მე შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს გუნდის წევრებთან და მოხარული ვარ, რომ მისი განვითარებისთვის კიდევ ვიშრომებ".

ოლივიე პანისმა ფორმულა 1-ის პილოტის კარიერა 1994 წელს დაიწყო. მას შემდეგ პანისმა 155 რბოლაში მიიღო მონაწილეობა და სამჯერ საუკეთესო სამეულში შევიდა. ბოლო ერთადერთი გამარჯვება მთელი ამ წლების განმავლობაში პანისმა 1996 წელს მონაკოს გრან-პრიზე იზეიმა.

წლეულს პანისმა გუნდისთვის მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა. მისმა პარტნიორმა, ბრაზილიელმა კრისტიან და მატამ - 3, ამიტომ გუნდი ამჟამად კონსტრუქტორთა თასის გათამაშებაში მერვე ადგილზეა. ახალი სეზონიდან "ტოიოტას" ერთ-ერთი საპრიზო პილოტი გერმანელი რალფ შუმახერი იქნება. მისი პარტნიორის პოზიციაზე კი იტალიელი იარნო ტრული და შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდი აცხადებენ პრეტენზიას.

რუსეთი - ავსტრია, საფრანგეთი - ესპანეთი

ჩოგბურთში ფედერაციის თასის ნახევარფინალში, რომელიც მოსკოვში 24-28 ნოემბერს გაიმართება, ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან რუსეთი - ავსტრია და საფრანგეთი - ესპანეთი. რუსებს იმედი აქვთ, რომ საკუთარ კედლებში შეძლებენ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მოგებას.

რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შამილ ტარპიშევს სჯერა, რომ რუსეთის ნაკრები გამარჯვებისთვის მზად არის. მას მიაჩნია, რომ ასეთი დონის ტურნირები რუსეთს საშუალებას აძლევს, ქვეყანაში ქალთა ჩოგბურთი განავითაროს. კენჭისყრის შემდეგ ტარპიშევმა განაცხადა, რომ წლევანდელი "ოთხთა ფინალი" უფრო დაძაბული იქნება, ვიდრე შარშანდელი. "დიდი სურვილი მაქვს, წლეულს გავიმარჯვოთ", - განაცხადა ტარპიშევმა.

ქალთა ფედერაციის თასის "ოთხთა ფინალი" რუსეთში ზედიზედ მეორედ ტარდება. შარშან ნახევარფინალურ ეტაპზე რუსებმა მატჩი ტურნირის მომავალ ჩემპიონთან, ფრანგებთან დათმეს. კენჭისყრის შედეგების კომენტირებისას ტარპიშევმა განაცხადა, რომ რუსებს გამარჯვებისთვის თავისი თამაშის ჩვენება სჭირდებათ. რუსეთი და საფრანგეთი დანარჩენ მეტოქეებთან შედარებით ძლიერები არიან. "თუმცა, ბოლო დროს ქალთა ჩოგბურთში დონე, ასე თუ ისე, გათანაბრდა და ყველა მატჩი დაძაბული იქნება", - განაცხადა ტარპიშევმა.

TV-სპორტი

პარასკევი. 10 სექტემბერი

НТВ+ФУТБОЛ

06:00 NBA TV. ფინალის ხმები. პლეიოფი
06:30 NBA TV. სეზონი 2001-2002. "ORLANDO MAGIC" - "CHARLOTTE HORNETS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 რუსეთის ჩემპიონატი. 1/16 ფინალი. "ლოკომოტივი" - "ჩერნომორეცი". საპასუხო მატჩი
14:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სანტოსი" - "ატლეტიკო პარანენსე"
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 "FUTBOL MUNDIAL"
16:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:05 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. შეხვედრა მე-3 ადგილისთვის. ურუგვაი - კოლუმბია
18:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:20 თავისუფალი დარტყმა
19:35 სახვალიო ტელეპროგრამა
19:40 "ექსპერტიზა"
20:10 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ლატვია - პორტუგალია
21:55 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. ფინალი. არგენტინა - ბრაზილია. შესვენებისას (22:45) - თავისუფალი დარტყმა
23:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:20 უეფას თასი. მეორე შესარჩევი წრის მიმოხილვა
00:50 "ექსპერტიზა"
01:20 01:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "INDIANA FEVER" - "SAN ANTONIO SILVER STARS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ

10:00, 13:00, 19:15, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "NEW ENGLAND PATRIOTS" - "INDIANAPOLIS COLTS"
13:35 როდეო. "Bull Riders"
14:20 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
18:20 ტაილანდური კრივი
19:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:00 "ნადირობის სეზონი"
20:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "NEW ENGLAND PATRIOTS" - "INDIANAPOLIS COLTS"
23:40 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:15 ახალი ამბები
00:30 "ნადირობის სეზონი"
01:00 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
01:30 01:30-დან 02:45-მდე შესვენება
02:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი უნგრეთში
12:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი ინგლისში
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი
16:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. მეოთხედფინალი
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. წყვილთა ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიაში
03:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

ფეხბურთი დიდ ეკრანზე

14 სექტემბერს კახა კალაძის "მილანი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩს დონეცკში, "შახტართან" გამართავს. ამ მატჩის ირგვლივ ატეხილი დიდი აჟიოტაჟის გამო, უკრაინული კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, იმ ფანებისთვის, ვინც სტადიონზე ვერ მოხვდება, დიდი ეკრანი დაამონტაჟოს და ყველა მსურველს მატჩის კომფორტულად ნახვის საშუალება მისცეს. ეკრანი დონეცკის ცენტრალურ, ლენინის სახელობის მოედანზე დაიდგმება. საღამოს 7 საათზე ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დაიწყება პროგრამა "შახტარი" - "მილანი". გულშემატკივრებისთვის კონკურსი და დაჯილდოებაც გაიმართება. მთავარი სანახაობა კი, რასაკვირველია, მატჩი იქნება. ამის შესახებ ნათქვამია უკრაინული გუნდის განცხადებაში, რომელიც "შახტარის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა.

ამასობაში მატჩისთვის სერიოზულად ემზადება "მილანი". გუნდის ფორვარდი ფილიპო ინძაგი ახალი სეზონის დაწყების წინ შესანიშნავ ფორმაშია. ფეხბურთელმა მთლიანად მოიშუშა ტრავმა და მზად არის მინდორზე გამოსასვლელად. მაისში 31 წლის ფეხბურთელმა ოპერაცია გაიკეთა. ამის გამო ინძაგი იძულებული გახდა, ევროპის ჩემპიონატი გამოეტოვებინა.

ფილიპო ინძაგი მინდორზე გამოსასვლელად მზად არის.

იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში "მილანი" "სან-სიროს" სტადიონზე ლიგის დებიუტანტს, "ლივორნოს" უმასპინძლებს.

ამას წინათ კლუბმა თანამშრომლობის შესახებ კონტრაქტი გააფორმა მოდის სახლთან Dolce&Gabbana. ახალი შეთანხმების პრეზენტაციას ესწრებოდნენ ადრიანო გალიანი, დომენიკო დოლჩე, კარლო ანჩელოტი, პაოლო მალდინი, კაკა და იონ დალ ტომასონი. "კონტრაქტი ორწლიანია. ჩვენ Dolce&Gabbana იმიტომ ავირჩიეთ, რომ ეს ბრენდი მთელ მსოფლიოში არის ცნობილი. პრინციპში, ისევე, როგორც ჩვენი", - განაცხადა გალიანიმ.

ცნობილი კომპანიის დიზაინერებმა მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისთვის სამი კოლექცია შექმნეს. მათი გამოყენება ყველა შემთხვევისთვის შეიძლება. ტანსაცმელი, რომელიც დიზაინერებმა შექმნეს, შეიძლება მოიხმარო ზამთარშიც, ზაფხულშიც და გაზაფხულ-შემოდგომაზეც.

კალათბურთი

"ბარსელონაში" მწვრთნელი შეიცვალა

ჟოან მონტესი საკალათბურთო კლუბ "ბარსელონას" ახალი მთავარი მწვრთნელია. ამის შესახებ გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობამ მიიღო. მანამდე მონტესი კატალონიური კლუბის ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში.

"ბარსას" წინა მწვრთნელმა სვეტისლავ პეშიჩმა მას შემდეგ დატოვა თანამდებობა, რაც კლუბის პრეზიდენტ ჟოან ლაპორტას შეხვდა. ამას წინათ თავად პეშიჩმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ამიერიდან აღარ არის "ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი. პეშიჩი კლუბის პრეზიდენტს ორ დღეს ხვდებოდა და მათ შორის ხანგრძლივი მოლაპარაკება მიმდინარეობდა. მწვრთნელი გუნდს ანდორაში პირველ შეკრებაზე უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ სწორედ ამ მოლაპარაკებებმა შეაფერხა გუნდის უცხოეთში გამგზავრება. ახლა კი მოვლენები ისე განვითარდა, რომ პეშიჩის ნაცვლად ანდორაში ჟოან მონტესი გაჰყვება გუნდს.

კლუბთან დაკავშირებული წყარო იტყობინება, რომ პეშიჩსა და ლაპორტას შორის მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო და როცა ის ჩიხში შევიდა, მხარეებმა გადაწყვიტეს, საუბარი მეორე დღისთვის გადაედოთ. პრობლემა ის იყო, რომ პეშიჩი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, ახალ გენერალურ დირექტორთან, ვალერო რივეროსთან ეთანამშრომლა. მას სურდა, გუნდში ანტონიო მაცეირასი დაბრუნებულიყო. ბოლოს მხარეები ვერ შეთანხმდნენ და პეშიჩმა თანამდებობა დატოვა.

პეშიჩი ამიერიდან "ბარსელონას" აღარ გაწვრთნის.

2002-2003 წლების სეზონში პეშიჩმა "ბარსელონას" ევროლიგა, ესპანეთის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა. შარშანდელ სეზონში კი კლუბმა მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში გაიმეორა წარმატება.

რაც შეეხება მონტესს, ის "ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდს ხელმძღვანელობდა. პეშიჩის წასვლის შემდეგ კი მას კატალონიის მთავარი გუნდის თავკაცობის საშუალება მიეცა. გუნდში ბრუნდება ევროპის საუკეთესო კალათბურთელი, ლიტველი შარუნას იასეკიავუჩუსიც. 2005 წელს ლიტველს ისრაელის "მაკაბისთან" კონტრაქტი უმთავრდება, რის შემდეგაც ის თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ სეზონთაშორის სატრანსფერო დერეფნის პერიოდში კატალონიელები ცდილობდნენ, ლიტველი გამთამაშებელი ესპანეთში დაებრუნებინათ, მაგრამ ისინი ებრაელებთან ვერ შეთანხმდნენ.

ესპანური გაზეთი "ელ მუნდო" კი იუწყება, რომ "ბარსელონა" ლიტველს უკვე შეუთანხმდა პირადი კონტრაქტის დეტალებზე. სამი სეზონის განმავლობაში იასეკიავიჩუსი 6,5 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც მას ევროპაში ყველაზე ძვირად ღირებულ კალათბურთელად აქცევს. ამას გარდა, კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის ძალითაც ლიტველს უფლება აქვს, შეთანხმება დაარღვიოს, თუ ამერიკიდან მიიღებს წინადადებას. აქვე გაზეთი იმასაც იუწყება, რომ პეშიჩთან კონტრაქტი აღარ განახლდება. ადრე იყო ცნობა, რომ იასეკიავიჩუსის "ბარსადან" "მაკაბიში" გადასვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მასა და პეშიჩს შორის წარმოქმნილი უთანხმოება იყო.

ებრაული კლუბის წარმომადგენელი კი აცხადებს, რომ შარუნასი ნამდვილი პროფესიონალია და, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი წლიდან კლუბის დატოვებას აპირებს, წლეულს "მაკაბისთვის" უმაღლეს დონეზე გაირჯება. ვარაუდობენ, რომ "მაკაბიში" იასეკიავიჩუსის ადგილს იოთამ გალპერინი დაიკავებს. მანამდე კი ლიტველი კალათბურთელი ამ სეზონს ისრაელში დაასრულებს.

ამასობაში ცნობები ვრცელდება მეორე ლიტველზე. იტალიურმა "ბენეტონმა" უარი განაცხადა ლიტველი ცენტრის გინტარას ეინიკისის მომსახურებაზე. ეს გადაწყვეტილება კლუბის მწვრთნელმა ეტორე მესინამ მიიღო. ლიტველმა ტრევიზოს გუნდის შემადგენლობაში ერთადერთი საკონტროლო მატჩი გამართა და ვერც ერთი ქულა ვერ მოაგროვა. შარშან ეინიკისი "სოპოტას" შემადგენლობაში პოლონეთის ჩემპიონი გახდა. ამას გარდა, ეინიკისი რუსეთშიც თამაშობდა და "ავტოდორის" და მოსკოვის ცსკა-ს ღირსებას იცავდა.

კრივი

ტაისონი სიარულს სწავლობს

მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონაში მაიკ ტაისონმა, რომელმაც დენი უილიამსთან მატჩში მუხლი დაიზიანა, აცხადებს, რომ მისი საქმე კარგად მიდის და ის გამოჯანმრთელების გზას ადგას, თუმცა, ტაისონი სიარულს თავიდან სწავლობს.

"თავს კარგად ვგრძნობ, - ამბობს ტაისონი, - მაგრამ ფეხი ჯერ კიდევ მტკივა. ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო. ყველა ამტკიცებდა, რომ ორთაბრძოლა კარგად მიმდინარეობდა, რომ დიდი ხანია მე ასე კარგად არ მიჩხუბია. თუმცა, ვფიქრობ, ეს მარცხი ძალიან დააზიანებს ჩემს სპორტულ კარიერას, რადგან მოკრივეები იმარჯვებენ, წინ მიდიან, ვითარდებიან და შემდეგ ტიტულებსაც იგებენ. მე იმის გამო მწყდება გული, რომ საწვრთნელ ვარჯიშებს დიდი დრო დავუთმე... ახლა მინდა ვ, ძალები მოვიკრიბო და ყველაფერი თავიდან დავიწყო. ამასთან, არ დავკარგო იმედი, რწმენა და სასოწარკვეთილებას არ მივეცე".

"ამჟამად ფეხზე მკურნალობის კურსს გავდივარ. ვიტარებ პროცედურებს, - აგრძელებს "რკინის მაიკი", - მე სიარული უკვე შემიძლია და თანდათან უფრო გამოვჯანმრთელდები. თუმცა, ერთხანს ჩემი საქმეები ცუდად მიდიოდა. ეს იგივეა, რაც ყველაფრის თავიდან დაწყება, ესე იგი, სიარულსაც ხელახლა უნდა შევეჩვიო. ცხოვრებაში პირველად განვიცადე კრივის საშიშროება. რინგზე ამდენი წლის ყოფნის მანძილზე პირველად მივიღე ისეთი ტრავმა, რომელმაც ჩხუბში ხელი შემიშალა. მე არასოდეს გამოვრიცხავდი თავის ტვინის დაზიანების ალბათობას, მაგრამ, როცა ფეხზე ასეთი რამ დამემართა, მაშინ ყველაფერს სხვა თვალით შევხედე. თითქოს მივხვდი, რომ, რაც უნდა მაგარ ბიჭად მიმაჩნდეს თავი, ერთხელაც შეიძლება ისე მოხდეს, რომ ტკივილისგან მოვიკაკვო".

ტაისონმა ისიც თქვა, ფეხის მძიმე ტრავმა რომ არა, დენი უილიამსს იოლად გავუსწორდებოდიო. "მე მზად ვიყავი, ეს ყმაწვილი ნოკაუტში გამეშვა. კიდევ ერთი დარტყმა და უილიამსის საქმე წასული იყო... ახლა კი ისე მოხდა, რომ უილიამსი ცამდე აიყვანეს და დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ის ჩემთვის მეტისმეტად ძლიერი იყო. არავითარ შემთხვევაში. ის ჩვეულებრივი, მეორე ეშელონის მოკრივეა და ბრძოლაც დასასრულისკენ მიდიოდა. მან სიმამაცე გამოავლინა და დარტყმაზე დარტყმით პასუხობდა, მაგრამ ყველაზე უფრო მისი სიმამაცე მაშინ გამომჟღავნდა, როცა ჩემს წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა", - განაცხადა მაიკ ტაისონმა.

ტაისონმა კომენტარი გაუკეთა სკანდალურ სიტუაციასაც, რომელიც ეხება მისი მენეჯერების - შელი ფინკელისა და ტედ უოტლის კამათს. "როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ხანდახან ზოგიერთი საგნის მიმართ გულგრილობას ვამჟღავნებ, ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ მე უტვინო ადამიანი ვარ, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერს ვამჩნევ. მათ, უბრალოდ, უნდა რცხვენოდეთ, რომ ორი ზრდასრული ადამიანი ჩემს გამო ერთმანეთს წაეკიდა. მე მათი უთანხმოების შესახებ არაფერი ვიცოდი და არც მიცდია, მათი არეული საქმე გამერკვია. იმედი მაქვს, ბოლოს და ბოლოს, ისინი მიხვდებიან, თუ რა ბრიყვულად გამოიყურებიან და როგორ მაღიზიანებს ეს ყველაფერი", - განმარტავს ტაისონი.

ტაისონის თქმით, მას უკვე ჰქონია საშუალება, ასეთი ამბების მომსწრე ყოფილიყო. ის ვარაუდობს, რომ ამ კამათის ძირითადი მიზეზი მენეჯერების ღორობაა. "ისინი გონებას კარგავენ იმის გაფიქრებით, თუ რამდენი ფულის შოვნა შეუძლიათ ჩემით", - ამბობს ტაისონი.

"რკინის" მაიკი" აღიარებს: ის ნანობს იმის გამო, რომ პოპულარულია. ეს მას პირად ცხოვრებას ართმევს. "თუ გოგონასთან ვსეირნობ, იმაზე ვღელავ, რომ როცა დავშორდები, ეს ამბავი გაზეთების პირველ გვერდებზე გამომზეურდება. მე საზეიმო საღამოებზეც ვერ დავდივარ, რადგან არ ვიცი, იქ რა მოხდება. ხანდახან კლუბში წასვლა და გოგონას "შებმა" მინდა, მაგრამ მეშინია, რომ ამის შემდეგ ის პოლიციაში წავა და გაუპატიურების შესახებ განცხადებას გააკეთებს. ასე რომ, ყოველთვის, როცა ხალხში ვჩნდები, ისე მეშინია, როგორც უბრალო სუტენიორს", - აღიარებს მაიკ ტაისონი.

ჭიდაობა

ელდარი იყო, არის და იქნება. იქნება პეკინიც

გიგა გურასაშვილი

სპორტის ქართველ გულშემატკივარს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, პირველ ყოვლისა, ელდარ კურტანიძის იმედი ჰქონდა. პირადად მე ელდარის სახით გარანტირებულ ოქროს მედალს ვხედავდი. დარწმუნებული ვარ, თქვენც, თუმცა, ბოლო დროს ეჭვი შემეპარა. იმაში კი არა, რომ ჩვენი ფალავანი ჩემპიონი გახდებოდა. არა! მის შესაძლებლობებში არასდროს შემპარვია ეჭვი. კურტანიძის სახელის ირგვლივ ისეთი აჟიოტაჟი ატყდა, რომ ძალაუნებურად ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცა.



ელდარ კურტანიძე პეკინშიც ცდის ბედს.

არ გეგონოთ, თავზე ხელის გადასმა მქონდეს მიზნად, ან მის წარუმატებლობას ვამართლებდე. არავითარ შემთხვევაში! იგი იყო, არის და დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში ერთ-ერთ უძლიერეს ფალავნად. და თუ მაინც ტიტულები დაგავიწყდათ, ყოველი შსემთხვევისთვის შეგახსენებთ: ევროპის ოთხგზის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი; მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოსანი. დასახელებული იყო მსოფლიოს საუკეთესო ფალავნად. რამდენჯერმე მსოფლიოს ნაკრებშიც იყო მიწვეული...

სპორტში ან იგებენ, ან აგებენ. ერთხელ ელდარ კურტანიძემაც წააგო. მართალია, ახლანდელი წაგება უფრო მძაფრად აღიქმება, რადგან ეს ოლიმპიურ ხალიჩაზე მოხდა, მაგრამ გოდებას რა აზრი აქვს, მით უმეტეს, რომ თავად არსად წასვლას არ აპირებს, კვლავაც იქ რჩება და იმის კეთებას აპირებს, რაც ყველაზე უკეთ გამოსდის. საჭიდაო ხალიჩაზე, ერთი სიტყვით.

ათენიდან დაბრუნებულთ, ბუნებრივია, ყურადღება არ მოჰკლებიათ, მაგრამ ეს ყურადღება უფრო იმათკენ იყო მიმართული, ვინც ოლიმპიურ სარბიელზე ჩვენი ყულაბა ოქრო-ვერცხლით გაამდიდრა.

ოლიმპიური თამაშების დასრულებიდან თითქმის ორი კვირა გავიდა. ვნებათაღელვაც ჩაცხრა. თუმცა, უფრო გულშემატკივართათვის, მაგრამ არა იმათთვის, ვისაც ხელი მოეცარა. მინდოდა, რაიმე შემეტყო თავად ელდარისგან, მაგრამ თან ფეხს ვითრევდი - უგუნებოდ იქნება-მეთქი, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ თავისი გაიტანა. ტელეფონით შევეხმიანე. ისეთი ხმა ჰქონდა, ცოტათი შევცბი, რამე ხომ არ მოხდა-მეთქი და მოვიკითხე. მითხრა, მეგონა ყველას დავავიწყდიო.

...ეტყობოდა, უგუნებოდ იყო. თან, ოპერაცია გაუკეთებია - პოლიპები ამოუჭრია. ოპერაციაცაა და ოპერაციაც. ათენში მარცხის გამო თავი დაუსჯია და ოპერაცია გამაყუჩებლების გარეშე გაუკეთებია. ვერასოდეს ვაპატიებ საკუთარ თავს იმას, რაც ათენში დამემართაო.

- მაინც რა იყო მიზეზი? რომ ვთქვათ, ფიზიკურად არ იყავი მზად-თქო, სისულელეა. იქნებ სხვა მიზეზი იყო, უფრო ფსიქოლოგიური...

- პირიქით, ლაღად ვიყავი. არანაირად არ ვყოფილვარ ფსიქოლოგიურად დათრგუნული. ასეთი მობილიზებული არც ერთ სხვა შეჯიბრებაზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ბედმა მიმუხთლა. თავიდანვე ირანელი ალი რეზა შემხვდა. იმას არ ვამბობ, რომ მისი დამარცხება არ შემეძლო, მაგრამ მაშინ, როდესაც ორი ქულით ვიგებდი, რაღაც შეცდომა დავუშვი და იმან გაიმარჯვა. სწორედ იმ შეცდომას ვერ ვპატიობ საკუთარ თავს. შეცდომა კი ისაა, რომ ადრევე უნდა ამეღო სამი ქულა.

- ალი რეზა ჰეიდარს ადრეც შეხვედრიხარ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და, თანაც, ირანში. ახლა რამე განსაკუთრებულ ფორმაში იყო?

- მსოფლიო ჩემპიონატი ისე მოვიგე, ქულაც არ დამიკარგავს, თანაც, ფინალში ირანელთან გავიმარჯვე. მას ახლაც დავამარცხებდი, მაგრამ ყველაფერს მაინც უიღბლობას ვაბრალებ. დარწმუნებული ვარ, ჯერ ბრაზილიელს რომ შევხვედროდი, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. რატომღაც ისე ხდება, რომ ყველაფერს ძნელად ვაღწევ. ცხრა წელიწადი ველოდი იმას, რომ მსოფლიო ჩემპიონი გავმხდარიყავი. როდესაც თეირანში მივდიოდი, 90 პროცენტი დარწმუნებული იყო, რომ იქ ვერაფერს გავხდებოდი. თუმცა, მე მჯეროდა საკუთარი თავის. წასვლის წინ კოტე მახარეძეს ვუთხარი, ირანიდან "ოქროს" ჩამოვიტან-მეთქი.

- ადრე თქვი, ათენში ჩემპიონობის შემთხვევაში სპორტიდან წავალო. ახლა რას აპირებ, აგრძელებ ჭიდაობს?

- ამდენ ადამიანს დავწყვიტე გული. ბევრს სიხარული წავართვი, ვუმუხთლე და იმედი გავუცრუე. ახლა უფლება არა მაქვს, ყველაფერს თავი დავანებო. ასეთ მდგომარეობაში მშვიდად ვერ ვიქნები. პირობას გაძლევთ, ელდარ კურტანიძე ისევ მოიგებს. იმისთვის, რომ მშვიდად წავიდე, ის უნდა გავაკეთო, რაც ათენში ვერ შევძელი. ევროპის ჩემპიონატებზეც გამოვალ, მსოფლიო ჩემპიონატებზეც და პეკინის ოლიმპიურ თამაშებზეც. სხვაგვარად ცხოვრებას ვერ შევძლებ. როდესაც ვიგრძნობ, რომ წასასვლელი ვარ, სხვის უთქმელად გადავდგამ ამ ნაბიჯს. მე ვიცი ჩემი რესურსები. ჯერ ჩემი სათქმელი არ მითქვამს. ასე რომ, არსად არ მივდივარ. მე ხალხის ვალი მაქვს.

ჩოგბურთი

წვიმს, წვიმს...

სანდრო ნავერიანი

ამერიკის ღია პირველობის პირველი მეოთხედფინალური მატჩი ერთეულთა თანრიგში კაცებს შორის გუშინ, გამთენიისას გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შვეიცარიელი როჟე ფედერერი და ამერიკელი ანდრე აგასი. მატჩი ფედერერის აშკარა უპირატესობით დაიწყო. აგასიმ ვერც სისწრაფეში და ვერც იმპროვიზებულ თამაშში ვერ აჯობა შვეიცარიელს. ხანგრძლივი გათამაშებები ყოველთვის შვეიცარიელის გამარჯვებით მთავრდებოდა. ფედერერი ბადესთანაც უკეთ გამოიყურებოდა. პირველი სეტი შვეიცარიელმა 6:3 მოიგო.

აგასი ფედერერის წინააღმდეგ - ბრძოლა გრძელდება.

მეორე სეტში აგასიმ მთლიანად შეცვალა თამაშის სტილი, რამაც ის სასურველ შედეგამდე მიიყვანა. თუ პირველ სეტში ფედერერი სისწრაფეში ორჯერ აღემატებოდა ამერიკელს, მეორე სეტში აგასიმ სპრინტერული თვისებები გამოამჟღავნა - შვეიცარიელი ვერაფრით ვერ ახერხებდა მოძრაობაზე მის დაჭერას. ბადესთანაც კარგად მოქმედებდა და დიდ გათამაშებებშიც წარმატებული გამოდიოდა. აგასიმ მეორე სეტი უფრო ადვილად მოიგო, ვიდრე ფედერერმა - პირველი. ამერიკელმა მეორე სეტი 6:2 მოიგო.

მესამე სეტში ისევ შვეიცარიელის უპირატესობა გამოიკვეთა. ფედერერმა გამოასწორა როგორც მოწოდება, ისე მიღება. აგასის ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა. მესამე სეტში განცდილი მარცხი, ალბათ, სწორად ნერვიულობის ბრალია. ფედერერმა მესამე სეტი მოიგო - 7:5.

რაც შეეხება მეოთხე სეტს, წვიმის გამო ის არ გამართულა. შეხვედრა მეორე დღისთვის გადაიდო. მატჩის შეწყვეტა აგასის უფრო აძლევს ხელს, ვიდრე ფედერერს. გამოცდილ ამერიკელს შანსი აქვს, გაიაზროს ის, რასაც მთელი სამი სეტის განმავლობაში აკეთებდა და ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვალოს. აგასი ფსიქოლოგიურადაც უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან ის მატჩს აგებდა, ფედერერი კი იგებდა და სულაც არ აწყობდა შეწყვეტა.

წვიმის გამო გადაიდო მეორე მეოთხედფინალური მატჩიც, რომელშიც ბრიტანელი ტიმ ჰენმანი და სლოვაკი დომინიკ ჰრბატი თამაშობდნენ. ჰენმანი სეტებში 2:0 იგებდა, ხოლო მესამე სეტი სლოვაკის სასარგებლოდ (5:4) იყო. თამაში მეორე დღისთვის გადაიდო.

რაც შეეხება ქალებს, რუსული დერბი სვეტლანა კუზნეცოვასა და ნადეჟდა პეტროვას მონაწილეობით კუზნეცოვას გამარჯვებით (7:6, 6:3) დასრულდა. ამ მატჩზე თავად რუსებიც ვერ აკეთებდნენ პროგნოზს. თუმცა, გამარჯვებას კუზნეცოვა იმსახურებდა. ის გაცილებით ჭკვიანურ ჩოგბურთს თამაშობდა, ვიდრე პეტროვა. პეტროვას ჩოგბურთს პრესამ პრიმიტიული უწოდა.

მეორე მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი და იაპონელი შინობუ ასაგოა. ამ შეხვედრის პროგნოზი ყველა სპეციალისტმა გააკეთა - დევენპორტი ძალიან ადვილად მოიგებს. დევენპორტისთვის ეს მატჩი, მართლაც, იოლი გასეირნება გამოდგა - მან ორ სეტში გაიმარჯვა (6:1, 6:1). ნახევარფინალში ის კუზნეცოვას დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალი კი ელენა დემენტიევასა და ჯენიფერ კაპრიატის შორის შედგება. ასე რომ, ამერიკულ-რუსული ნახევარფინალები შეიძლება რუსულ ან ამერიკულ ფინალად იქცეს, თუ არა და, ისევ რუსულ-ამერიკულადვე დარჩება.

მეოთხედფინალები (კაცები)
როჟე ფედერერი (შვეიცარია) - ანდრე აგასი (აშშ) 6:3, 2:6, 7:5, 0:0 (გადაიდო)
ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) - დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1, 7:5, 4:5 (გადაიდო)

მეოთხედფინალები (ქალები)
სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) - ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 7:6, 6:3
ლინდსეი დევენპორტი (აშშ) - შინობუ ასაგოა (იაპონია) 6:1, 6:1

ნახევარფინალები (ქალები)
სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) - ლინდსეი დევენპორტი (აშშ)
ელენა დემენტიევა (რუსეთი) - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)

ფორმულა 1

ვილნევი დაბრუნდება

1997 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფორმულა 1-ში, კანადელი ჟაკ ვილნევი, სავარაუდოდ, ფორმულა 1-ის გუნდ "ზაუბერთან" 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ბევრი სპეციალისტი, მათ შორის, ფორმულა 1-ის ბოსი ბერნი ეკლსტოუნი აცხადებს, რომ ნიჭიერი პილოტის დაბრუნება სამეფო რბოლებს უფრო მიმზიდველს გახდის.

ჟაკ ვილნევმა შესაძლოა "ზაუბერთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმოს.

ჟაკ ვილნევმა შარშან დატოვა ფორმულა 1. მისი გუნდი "ბარ-ჰონდა" შარშანდელი სეზონის ბოლო რბოლის წინ თავისი ლიდერის გარეშე დარჩა. წყენამ გუნდის ხელმძღვანელობაში წარუშლელი კვალი დატოვა. კანადელის მოულოდნელ წასვლას სიფრთხილით შეხვდნენ სხვა საჯინიბოს ხელმძღვანელებიც.

მცირე შესვენების შემდეგ ჟაკ ვილნევმა, როგორც იქნა, აღიქვა თავისი მდგომარეობის მთელი ტრაგიზმი. "ძალიან მინდა, რბოლებს დავუბრუნდე, - ამბობდა იგი, - თუ უახლოეს პერიოდში რომელიმე გუნდთან კონტრაქტის გაფორმებას ვერ შევძლებ, მაშინ "ნასკარის" ჩემპიონატის ორგანიზატორების წინადადებას დავთანხმდები. საოცარია, ფორმულა 1-ის ყველა იმ გუნდის ბოსი, რომლებთანაც ურთიერთობა მქონია, ამტკიცებს, რომ სიამოვნებით მიმიღებდა გუნდში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის ყოყმანობენ. არავის არ სურს, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს. პილოტების ბაზარზე ხომ სიტუაცია მუდმივად იცვლება. თუმცა, მე ჰონორარი არ მაინტერესებს. ძალიან ბევრი ფული გამოვიმუშავე იმისთვის, რომ საჭეს სიამოვნებისთვის მივუჯდე".

ჟაკ ვილნევი რუდუნებით ვარჯიშობდა იმ იმედით, რომ მას ყურადღებას მიაქცევდნენ. მან არ ითაკილა, დახმარებისთვის ფორმულა 1-ის ბოსს ბერნი ეკლსტოუნს შეხმიანებოდა. ტელეფონით იმ გუნდსაც კი დაუკავშირდა, რომელიც მოულოდნელად მიატოვა. ეკლსტოუნის თქმით, ვილნევს უნდა გამოეცოცხლებინა ფორმულა 1 და გერმანელი მიხაელ შუმახერისთვის კონკურენცია გაეწია.

"მე ყველაფერი ვიღონე იმისთვის, რომ დამერწმუნებინა გუნდები, ჟაკისთვის წლეულს კიდევ მიეცათ პილოტირების შანსი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მისი აყვანა არავის სურს, - განაცხადა ეკლსტოუნმა, რომელიც ვილნევთან კეთილგანწყობილი ურთიერთობით არის ცნობილი, - მე დღესაც მიმაჩნია, რომ ვილნევი ერთ-ერთ საუკეთესო მრბოლია და ფორმულაში მისი დაბრუნება მეტ ხიბლს შესძენს რბოლებს".

ეკლსტოუნის ვარაუდით, ვილნევისთვის ორი ყველაზე პერსპექტიული ვარიანტი "ტოიოტა" და "ფერარია", სადაც ერთ დროს მამამისი, ჟილ ვილნევი გამოდიოდა: "შესაძლოა, "ტოიოტა" მისთვის იდეალური ვარიანტი გამხდარიყო, რადგან მას შეუძლია, ვილნევს მისცეს მანქანა, რომელიც რბოლებს მოიგებს. მე მას "ფერარიში" გადასვლასაც ვურჩევდი და მიხაელ შუმახერის გვერდზე უფასოდ პილოტირებას. თუმცა, ეს ვარიანტი არ გამოვიდა, რადგან მიხაელი დაჟინებით ითხოვს პირველობას. როგორც ჩანს, ვილნევში ის საფრთხეს ხედავს".

იყო ვარიანტი, კანადელი იმ გუნდში მოწყობილიყო, რომელიც ლონდონის "ჩელსის" მეპატრონის რომან აბრამოვიჩის ფულით კეთდება. სხვადასხვა წყაროს ცნობით, იტალიური საავტომობილო კომპანია Dallara Automobile 2006 წელს ფორმულა 1-ის რბოლებში საკუთარი გუნდით გამოსვლას აპირებს. ამბობენ, რომ ეს გუნდი რომან აბრამოვიჩს უნდა დაეფინანსებინა.

თუმცა, საბოლოოდ ამოტივტივდა ვარიანტი, რომლის შესახებ არავინ საუბრობდა. ბრიტანული ჟურნალ "ავტოსპორტის" ინფორმაციით, ჟაკ ვილნევი, ალბათ, ხელს მოაწერს "ზაუბერთან" 2-წლიან კონტრაქტს. წლეულს გუნდი კონსტრუქტორთა თასის გათამაშებაში მეექვსე ადგილზეა.

საინტერესოა, რომ, როგორც კი გაჩნდა ცნობა ვილნევის დაბრუნების შესახებ, ფორმულა 1-ის სამყაროში გავრცელდა ინფორმაცია მეორე სახელოვანი მრბოლის რბოლებიდან წასვლის თაობაზე. "ტოიოტას" საჯინიბოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც ხუთშაბათს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ სამეფო რბოლებს დატოვებს ფრანგი ოლივიე პანისი.

"მე ამის თაობაზე რამდენიმე თვის განმავლობაში ვფიქრობდი, - განაცხადა 38 წლის პილოტმა, - "ტოიოტას" მადლობას ვუძღვნი იმისთვის, რომ მან საშუალება მომცა, სეზონი დამემთავრებინა". გუნდიდან პანისის წასვლა მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მომავალი სეზონიდან "ტოიოტას" საჭეს გერმანელი რალფ შუმახერი მიუჯდება.

რუსული დემოკრატიის ბედი

დიმიტრი შველიძე

დამარცხებების ტრადიცია

1807 წლის სექტემბერში, ერფურტში, ნაპოლეონთან შეხვედრის დროს, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრ პირველს თან ახლდა ახალგაზრდა და პერსპექტიული ჩინოვნიკი მიხაილ სპერანსკი. საფრანგეთის იმპერატორი ისე მოიხიბლა გონიერებით გამორჩეული რუსით, რომ ალექსანდრეს უთხრა: "ეს როგორი ადამიანი გყავთ! მე მასში მთელ სამეფოს მივცემდი."

მიხაილ სპერანსკი რუსეთის დემოკრატიზაციის პირველი დიდი შემოქმედი-რეფორმატორი გახლდათ. 1809 წელს მან ალექსანდრ პირველს წარუდგინა იმპერიის ყოვლისმომცველი დემოკრატიზაციის პროექტი - "სახელმწიფო გარდაქმნების გეგმა". იმპერატორმა რეფორმების მხოლოდ ის ნაწილი განახორციელა, რომელიც სახელმწიფოს ადმინისტრაციულ მართვას განამტკიცებდა. მან ვერ გაბედა პროექტით გათვალისწინებული ვერც პარლამენტარიზმის შემოღება რუსეთში, ვერც ბატონყმობის გაუქმება.

ალექსანდრ I.

ალექსანდრ II.

ვლადიმირ პუტინი.

მიხაილ გორბაჩოვი.

1812 წლის მარტში მიხაილ სპერანსკი, ის ვისაც ნაპოლეონი "რუსეთის ერთადერთ ნათელ გონებას" უწოდებდა, ნიჟნი ნოვგოროდში გადაასახლეს. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის დემოკრატიზაციის პირველი ჩანაფიქრი ჩაიფუშა. კიდევ უფრო დრამატული იყო დემოკრატიული რუსეთისათვის მებრძოლი რაინდული თაობის - დეკაბრისტების წარუმატებელი გამოსვლა. შემდეგი მცდელობა უფრო შედეგიანი გახლდათ. ალექსანდრ მეორის რეფორმებმა რუსეთის იმპერია ევროპული განვითარების გზაზე დააყენა. მიუხედავად ამისა, ვერც ამჯერად გაბედეს მეფის ძალაუფლების რამენაირად შეზღუდვა. სანახევრო რეფორმებმა უკუშედეგი და რევოლუციური ეგზალტაცია გამოიწვია. ხალხოსანმა-ტერორისტებმა ნამდვილი ნადირობა დაიწყეს მეფე-განმათავისუფლებელზე. ალექსანდრ მეორემ ტერორიზმის აღკვეთა სცადა, თან სანახევრო რეფორმების გზა განაგრძო. ამ მიზნით მან სპეციალური კომისია შექმნა, რომლის თავმჯდომარედაც თბილისში დაბადებული გრაფი ლორის-მელიქოვი დანიშნა და დიქტატორის უფლებებით აღჭურვა.

1881 წლის 1 მარტს დილით იმპერატორმა ხელი მოაწერა ე.წ. "ლორის-მელიქოვის კონსტიტუციას". რა თქმა უნდა, პროექტი კონსტიტუციისგან შორს იყო, მაგრამ იგი ზედაპირულ ლიბერალურ რეფორმებს და მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლების მინიმალურ მონაწილეობას ითვალისწინებდა სახელმწიფო საბჭოში. როგორც ცნობილია, მეფე-განმათავისუფლებელი ტერორისტებმა სწორედ იმ დღეს მოკლეს და რუსეთში დემოკრატიულ-კონსტიტუციურ ილუზიებსაც კიდევ ერთხელ დაესვა წერტილი.

ასი-ორასი წლის წინ მიღებული ზედაპირული რეფორმატორული ღონისძიებების სახელებიც კი ძალიან ჰგავს დღევანდელს: "გარდაქმნა", "სახელმწიფოებრივი წესრიგი", "საზოგადოებრივი სიმშვიდე"... 1905 წლის 17 ოქტომბერს ნიკოლოზ მეორემ მანიფესტს მოაწერა ხელი: "სახელმწიფოებრივი წესრიგის სრულყოფის შესახებ". რიჩარდ პაიპსის სიტყვებით, "მონარქისტულმა აბსოლუტიზმმა რუსეთში სული განუტევა". ქვეყანამ დემოკრატიზაციისაკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგა, მაგრამ რუსეთმა მაინც ვერ შეძლო კონსტიტუციური მონარქიისაკენ მიმავალი მანძილის დაფარვა. ის, რაც რომანოვებმა არ გააკეთეს "ზემოდან", 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ "ქვემოდან" გააკეთა. რუსეთში მონარქია დაეცა და დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება დაიწყო. ახლა რუსული დემოკრატიის მშენებლობას სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ {კარლო} ჩხეიძე და ესერი ალექსანდრ კერენსკი განასახიერებდნენ. რუსეთში დემოკრატიზაციის პროცესი კვლავ უიღბლო და, სოლჟენიცინის ტერმინი რომ ვიხმაროთ, - "შვიდთვიანი" აღმოჩნდა. ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად დემოკრატიამ რუსეთში კიდევ ერთი ისტორიული დამარცხება განიცადა.

რუსეთის დემოკრატიზაციის უახლესი დრამა უკვე ჩვენს თვალწინ - ოცი წელია მიმდინარეობს. მოვლენები ამჯერადაც ტრადიციად ქცეული სცენარით განვითარდა: თავდაპირველად, ხელისუფლების უძრაობა; შემდეგ, იძულებითი სანახევრო რეფორმები - გორბაჩოვის გარდაქმნების სახით; დემოკრატიული და ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაცია; ელცინის ეპოქის ეკონომიკური ნგრევა და ქაოსი და ამ ყველაფრის რუსული ისტორიულ-ტრადიციული დასასრული - პუტინის ძლიერი ხელის პოლიტიკა; სახელმწიფოს უკიდურესი ცენტრალიზაცია; დემოკრატიული ინსტიტუტების შევიწროება და გეზი ავტორიტარიზმისაკენ, საბოლოოდ კი - ევროპული დემოკრატიზაციის კიდევ ერთი ისტორიული შანსის დაკარგვა.

გადაულახავი ბარიერები

მიზეზი? რა განაპირობებს დემოკრატიის ისტორიულ განწირულობას რუსეთში?

დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენი - კერძო საკუთრების ინსტიტუტია. კერძო-მესაკუთრულ ინდივიდუალიზმს, რომელიც დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლებისა და ავტონომიური განვითარების მამოძრავებელია, მკვეთრად უპირისპირდება - კოლექტივისტური, ჯოგურ-თემური ცხოვრების წესი და ფსიქოლოგია. გვიანი შუა საუკუნეებისა და X1X ასწლეულისთვისაც რუსეთის სინამდვილისათვის ნიშანდობლივი იყო კოლექტივისტურ-თემური ყოფის ძლიერი გადმონაშთები.

ამ ქვეყანაში კერძო საკუთრება, ფაქტობრივად, ზედაფენების პრივილეგიას წარმოადგენდა. რაც შეეხება მოსახლეობის დიდ უმრავლესობას - სოფლის გლეხობას - იგი რუსული სასოფლო თემის კოლექტიურ პირობებში ცხოვრობდა. თემის თვითმმართველობა აწესრიგებდა შიდა სასოფლო ურთიერთობებს, ხოლო თუ გლეხი თემიდან გასვლას მოინდომებდა, მიწას კარგავდა. კაპიტალიზმის ხანმოკლე განვითარების პერიოდში თემის დაშლა დაიწყო, გლეხს თემიდან მიწიანად წასვლის უფლება მიეცა, მაგრამ საბჭოთა ეპოქაში მომაკვდავი რუსული თემი აღდგა - კოლმეურნეობის სახით. თემურ-კოლექტიური პრინციპები ძირეულად ეწინააღმდეგებოდნენ კერძო საკუთრებაზე დამყარებული ცხოვრების წესს, პიროვნების თავისუფლებას, ინდივიდუალიზმს, დემოკრატიული ცივილიზაციის სხვა საყრდენებს. ამიტომაც იყო რომ დემოკრატიზაციის პროცესებს რუსეთში მასობრივი სოციალური ბაზა არ გააჩნდა; არ არსებობდა დემოკრატიზაციის ძლიერი სოციალური დაკვეთა. სამაგიეროდ რუსეთში ძლიერი გახლდათ სხვადასხვა სოციალისტური თეორიების გავლენა. XX საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილი პოლიტიკური პარტიებიდან დემოკრატიული და ლიბერალური - ოქტიაბრისტები ან კონსტიტუციონალ-დემოკრატები მოსახლეობაში უმნიშვნელო გავლენით სარგებლობდნენ. საპირისპიროდ, დიდად პოპულარულნი იყვნენ სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატები, სხვა სოციალისტური ჯგუფები. გავიხსენოთ, რუსეთის მაშინდელი თითქმის ყველა დიდი თეორეტიკოსი თუ მოაზროვნე ან თავგადაკლული სოციალისტი იყო, ან მის ძლიერ გავლენას განიცდიდა: გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ბაკუნინი, ლავროვი, კროპოტკინი, პლეხანოვი, მარტოვი, ულიანოვი, ტროცკი, სტალინი, ბუხარინი... თვით ტოლსტოიც ხომ ქრისტიანული ანარქიზმის მქადაგებლად ითვლებოდა. ამ ადამიანებმა უზარმაზარი და, შეიძლება ითქვას - გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს რუსული საზოგადოების მსოფლმხედველობაზე. ისინი ბევრ საკითხში არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ რამდენიმე ფუნდამენტური ხასიათის პოსტულატი მათთვის საერთო იყო. ეს პოსტულატი-ილუზიები მათ ღრმად ჩაუნერგეს თავისი ქვეყნის საზოგადოებას: რუსეთის განვითარების განსაკუთრებულობა; მისი არაევროპული, სპეციფიკური მისია; არაკაპიტალისტური და არაბურჟუაზიული, არამედ - სოციალისტური პერსპექტივა, რაც გამომდინარეობდა რუსი ადამიანის და განსაკუთრებით - რუსი გლეხის თემურ-სოციალისტური ბუნებიდან; დასავლური ცივილიზაციისადმი თითქმის მტრული დამოკიდებულება და მისი მიუღებლობა... თუ თეორეტიკოსებმა ასე ცოტა ადგილი დატოვეს რუსი საზოგადოების აზროვნებაში ევროპულ-დასავლური ღირებულებებისათვის, რაღას დატოვებდა მასში საბჭოთა ეპოქის ბოლშევიკური იდეოლოგიური და რეპრესიული მანქანა, რომელიც შვიდ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ტოტალურად დევნიდა ყოველივე დასავლურს?

და კიდევ ერთი, ცენტრალური ხელისუფლების სრული ხელშეუხებლობის და შეუზღუდაობის ტრადიცია, კიდევ ერთი გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა რუსეთში დემოკრატიის პერსპექტივისათვის.

რა გვინდა და რას ველით ამ სახელმწიფოსაგან? დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება კიდევ ერთხელ ამბობს უარს დემოკრატიული განვითარების ისტორიულ შანსზე. ეს ხელისუფლება ავიწროებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, დევნის არა მარტო საკუთარ, არამედ უცხო სახელმწიფოს ჟურნალისტებს; ეს ხელისუფლება უარს არ ამბობს თავის ძველ იმპერიულ ზრახვებზე, ერევა სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, ახდენს მათი ტერიტორიების ფაქტობრივ ოკუპირებას და ცდილობს ყველა პრობლემის მხოლოდ ერთი - ძალისმიერი გზით გადაწყვეტას.

ქართულ საზოგადოებაში კი განსხვავებული ორიენტირები და ღირებულებები მკვიდრდებოდა, განსაკუთრებით, რუსეთის გაბატონების დროიდან. ზოგიერთი მათგანი გავიხსენოთ:

ჯერ ანტითვითმპყრობელური, შემდეგ კი ანტიდესპოტური და ანტიტოტალიტარული მსოფლმხედველობა და განწყობა;

ძლიერი კერძო-მესაკუთრული ისტორიული ტრადიცია და ინდივიდუალის-ტური ფსიქოლოგია; დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღირებულებების პრიორიტეტი და 1918-1921 წლების დემოკრატიული სახელმწიფოს წარმატებული პრეცედენტი, რაც მოკლე ხნით განხორციელდა, მაგრამ ვერ შენარჩუნდა რუსეთში;

მრავალსაუკუნოვანი ახლო ურთიერთობა ევროპასთან (ანტიკური სამყარო, რომი, ბიზანტია) და მისგან იძულებითი იზოლაციის შემდეგ - ძლიერი პროდასავლური ორიენტაცია, უკანასკნელ საუკუნეებშიც, დღესაც.

ამ და სხვა გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ, აღარ უნდა გვიკვირდეს ჩრდილოელი მეზობლის მუდმივი გაღიზიანება, რომელსაც იგი ავლენს ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ. გაღიზიანების მიზეზი ჩვენს შორის არსებულ სტრატეგიული ხასიათის განსხვავებებსა და ინტერესებშია.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოება ტრადიციულადაც და დღესდღეობითაც გაუცხოებული ფენომენია ჭეშმარიტი დემოკრატიზაციის პროცესისაგან. ამ ქვეყანაში დემოკრატიული ტრანსფორმაცია მხოლოდ გარედან, საერთაშორისო ზემოქმედებისა და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების მიერ გამოწვეული იძულებითი გზით შეიძლება განხორციელდეს. ეს გრძელვადიანი და რთული ევოლუციაა.

მანამადე კი, ჩვენ სულ უფრო გამოკვეთილად და პრაქტიკულად უნდა დავადგეთ დემოკრატიულ-დასავლური ღირებულებების ყოვლისმომცველი დამკვიდრების გზას, რომელიც, განსხვავებით ზოგიერთი მეზობლისაგან, ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების ისტორიულ-ტრადიციული და მენტალური არჩევანია.

ორშაბათი 13.09

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** დისკავერი **13.30** მხ. ფილმი "კრამერი კრამერის წინააღმდეგ" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკრროსტიკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ჭკვიანი ბავშვი" **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "რკინის არწივი-2". მთ. რ-ში: ლუის ჰოსეტი უმც. მარკ ჰამფრი (18).

პირველი არხი

07.55 მომამბე **08.10** ღამის მომამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მომამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "თემო" **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **16.30** სერიალი "უშიშრები" **17.00** "ფრაგმენტები სურათისათვის" **17.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 1-2ს. **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) 1-ლი ს.

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** "ჰოლივუდი დღეს" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "პროექტი "ბორისი" **13.05** "ტელეპროცესი. ერეკლე მე-2" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მარადიული სატრფო" (გ) (გარი ოლდმენი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" 1-ლი ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 1-2ს. **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "მთვარის გლობუსი" (გ)

იმედი

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 20.30, 21.25, 01.30** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" **11.30, 01.00** ტვ-მარკეტი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25** მხ. ფილმი "დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესის ძიებაში" (გ) (ჯ. კრონინი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ქალთა ოთახი" (გ) (ჯ. მალკოვიჩი) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "შატუნი" 1-ლი ს. **21.30** ვაკაჭი-ნიუსი **23.00** მხ. ფილმი "მრისხანების შიში" (გ) (ბრიუს ლი)

იბერია

18.00 მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 1-2ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" 1-ლი ს. **20.00** დოკ. ფილმი **21.05** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "სიყვარული კლავს" (15)

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.10** Алиса Фрейндлих в комедии **"СЛУЖЕБНЫЙ РОМАН"**. **12.10** Дисней-клуб: "Алладин". **12.30** Лев Дуров в детективе **"ЗА ВСЕ НАДО ПЛАТИТЬ"** **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ"**. **16.50** Премьера. "Пять вечеров". Понедельник. **18.20** Смехопанорама **19.00** Сериал **"КЛОН"**. **20.00** Жди меня. **21.00, 23.30** Время. **21.30** Гоша Куценко в детективе **"АНТИКИЛЛЕР-2"**. **1**-я с. **22.40** Спецрасследование. "Дикое золото Магадана". **1**-я с. **23.50** Искатели. "Пропавшая святыня Нижегородского Кремля". **00.20** "Подорожник". **00.50** Алена Свиридова в программе "Русский экстрим. **01.20** Винсент Д'Онофрио в комедии **"БРАТЬЯ НЬЮТОН"**. **03.20** Барри Уотсон в комедии **"ПАРНИ ИЗ ЖЕНСКОЙ ОБЩАГИ"** **04.50** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ"**.

НТВ

06.00 "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "Модерн": мародер. **10.55** Особо опасен. **11.25** Евгений Миронов в фильме **"ВЕЧЕРНИЙ ЗВОН"** **13.35** Сериал **"АДВОКАТ"**. **15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ"**. **18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ГАДАЛКА"**. **20.50** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ"**. **22.00** Страна и мир. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ"**. **23.15** "Школа злословия" **00.45** Самые сильные люди мира.

სამშაბათი 14.09

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** თამაში "ჭკვიანი ბავშვი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "იღბლიანი ჯენტლმენები" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "სელტიკი"-"ბარსელონა" **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

პირველი არხი

07.55 მომამბე **08.10** ღამის მომამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მომამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) 1-ლი ს. **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **14.00** მომამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **16.30** სერიალი "უშიშრები" **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** "ამბობენ" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) მე-2 ს.

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** ტელეჟურნალი "სცენა" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.35** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "მოდა" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ღმერთები და ურჩხულები" (15) (ბრენდან ფრეიზერი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" მე-2 ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისათვის **22.00** მხ. ფილმი "თემო" (გ)

იმედი

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 20.30, 21.25, 01.45** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** "მუღამები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30, 01.15** ტვ-მარკეტი **14.10** სერიალი "შატუნი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "მრისხანების შიში" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "შატუნი" **21.30** ლარის მახე **23.00** "ინტერ-ნიუსი" **23.30** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი" (გ) (ე. ჟუდორი)

იბერია

18.00 მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 3-4ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-2 ს. **20.00** დოკ. ფილმი **21.05** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "ფობია" (15)

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"АНТИКИЛЛЕР-2"**. **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН"**. **11.20** Мультсериал "Кошки-мышки". **11.30** Дисней-клуб: "Приключения Винни Пуха". **12.20** Елена Яковлева в остросюжетном фильме **"ШАЛЬНАЯ БАБА"** **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ"**. **16.50** Премьера. "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Кумиры". Владимир Этуш. **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН"**. **21.00, 23.30** Время. **22.40** Спецрасследование. "Дикое золото Магадана". **2**-я с. **23.50** "Звезды эфира". Светлана Жильцова. **00.20** "Сканер". **00.50** Неизвестная планета. "Мир богов Гоа". **01.20** Джон Литгоу в триллере **"ВОСПИТАНИЕ КАИНА"** **03.00 Кубок мира. Хоккей. Финал.** Прямой эфир из Канады.

НТВ

06.00 "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.45** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "Модерн": Сицилианская защита. **10.55** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.55** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI"**. **13.35** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ЗЕЛЕНАЯ КАРЕТА"**. **14.35** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ"**. **15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ"**. **18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI"** **20.50** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ"**. **22.00** Страна и мир. **22.35** Футбол. Лига чемпионов. **"ПОРТУ" (Португалия) - ЦСКА (Россия)**. **01.00** Тайны разведки. Медовая ловушка. **01.40** Дневник лиги чемпионов.

ოთხშაბათი 15.09

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი "ჭეშარიტი სიყვარული" **15.25** ფეხბურთი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** დოკ. ფილმი **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "აიაქსი"-"იუვენტუსი" **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

პირველი არხი

07.55 მომამბე **08.10** ღამის მომამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მომამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) მე-2 ს. **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.00** ქიმერიონი **14.00** მომამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** საღამოს საუბრები **16.00** მომამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** ძველი აფიშა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** მიამბეთ თქვენზე **00.00** მხ. ფილმი "არასერიოზული კაცი" (გ)

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** ტელეჟურნალი "მოდა" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.35** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ომის ხელოვნება" (გ) (ხრისტო ჟივკოვი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **21.00** დოკ. სერიალი "უკანასკნელი საფარი" **22.00** მხ. ფილმი "თეთრი დედოფალი" (15)

იმედი

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 20.30, 21.25, 01.15** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** ერთხელ ჰოლივუდში **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 00.45** ტვ-მარკეტი **14.10** სერიალი "შატუნი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.30** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "შატუნი" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** მხ. ფილმი "იარები" (15) (ს. ოტიე)

იბერია

18.00 მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 5-6ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-3 ს. **20.05** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) 1-ლი ს.

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"АНТИКИЛЛЕР-2"**. **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН"**. **11.20** Мультсериал "Кошки-мышки". **11.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.10** Юрий Соломин в детективе **"СУВЕНИР ДЛЯ ПРОКУРОРА"** **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ"**. **16.50** Премьера. "Пять вечеров". Среда. **18.20** "Шутка за шуткой". **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН"**. **21.00, 23.30** Время. **22.40** Лубянка. "Похищение "Святого Луки". **23.50** Теория невероятности. "Загадки памяти". **00.20** "Идолы". Пьер Карден. **00.50** Большой взрыв. "Роботы - люди будущего". **01.20** С. Томас Хауэлл в триллере **"ПОПУТЧИК"** **03.05** Джо Белуши в комедии **"РАЗДЕЛ ТЕРРИТОРИИ"** **04.50** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ"**.

НТВ

06.00 "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "Модерн": Московский монстр. **10.50** "Женский взгляд" **11.20** "Растительная жизнь" **11.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI"**. **13.35** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: КОТ В МЕШКЕ"**. **14.30** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ"**. **15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ"**. **18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ПАДЕНИЕ РУБЛЯ"**. **20.50** Ярослав Воронцов в сериале **"ФАБРИКА ГРЕЗ"**. **22.00** Страна и мир. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ"**. **23.15** Сэмюэль Л. Джексон в остросюжетном фильме **"ПАУТИНА ЛЖИ"** **01.40** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**.

ხუთშაბათი 16.09

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** დოკ. ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.25** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი "შავი რაინდი" **15.25** ფეხბურთი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ხალხის პირისპირ" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ტერმინატორი-2: სასამართლო დღე". მთ. რ-ში: არნოლდ შვარცენეგერი (18)ყ

პირველი არხი

07.55 მომამბე **08.10** ღამის მომამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მომამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "არასერიოზული კაცი" (გ) **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მომამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ჟან რენო" **15.20** "პოლიტიკური მკვლელობები" **16.00** მომამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) 1-ლი ს.

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.35** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ჩემი უკანასკნელი ტანგო" (გ) (სარა მონტელი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" მე-4 ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** "ეძიე ქალი" **22.00** მხ. ფილმი "სიყვარული, ხანძარი და პომპიერო" (გ)

იმედი

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 20.30, 21.25, 01.15** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** სპ. პროგრამა "ასი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 00.45** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შატუნი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.30** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "იარები" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "შატუნი" **21.30** საქმე ტ **23.00** მხ. ფილმი "ჰოლივუდის დედოფალი" (გ) (პ. კალიდარი)

იბერია

18.00 მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 7-8ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-4ს. **20.05** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) მე-2ს.

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"АНТИКИЛЛЕР-2"**. **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН"**. **11.30** Мультсериал "Кошки-мышки". **11.40** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Ия Саввина в фильме **"ПРОДЛИСЬ, ПРОДЛИСЬ, ОЧАРОВАНИЕ..."** **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ"**. **16.50** Премьера. "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Анекдоты". **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН"**. **21.00** Время. **22.40** "Антикиллер - 2". "Тактика боя". **23.10** "Человек и закон" **00.00** Ударная сила. "Трезубец морского дьявола". **00.30** "Гении и злодеи". **01.00** "Тихий дом" на Венецианском кинофестивале. **01.30** Джин Хэкмен в триллере **"КОЛЛЕКТИВНЫЙ ИСК"** **03.30** Том Скерритт в фильме **"РОВНО В ПОЛДЕНЬ"** **05.20** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Тайны затопленных пещер".

НТВ

06.00 "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.20** Преступление в стиле "Модерн": Смерть в Венеции. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI"**. **13.30** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ТАЛИСМАН"**. **14.25** Сериал **"ФАБРИКА ГРЕЗ"**. **15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ"**. **18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI"** **20.50** Сериал **"ФАБРИКА ГРЕЗ"**. **22.00** Страна и мир. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **23.50** Джеймс Маршалл в боевике **"ГЛАДИАТОР** **02.25** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**

პარასკევი 17.09

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი "ალყაში" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "მთიელი". მთ. რ-ში: შონ კონერი (18)ყ **02.30** მხ. ფილმი "ტურა". მთ. რ-ში: ბრიუს უილისი (18).

პირველი არხი

07.55 მომამბე **08.10** ღამის მომამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მომამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) 1-ლი ს. **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **14.00** მომამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **16.30** სერიალი "უშიშრები" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** ისტორიანი **17.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** "აუდიტორია" **00.00** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) მე-2ს.

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** "ჰოლივუდი დღეს" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.35** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** ერთი ჟურნალისტის მზერა. გიორგი კალანდია. "გელინო" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "დოგმა-1: ზეიმი" (18) (ულრიჰ ტომსენი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" მე-5 ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) 1-ლი ს.

იმედი

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 01.45** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი მალაიზიის ვეფხვი" 1-ლი ს. **09.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** საქმე ტ **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.15** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შატუნი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ჰოლივუდის დედოფალი" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** მხ. ფილმი "დარტყმა სისტემაზე" (გ) (მ. კეინი) **23.00** მხ. ფილმი "დაუმორჩილებელი" (15) (ა. დელონი)

იბერია

18.00 მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 9-10ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-5 ს. **20.05** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) მე-3ს.

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"АНТИКИЛЛЕР-2"**. **10.30** Сериал **"КЛОН"**. **11.20** Мультсериал "Кошки-мышки". **11.30** Мультсериал "Принцесса Сиси". **12.10** Владимир Меньшов в боевике **"ЧТОБЫ ВЫЖИТЬ"**. **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ"**. **16.50** Премьера. "Пять вечеров". Сегодня пятница. **18.20** Док. детектив "Охота на "Искандера". Дело 2001 года. **19.50** "Поле чудес" **21.00** Время. **21.30** "Фабрика звезд". Шоу начинается. **23.00** Чоу Юн-Фат в боевике **"ПУЛЕНЕПРОБИВАЕМЫЙ МОНАХ"** **01.00** Чарли Шин в боевике **"ТЕНЕВОЙ ЗАГОВОР"** **03.00** Джордж С. Скотт в прикл.фильме **"ДЕНЬ ДЕЛЬФИНА"** **05.00** "Империя чужих". **05.30** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Невидимые острова".

НТВ

06.00 "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "Модерн": Страстная пятница. **10.55** Квартирный вопрос. **11.55** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI"**. **13.30** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА"** **14.25** Сериал **"ФАБРИКА ГРЕЗ"**. **15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.20** Павел Деревянко в фильме **"ЕХАЛИ ДВА ШОФЕРА"**. **19.35** Мэл Гибсон в боевике **"СМЕРТЕЛЬНОЕ ОРУЖИЕ-4"** **22.00** Страна и мир. **22.40** "Стресс". Ток-шоу **23.50** Кайл Маклахлен в триллере **"СИНИЙ БАРХАТ"**. **02.20** Кома: это правда.

შაბათი 18.09

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "პიტერ პენი" **10.55** საბავშვო ფილმი "ტომ სოიერი" **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "რობინ ჰუდი ქურდების პრინცი" **15.20** მხ. ფილმი "გაქცევა" **17.00** ველური სამყაროს ამბები **18.00, 21.00, 00.00** კურიერი **18.20** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** "ფსიქო"- "სპილო". რეჟ. განს ვან სეტი (18). **00.20** მხ. ფილმი "ავარია". მთ. რ-ში: კურტ რასელი (18).

პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) მე-2ს. **10.00** "იმღერე რამე" **10.30** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **15.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **16.10** დოკ. ფილმი "ცისფერი მატარებელი" **17.00** დოკ. სერიალი "სიკვდილს გადარჩენილნი" **18.00** ვესტნიკი **18.45** "იმღერე რამე" **19.15** ტელეზღაპარი **19.25** "დრო და ადამიანები" **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** ფორტუნა **21.15** პოლიტიკური მკვლელობები **22.05** "საღამოს საუბარი" **22.50** სპექტაკლი "ჩვენ, ქვემორეხელისმომწერნი" **00.15** მხ. ფილმი "მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" (გ)

მზე

09.00 მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "მარადიული სატრფო" (გ) (გარი ოლდმენი) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **21.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **22.30** მხ. ფილმი "მსახიობები" (18) (ალენ დელონი)

მეორე არხი

19.00 მრავალჟამიერი **19.30** სპა **20.00** "იმღერე რამე" **20.30** მუს. ოქტაგონი **21.20** ქიმერიონი **22.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-2 ს.

იმედი

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15 ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი მალაიზიის ვეფხვი" 2-3 ს. **11.00, 02.20** ტვ-მარკეტი **11.30, 18.15, 20.00, 02.35** იმედის მელოდიები **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** მხ. ფილმი "დარტყმა სისტემაზე" **15.15** მხ. ფილმი "დაუმორჩილებელი" **17.05** დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.25** მხ. ფილმი "დევნილი" (გ) (ტომი ლი ჯონსი) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი **00.20** მხ. ფილმი "მაღალი ქერა მამაკაცის დაბრუნება" (გ) (პ.რიშარი)

იბერია

18.00 მხ. ფილმი "უწმინდური" (გ) 1-ლი ს. **20.05** სილუეტი **21.05** დოკ. ფილმი **22.00** მხ. ფილმი "ომის შემდეგ" (გ)

ОРТ

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. **06.10** Прикл. фильм "Американский хвост: остров сокровищ". Часть 1. **06.40** Николай Волков-ст. в фильме-сказке **"СТАРИК ХОТТАБЫЧ"** **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.30** "Пестрая лента". "Меньшов слезам не верит". **11.20** "Любовные истории". Лариса Долина. **12.10** "История с географией". "Древние египтяне". **13.10** Мартин Лоуренс в комедии **"НЕЧЕГО ТЕРЯТЬ"** **15.10** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **15.30** Игорь Бочкин в детективе **"БАРХАНОВ И ЕГО ТЕЛОХРАНИТЕЛЬ"**. **17.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. **18.10** Эдди Мерфи в комедии **"КЛЕВЫЙ ПАРЕНЬ"** **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** Международный фестиваль юмора "Ялта-2004". **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Шон Пенн в триллере **"ВЕС ВОДЫ"** **01.50** Питер Селлерс в комедии **"ДОКТОР СТРЕЙНДЖЛАВ"** **03.40** Альберт Брукс в комедии **"МАТЬ"**

НТВ

06.00 Шон Коннери в фильме **"ВЕТЕР И ЛЕВ"** **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Приключенческий сериал **"ТАРЗАН"**. **09.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.30** "Дикий мир" с Тимофеем Баженовым. **10.20** Борис Щербаков в программе "Растительная жизнь". **11.00** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** Криминальная Россия. **14.00** Сергей Бодров-мл. в фильме **"СТРИНГЕР"** **16.20** "Женский взгляд". Ирина Роднина. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"АДВОКАТ"**. **19.40** Владимир Машков в фильме **"ВОР"** **21.45** Деми Мур в фильме **"НЕПРИСТОЙНОЕ ПРЕДЛОЖЕНИЕ"** **00.10** Костя Цзю. Лучшие бои. **Костя Цзю-Хулио Сезар Чавес.** **01.00** Серена Гранди в эрот. фильме Тинто Брасса **"МИРАНДА"**

კვირა 19.09

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00, 00.10** კურიერი **09.20** "პიტერ პენი" **10.55** საბავშვო ფილმი "ტომ სოიერი" **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი "მის დეიზის მძღოლი" **15.20** მხ. ფილმი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" **17.00** ველური სამყაროს ამბები **18.00, 21.00, 00.10** კურიერი **18.20** განდგომილი **19.00** მხ. ფილმი "ასტერიქსი და ობელიქსი კეისრის წინააღმდეგ". მთ. რ-ში: ჟერარ დეპარდიე (გ) **21.45** ჩვენი ეზო **22.00** "ჯეოსელის კინოკლუბი" - "სხვები" 877 45-79-25 ნიკოლ კიდმანი, კრისტოფერ ეკლსტონი (18), "გაქცევა" 877 45-79-26 პიერ რიშარი, ვიქტორ ლანუ (18) "დანტონი" 877 45-79-27 ჟერარ დეპარდიე, ანა ალვარგო (18)ყ **00.30** მხ. ფილმი "მენამული მდინარეები-2" მთ. რ-ში: ჟან რენო (18)

პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20 მოამბე **08.15** მხ. ფილმი "მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" (გ) **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **11.00** მრავალჟამიერ **11.30** სპა **12.15** მხ. ფილმი "მზიური" **14.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **15.20** სპექტაკლი "მერი პოპინსი" **17.20** "სარკმელი მომავალში" **18.20** "არტ-ექსპრესი" **18.50** "იმღერე რამე" **19.20** "მთავარ როლში" **20.35** "ჩემი მშვენიერი ლედი" **20.55** საქ. კინოდარბაზი - "ფრაგმენტები ი.ჭავჭავაძის ცხოვრებიდან" **22.00** ტვ-ლოტო **22.45** "ამბობენ" **00.30** მხ. ფილმი "სინათლე ჩვენს ფანჯრებში" (გ)

მზე

09.00 მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "ჩემი უკანასკნელი ტანგო" (გ) (სარა მონტელი) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **21.30** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. **23.30** მხ. ფილმი "ჰენრი ფული" (12) (პარკერ როუზი).

მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი **19.30** მიამბეთ თქვენზე **20.20** "იმღერე რამე" **20.50** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **21.05** "მთავარ როლში" **22.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-3ს.

იმედი

09.00 ანიმაციური ფილმი "ალი ბაბა" **09.50, 13.15, 15.15, 01.30** იმედის მელოდიები **10.00** "12პლუსი" **10.15** მხ. ფილმი "საიდუმლო აგენტთა კლუბი" (გ) (ჯ. მურლოვსკი) **10.50** "დილის ფოსტა" **12.40, 01.10** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "ბაზა" (გ) (ჯ. ტრავოლტა) **15.15** მხ. ფილმი "მაღალი ქერა მამაკაცის დაბრუნება" (გ) **17.10** სპ. პროგრამა "ასი" **18.00** "არტ-ბულვარი" **19.30** ქართ. მხ. ფილმი "მხიარული რომანი" **21.00** "დროება" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი. **00.20** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" 1-ლი ს.

იბერია

18.00 მხ. ფილმი "უწმინდური" (გ) მე-2 ს. **20.05** დოკ. ფილმი **22.20** მხ. ფილმი "სისხლის მოგონება" (15)

ОРТ

06.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. **06.10** Прикл. фильм "Американский хвост: остров сокровищ". Часть 2. **06.40** Олег Даль в детективе **"ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЙ СОМНЕВАЕТСЯ"** **08.20** Армейский магазин. **08.50** Дисней-клуб: "Мики, Дональд и Гуффи-спортсмен". **09.10** "В мире животных" **10.10** "Непутевые заметки" **10.30** Пока все дома. **11.10** "Дог-шоу". **12.10** Стивен Спилберг представляет прикл. фильм "Дорога на Эльдорадо". **13.30** "Джеки - королева Америки". **14.30** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **15.10** "Анекдоты". **15.40** Воскресный "Ералаш". **16.00** Андрей Миронов в комедии **"НЕВЕРОЯТНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ИТАЛЬЯНЦЕВ В РОССИИ"**. **18.20** "КВН - 2004". Музыкальный фестиваль в Юрмале. **21.00** Время **21.45** Мел Гибсон в боевике **"ЗНАКИ"** **23.50 Бокс. Бернард Хопкинс - Оскар Де Ла Хойа.** **00.50** Дэвид Карузо в триллере **"ШЛЮХА"** **02.40** Том Круз в фильме **"Верные ходы"**. **04.20** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ"**. **05.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Бомба на пятидесяти саженях".

НТВ

06.15 Мультфильм "Лебеди непрядвы". **06.40** Владимир Дружников в фильме-сказке **"КАМЕННЫЙ ЦВЕТОК"** **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Приключенческий сериал **"ТАРЗАН"**. **09.00** "Сказки Баженова". **09.30** Едим дома. **10.20** "Апельсиновый сок" **10.55** "Top gear". Программа про автомобили. **11.30** Военное дело. **12.05** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **13.25** Особо опасен. **14.00** Всеволод Санаев в детективе **"ЧЕРНЫЙ ПРИНЦ"** **16.20** Тайны разведки. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"АДВОКАТ"**. **19.40** Роберт Де Ниро в фильме **"КРЕСТНЫЙ ОТЕЦ-II"** **23.45** Мартин Шин в детективе **"ИЗ ТЕМНОТЫ"** **01.45** Журнал Лиги чемпионов.

P.S. ფილმებთან არსებული ნიშნები (12), (15), (18) აღნიშნავს მათ კატეგორიას, რაც დადგენილია მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონში.

ოცნებები ახდება!

ქორწილი, როგორსაც ყველა გოგო ნატრობს

ანა კორძაია-სამადაშვილი

რა კარგი რამაა ზღაპარი! განსაკუთრებით მაშინ, როცა ცხადი და ზღაპარი ერთმანეთისგან აღარ განსხვავდება. ზღაპარი რომ არ ყოფილიყო, ადამიანი არასოდეს გაფრინდებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავ ხალიჩაზე ყველაზე საყვარელ კაცთან ერთად გაფრენა და იქიდან ბაღდადის ცქერა სხვაა, და თვითმფრინავში ფეხებდაბუჟებული ჯდომა - სხვა, ფრენა მაინც ძალიან კარგია, თუნდაც იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ რწმუნდებით: ოდესმე ყველა ოცნება ახდება! ოდესმე თეთრი ცხენით ჯადოსნური უფლისწულიც ჩამოიქროლებს და შორს, ძალიან შორს წაგიყვანთ, ჯადოსნურ ქვეყანაში, მაგალითად, ბრუნეიში.

მართლა! აი, ბრუნეის ტახტის მემკვიდრემ რიგითი მოქალაქე ითხოვა ცოლად. უფლისწულ ალმუთად ბილაჰ ბოლკიას რჩეული 17 წლისაა, ნახევრად შვეიცარიელი. მას სარა სალე ჰქვია.

სარას დედა სამოცდაათიან წლებში კუნძულ ბორნეოზე, მკაცრად მუსულმანურ სამეფოში ჩავიდა და იქ ჯანდაცვის სამინისტროში დაიწყო მუშაობა - აბა, ამაზე უფრო პროზაული ამბავი რა უნდა იყოს! ახლა კი ფერადოვან, მდიდრულ, ასწლოვანი ტრადიიციის მქონე მალაიური ცერემონიის დროს მისი ასული 30 წლის ტახტის მემკვიდრეს გაჰყვა ცოლად. იმის ნიშნად, რომ ქორწინება არა მარტო ღვთის, არამედ მისი უზენაესი ნებაც იყო, ნეფის მამა, სულთანი ჰასანალ ბოლკია თავისი ვაჟის ხელით პატარძლის თავს შეეხო.

პრინცესა სარა თავის ქვეშევრდომებს მანქანიდან ესალმება.

პატარძალი პატარა გოგოს ჰგავს - თხელი, ნაზი, მოღიმარი. მას საფირონივით ლურჯი კაბა ეცვა, ფატა მიწამდე დასთრევდა და თმას ბრილიანტებით მოოჭვილი დიადემა უმშვენებდა. მის მეუღლეს ტრადიციული იასამნისფერი ტანსაცმელი ეცვა, ოქროს სამკაულიც ეკეთა და, როგორც ზღაპრული უფლისწულების წესია, ხანჯალიც ერტყა.

ქორწილის ორგანიზატორებმა ზღაპარი ცოტა წაახდინეს, მაგრამ ეგ არაფერი. მათ განაცხადეს, რომ პატარძლის კაბის ფასი ოთხი მილიონი ევროა, რომ თაიგული, რომელიც მას ეკავა, ბაჯაღლო ოქროსა და ბრილიანტებისგანაა გაკეთებული. მაგრამ ფულზე ნუ ვიფიქრებთ, ჯობს, იმაზე ვიფიქროთ, რომ პატარძალი ისე ციმციმებდა და ციალებდა, ნამდვილი ზღაპრული პრინცესაც კი შურით შეხედავდა. მერე ეს ზღაპრული ქმნილება ოქროსფერ "როლს-როისში" ჩაჯდა და ასი ავტომობილის თანხლებით ბრუნეის დედაქალაქის ქუჩებში გაისეირნა. ხალხი ქუჩაში გამოფენილიყო. ყურისწამლები ღრიანცელი იდგა, რაც სულ არ მიკვირს - მეც საშინელ ხმაზე ვიყვირებდი: "ვაშა! რა კარგია, რომ ოცნებები ხდება! რა კარგია, რომ ზღაპრული უფლისწულები არსებობენ და ალ-მუთად ბილაჰ ბოლკიას რჩეული ასეთი ლამაზი გოგოა!"

მერე რა, რომ კოკისპირულად წვიმდა, მერე რა, რომ მანქანაში ჩაჯდომამდე ნეფე-დედოფალი მთლად გაილუმპა! ასე, ჩემი ერთი მოუნათლავი მეგობრის ჯვრისწერის დროს სასტიკი ქარიშხალი ატყდა და როცა დამფრთხალმა პატარძალმა ჰკითხა, ღმერთი ხომ არ გვიწყრებაო, ჩემმა მეგობარმა ამაყად უპასუხა: ბრიყვო, ეს ზევსი მილოცავს ცოლის შერთვასო. აი, ასე! დღეს მათ ორი შვილი ჰყავთ, ბედნიერებიც არიან და კვლავ ძალიან უყვართ ერთმანეთი - ისევე, როგორც იმ ქარიშხლიან დღეს.

სასახლეში, დედაქალაქ ბანდარ სერი ბეგავანში ორი ათასი სტუმარი იყო მიწვეული, მათ შორის იაპონიის ტახტის მემკვიდრე ნარუჰიტო, ბარაინის მეფე ჰამადი, საუდის არაბეთის პრინცი ბანდარი, ინდონეზიის, ფილიპინების, მალაიზიისა და სინგაპურის სახელმწიფო მეთაურები. ადგილი ყველასთვის საკმარისი იყო - სულთნის რეზიდენციაში 1788 ოთახია.

დღეიდან სამი ღამის განმავლობაში ბრუნეის ზეცას უთვალავი მაშხალა გაანათებს. სასახლის თავზე ფოიერვერკების ცეცხლი დაინთება: მთელი დიდება ალ-მუთად ბილაჰ ბოლკიას, მთელი დიდება პრინცესა სარას!

ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობაზე

იურისტი

მოთხოვნები

- უმაღლესი იურიდიული განათლება
- სამოქალაქო კოდექსის და შრომითი კანონმდებლობის სრულყოფილი ცოდნა
- არანაკლებ 3 წელი იურისტად მუშაობის გამოცდილება
- ინგლისური ენის ცოდნა
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

მსურველებმა ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი. ანკეტების მიღება იწარმოებს 9 სექტემბრიდან 22 სექტემბრამდე.

მისამართი:
ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68

ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

რადიოს საინფორმაციო და ანალიტიკური პროგრამების პროდიუსერი

ფუნქციები და მოვალეობები

- საინფორმაციო სამსახურის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება;
- საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების ხელმძღვანელობა

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში
- სასურველია დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- უცხო ენის ცოდნა
- სასურველია რადიოში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

რადიოს უცხო და საქართველოს ენებზე მაუწყებლობის პროდიუსერი

ფუნქციები და მოვალეობები

- შესატყვისი მიმართულების კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- მაუწყებლობის კოორდინაცია, მონიტორინგი და მენეჯმენტი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში სასურველია დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- უცხო ენის ცოდნა
- სასურველია რადიოში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

მსურველებმა უნდა შეავსონ ანკეტები ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში 9 სექტემბრიდან 22 სექტემბრამდე.

მისამართი:
ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- MS Word,
- MS Excel.
- Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.